ᲨᲐᲮᲚᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲚᲘ 1999 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

ქართველობის გადასარჩენად

ᲘᲚᲝᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

E-mail: r.jalagania@mail.ru

№299 (358) 13-20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015 ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ 30 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ — ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ: “ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ” ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ”

ᲔᲡ ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ “ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ”, № 6, 2013წ.

(გაგრძელება 298-ე ნომრიდან)

“ქართველმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინათ შევიმუშავე და გამოვაქვეყნე “საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია”, რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის – “ქართველობის გადასარჩენად!” შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი საakაშვილმა და მისმა გუნდმა მე “ნაციონალისტი” და “კრემლის რუპორი” მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს “ოპოზიციას” ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი “ანტიამერიკანიზმი” და “ანტიევროპეიზმი”. დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი განაგრძობს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: “მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!”. სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო “ბრუნდება” ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა. შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები – მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ...

საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში “თერგდალეულთა”, დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით, ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით.

უმრავლესობის ნება – დემოკრატიის საფუძველი – აღარაფერს წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ისა და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში – “უმცირესობათა” მოთხოვნებმა...

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ “უმცირესობათა უფლებების” დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს... ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები”.

**** დასავლური თანამედროვე ღირებულებებისადმი გაუაზრებელი თაყვანისცემით ერი გადაგვარების გზას დაადგა. დღეს ახალგაზრდა თაობის დიდ ნაწილს ქართული მამაპაპური ტრადიციების დაცვა ჩამორჩენილობად მიაჩნია, დაბალია შობადობის, განათლებისა და სოციალური დაცვის დონე, დიდია მიგრაცია და, შესაბამისად, ერი გადაშენების პირასაა...***

“ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘ – ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲘ” (**“ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ”**, № 21(208), 12-18 ივნისი, 2013წ.)

“ადამიანური მორალი იწყება იქ, სადაც ყალიბდება აკრძალვები. მორალი არის პრაქტიკულად აკრძალვათა სისტემა. ადამიანი ათასწლეულების წინათ მიხვდა, რომ იგი ვერ შექმნის საზოგადოებას, ტომს, ერს, ანუ ვერ გადარჩება, თუ არ შეზღუდავს თავისუფლებას. თავისუფლება შეზღუდვების გარეშე არის გზა პირუტყვობისკენ...

როგორც კი საზოგადოება სისუსტეს გამოიჩენს, გეიმოძრაობის მხარდასაჭერად გამოიყოფა უზარმაზარი თანხები და გეიაქტივისტები მოვლენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მოედებიან ტელევიზიებს, რადიოს, მასობრივი ტირაჟით გამოუშვებენ გაზეთებსა და ჟურნალებს, შემდეგ თავს მოგვახვევენ იუვენალურ იუსტიციას, რათა საბოლოოდ ჩამოაშორონ შვილები მშობლებს. 5-10 წლის შემდეგ ვეღარ ვიცნობთ ჩვენს საზოგადოებას, იგი სხვანაირი გახდება, მაგრამ ამითაც არ დასრულდება საქმე. უზნეობას, როგორც ცნობილია, საზღვარი არ აქვს...

ერები, რომლებიც ამ “დასავლური ღირებულებების” კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან.

ევროპული ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის – ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება.

რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თაყვანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზენი სანახავია, როგორ ჩამოდის თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის, სულ ცოტა, ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, რომლებმაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებში პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს. ისინი დაკავებულები არიან ლობიზმით – როგორც ოფიციალურით, ისე მექრთამეობაზე აგებულით. თავიანთ სახელმწიფოებში ქრთამის აღების ეშინიათ და იღებენ ისეთ პროვინციულ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სადაც ამ პარლამენტარებს, როგორც კერპებს, ისე უყურებენ”.

**** აი, ამას ამბობდა ბატონი ალექსანდრე 2013 წელს, როდესაც პარლამენტის მიერ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. დღეს ქვეყანაში ხდება დასავლური “ღირებულებების” კულტივირება, რომელიც საფრთხეს უქმნის ოჯახის კულტსა და ეროვნულ ტრადიციებს.***

“ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ – ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲘ” (**“ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ”**, №21 (208), 12-18 ივნისი, 2013წ.)

“თუ ჩვენს ერსა და სახელმწიფოებრიობას შენარჩუნება უწერია, მას გადაარჩენს არა არმია, არამედ მეზობელი ქვეყნების ინტერესების გათვალიწინება, ამ ინტერესების საფუძველზე ფრთხილი საგარეო პოლიტიკური თამაში და საქართველოს გადაქცევა რეგიონში ძალთა და ინტერესთა ბალანსის მნიშვნელოვან ფაქტორად, ამიტომ გამუდმებით ვიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან, მაღალკვალიფიციურ, ფინანსურად უზრუნველყოფილ და აქტიურ უწყებას საქართველოში უნდა წარმოადგენდეს არა თავდაცვის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტრო. სწორედ დიპლომატია და არა არმია შეიძლება, გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი.

უკვე 20 წელია, ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ კეთილშობილი ამერიკელები ეხმარებიან საქართველოს პროფესიონალური არმიის ჩამოყალიბებაში ჩვენი თავდაცვის უზრუნველსაყოფად. არიან ადამიანები, რომლებსაც ეს სჯერათ, მაგრამ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი ხვდება, რომ ამერიკელები ჩვენს არმიას მხოლოდ იმიტომ აფინანსებენ, რომ თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენონ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში, სადაც მათ ცოცხალი ძალა სჭირდებათ. ჩვენი პოლიტიკოსები იმით ამაყობენ, რომ ქართული კონტინგენტი ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანია, ამერიკულის შემდეგ. მაგრამ ასე იმიტომ კი არ არის, რომ სხვა ქვეყნებს უფრო მცირერიცხოვანი ან ნაკლებად მომზადებული არმიები ჰყავთ, უბრალოდ, იმ ქვეყნების ხელისუფლებასა და საზოგადოებას, მათ შორის **ნატო**-ს წევრებისაც, არ სურთ ამერიკულ ავანტიურაში ჩათრევა და ისლამური სამყაროს სიძულვილისა და აგრესიის გამოწვევა. ჩვენ კი, მუსლიმანი ხალხების გარემოცვაში მყოფნი, ჯიუტად მივდივართ ამ თვითმკვლელობაზე.

მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც მას ისტორიულად ერგო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობის, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის, მენტალობის გამო. საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების – მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ისლამის ძირითადი განშტოებების – სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო რელიგიური ომები. ამიტომ საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური არსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის.

იდეალურ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებლად საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტები განთავსდებიან. სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია, დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვენეული გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარი პერსპექტივები არის ჩრდილოეთ კავკასიაშიც. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის.

საქართველოს აქვს ასევე ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო კონფესიათა შორის დიალოგის ადგილი გახდეს. ასეთი როლი – ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში – უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას და შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენს უსაფრთხოებას... საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება უნდა ემყარებოდეს ინტელექტუალურ, მეცნიერებატევად დარგებს. მაგალითად, ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად არ დაგვიკარგავს საბაზო პოტენციალი ბიოტექნოლოგიის, მიკროელექტრონიკის, ფარმაცევტიკის განსაკითარებლად. ამასთან, საქართველოს თავისუფლად შეუძლია, იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. დღესაც კი საქართველოში მკურნალობაზე მოთხოვნა კავკასიაში საკმაოდ მაღალია; ამ დარგში ფულის ჩადება მნიშვნელოვან მოგებას მოიტანს. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია, გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა, აღვადგინოთ და გავაღრმაოთ იგი.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. ჭკვიანური მიდგომით ყველაფერ ამის აღორძინება შეიძლება, ყველაფერ ამაზე არის მოთხოვნა თანამედროვე მსოფლიოში, ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს – თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.

დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი”.

****ომითა და შეიარაღებული კონფლიქტებით რომ ვერაფერს გავაწყობთ, 2008 წლის აგვისტოშიც დადასტურდა. ამიტომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და, საერთოდ, გადარჩენა კეთილმეზობლური ურთიერთობებით (უწინარესად – რუსეთთან), ინტერესთა გათვალისწინებით და ამ მიმართულებებით საგარეო პოლიტიკის გააქტიურებით უნდა მოვახერხოთ.***

მოამზადა **ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲑᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲛ**

P.S. ცნობილი პოლიტოლოგის – ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკური პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ ზედმიწევნით ზუსტი აღმოჩნდა. ბოლო წლებში ის არაერთხელ მოუწოდებდა ხელისუფლებას მისი თვალსაზრისის გათვალისწინებისკენ, მაგრამ მისი მოწოდებები რჩებოდა “ხმად მღაღადეგლისა უდაბნოსა შინა”.

ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ანაკლიაზე ცნობები დაუცავს იაკობ რაინეგსსაც, რომელიც აღნიშნავს: **„...მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მის შესართავთან, მდებარეობს ქალაქი და იქვე ციხე ანაკლია. ეს არის აფხაზეთის მთავრის ლევან შერვაშიძის რეზიდენცია. ციხის შიდა ფართობი სიგრძით თოთხმეტი საჟენია, სიგანით – ცამეტი; მას შემოვლებული აქვს სამი საჟენი სიმაღლისა და ხუთი ფუტი სისქის გალავანი. კარი ორნახევარი წყრთის სიმაღლის და ერთნახევარი წყრთის სიგანისაა“** (რაინეგსი, 2002: 108).

თავდაცვითი ხასიათის ციხის ნაშთი შემორჩენილია ენგურის მარცხენა მხარეს და ზღვას 0,5 კმ-ით არის დაშორებული. ადგილობრივნი მას ჯიხას ეძახიან. შემორჩენილია კვადრატული გეგმის მქონე ციხის ორიარუსიანი გალავანი სამ მხარეს (გარდა დასავლეთისა) და კუთხეებში მდგარი სამი კოშკი, რაც დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთითაა აღმართული. ენგურის, ე. ი. დასავლეთ მხარეს მდგარი კოშკი სწორკუთხაა, დანარჩენები – ცილინდრული ფორმისა. მეოთხე კოშკი მდგარა აგრეთვე მდინარის მხარეს, რაც ციხის გალავანთან ერთად ენგურს წაულეკია. აქ შემორჩენილი კედლების ნაშთი ადასტურებს მდინარის მხარეს 3 მ-ზე უფრო განიერი ჭიშკრის არსებობას. გალავნის ზედა იარუსზე სათოფურებია ჩართული. კოშკები სხვადასხვა ზომისაა. მათი ზედა სართულების საბრძოლო დანიშნულებაზე მეტყველებს კედლებში სათოფურების არსებობა (ზაქარაია, 1960: 117-118).

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ანარკია. აღნიშნული ფორმა დასტურდება ტოპონიმებშიც. კერძოდ, ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილის მონაკვეთს სოფ. ინგირის ტერიტორიაზე ანარკიაშ შარა//ნაჭკირა ჰქვია. იგივე სახელით იწოდება გზა ზუგდიდიდან ანაკლიისკენ, კახათის გავლით (ცხადაია, II, 2007: 158). მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაშიც სოფლის სახელწოდებად გვხვდება „ანარკია“ ფორმა (სამუშია, 1971: 60, 83, 107; მისივე 1979: 150).

როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტი ანაკლიის ციხის აშენებას ოსმალებს უკავშირებს. ისტორიკოსის ცნობა, რომ ოსმალებმა რუხის ციხის ნანგრევებისაგან „აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად“, ძნელი დასაჯერებელია, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

საინტერესოა დაკვირვება „ანაკლიას“ ეტიმოლოგიაზე. ხალხური ტრადიციული გადმოცემა მის წარმომავლობას იმ ეპოქას უკავშირებს, როცა შავი ზღვისპირეთში თურქი დამპყრობლები დათარეშობდნენ. ანაკლია//ანარკია ფეოდალურ სამეგრელოში ყმების ყიდვა-გაყიდვის ადგილად მიიჩნეოდა. სახელწოდება წარმოსდგება „ალნარკიასაგან“, რაც მეგრულად ნაკივლ, ნაყვირალ ადგილს ნიშნავს. XVI-XVII სს-ში თურქოსმალებს აქედან გაჰყავდათ მოტაცებული თუ შესყიდული გოგო-ბიჭები. ნათესავები და სამშობლოს დამკარგავნი აქ გოდებდნენ და კიოდნენ თურმე (სამუშია 1990: 136).

პროფ. გურამ ბედოშვილს ტოპონიმ „ანაკლიის“ მნიშვნელობის გააზრების თვალსაზრისით საინტერესოდ ესახებოდა ვახუშტის მიერ მოწოდებული ცნობა რუხის ძველი ციხის დანგრევისა და მისივე ნაშალი ქვით ანაკლიაში ახალი ციხის აგების შესახებ („გამოვიდნენ ოსმალნი ფოთს, აღაშენეს ციხე და დასუეს ფაშა... შემუსრეს რუხის ციხე სრულიად და ნარღუევითა მისითა აღაშენეს უმჯობესად ანაკრია, და ფაშასა ფოთისასა მიათუალეს სრულიად ზღვის პირნი“). მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ანაკლია უნდა წარმომდგარიყო თურქული ფორმისგან – ჯანიკალე, რაც ქართულად ითარგმნება „ახალ ციხესიმაგრედ“ (ჯანი „ახალი“, კალე „ციხესიმაგრე“). თავისი მოსაზრების გასამყარებლად გ. ბედოშვილი იმოწმებდა მ. ფასმერის მიერ გამოცემულ „რუსული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონს“, რომლის თანახმად თავდაცვითი ნაგებობის სახელი თურქული ნიკალე („ახალი ციხე“) ყირიმშიც (ქერჩში) დასტურდება (ბედოშვილი, I, 2001: 34-35; ფასმერი II, 1986: 20).

ტოპონიმ „ანაკლიას“ წარმომავლობის გ. ბედოშვილისეული ახსნა საყურადღებოა. მხოლოდ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: როგორც ზემოთ აღინიშნა, რუხის ციხის ნაშალი ქვებით ანაკლიის აშენების შესახებ ვახუშტის ცნობა პ. ზაქარაიას არასწორად მიაჩნია, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. არაა ცნობილი, თუ რას ეყრდნობოდა ბატონიშვილი, როცა ამ საკითხზე მსჯელობდა. სხვა წერილობითი წყაროებიც (გიულდენშტედტი, ნიკო დადიანი...) არაფერს გვეუბნება ვახუშტის ცნობის სიზუსტეზე. მაგრამ ეს ხელის შემშლელ ფაქტორად მაინც ვერ გამოდგება „ანაკლიის“ თურქული წარმომავლობის სახელწოდებად გააზრებისათვის. ანაკლია უძველესი დროიდან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. გამორიცხული არაა სიმაგრის აქ ოდითგანვე არსებობა, მაგრამ ენგურის მარცხენა ნაპირას დღემდე შემორჩენილი ციხის ნაშთები შესაძლებელია XVI ს. ბოლო-XVII ს-ის დასაწყისით დათარიღდეს. თურქ დამპყრობლებს არაფერი შეუშლიდათ ხელს, მათ მიერ შავი ზღვის პირას აშენებული სასაზღვრო ციხისათვის ჯანიკალე, იგივე „ახალი ციხესიმაგრე“ ეწოდებინათ.

ინტერესს იწვევს შემდეგი გარემოებაც: გამოთქმულია მოსაზრება (ნ. ლომოური), რომ ახ. წ. II ს-ის მეცნიერის – პტოლემაიოსის მიერ დასახელებული ნეაპოლისი ამჟამინდელი ანაკლია უნდა ყოფილიყო. ბერძნული ნეაპოლისი „ახალი ქალაქი“, მოგვიანებით თურქებმა შესაძლებელია „ახალ ციხედ“ გაიაზრეს.

ოდიშის სამთავროს დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში ზუგდიდის მაზრის სოფლებს შორის დასახელებულია ანაკლია (მეუნარგია, 1939: 112).

IV. 8. 3. რუხის ციხეს ვახუშტი ენგურის ნაპირზე მიუთითებს: „ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ (ენგურზე – ი. კ.) არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩქმზ. ქართულსა ტ-ლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩ-ღკე, ქართულსა უ-იგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაჟი ჩახმახისა ფრიად კეთილი და მრავალი“ (ვახუშტი IV, 1973: 778-779).

რუხის ციხე გვიანი შუა საუკუნეების ოდიშში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო. მისი მშენებლობა ვახუშტის „აღწერისა“ და სხვა ისტორიული წყაროებითაც უკავშირდება ლევან II დადიანის სახელს. ასაკს ციხის დაგეგმარება და კედლების წყობაც ადასტურებს. ციხის აშენება უმთავრესად განპირობებული იყო აფხაზთაგან ოდიშის დასაცავად. ლევანისავე ინიციატივით XVII ს. 30-იან წლებში განხორციელდა ჩხარიდან და ჩიხორიდან იმერეთის მეფე გიორგი III-ის (1605-1639 წწ.) გამოსასყიდში მიღებული სომეხი და ებრაელი ვაჭრების რუხში ჩამოსახლება. ასე დაარსდა აქ სავაჭრო სახელოსნო ადგილი ქალაქის სტატუსით. სომხებით დასახლებული ბორცვი რუხში, ჯიხაშკარის უბანში, დღესაც ნასომეხ(უ)დ იწოდება.

ცნობა რუხის ციხის შესახებ დაცულია შარდენის „მოგზაურობაში“, როცა იგი გადმოგვცემს 1672 წლის, ოსმალთა შემოსევასთან დაკავშირებულ ამბებს. უფრო ადრე, ზუგდიდთან, კოზხეთთან (კორცხელი) და ანაკლიასთან ერთად, რუხი თავის რუკაზე აღუნიშნავს ლამბერტს (ლამბერტი, 2011: ჩანართი 1). „ახალი ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ რუხის ციხეში ინახებოდა ოფშქვითის ბრძოლის დროს ქართლის მეფე სიმონისათვის დადიანის მოლაშქრეთაგან წართმეული ზარბაზნები (ზაქარაია, სსმმ, XXVI, 1970: 282-288). 1700-1712 წლების ახლო ხანებში გრიგოლ კათალიკოსის მიერ დაწერილ „წიგნში“ აღნიშნულია: „რუხუს რომ ლევან დადიანი მოკუდა, მისი სიცოცხლეშიდ დადიანის ალნებით ნემსაძე კხს მოსლოდა“ (კაკაბაძე, 1921: 102). „რუხუ“ სწორედ ახლანდ. სოფელი რუხია. 1712 წლის გარიგების წიგნი გვამცნობს: „შარვაშიძე რუხს მოკვდა, წავედით და ვიტირეთ, ნიშნიც მართებული ავიდეთ...“ (იქვე: 104-105). გიულდენშტედტის ცნობით რუხი ციხეა ენგურის მარცხენა ნაპირზე, რაც უწინ თურქთა ხელში იყო, ამჟამად კი მიტოვებულია (გიულდენშტედტი, I, 1962: 325). რუხის შესახებ ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელიც გვაუწყებს: რუსთა რაზმების მიერ დანგრეული აფხაზური პატარა ციხე რუხი ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და ლაზებში მიმავალი გზის ჩამკეტია. იქვე ახლოს მდებარე სოფელსაც რუხი ეწოდება (რაინეგსი 2002: 121). რაინეგსის ცნობა რუხის ადგილმდებარეობის შესახებ არასწორია. რუხი ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობსო.

რუხის მშენებლობაზე ცნობა დაცულია არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში. „მხოლოდ სომხების ქალაქში,– გვაუწყებს იგი, – რომელიც აშენებულია აწინდელ მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“ (ლამბერტი, 2011: 179). სომხების ქალაქში თეათინელი მისიონერი სწორედ რუხს გულისხმობს.

ილია ანთელავას მართებული მოსაზრებით, რუხში ციხის აგება, მისი „გაქალაქება“ და ლევან დადიანის მიერ გატარებული სხვა ცნობილი ღონისძიებები (ვაჭრების მოწვევა, ზარაფხანის გახსნა...) მთავრის პროექტის მიზანდასახულობათა რეალიზაციას, კერძოდ, ევროპასთან სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას ისახავდა მიზნად (ანთელავა 1990: 113-114).

თვით ციხე აგებულია ენგურის გავაკების შუა წელზე, ენგურსა და მის მარცხენა შენაკადს – რუხ(ი)წყარს შორის, შემაღლებაზე. 1 ჰა-მდე ფართობის მქონე ციხე თავისი მასშტაბებით, გალავნისა და კოშკების სისქე-სიმაღლითა და მშენებლობის სიმტკიცით მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. ციხეს ადგილობრივნი უწოდებენ რუხიშ ჯიხას, ჯიხას. იქვე მდებარე უბანს, სადაც დუქნები ყოფილა განთავსებული, ჯიხაშკარს ეძახიან. ამასთანავე, რუხის ციხესთან გამავალი სახმელეთო გზა „ჯიხაშკარიშ შარად“ იწოდებოდა. პ. ზაქარაიას მსჯელობით, უწინ ენგური ციხეს უშუალოდ უვლიდა, ამჟამად კი მდინარის მარცხენა ნაპირს 300-400 მ აშორებს (ზაქარაია სსმმ, XXVI, 1970: 162-174). აშენებულია რიყის ქვითა და კირით. ციხეში შესვლა სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკში დატანებული კარითაა შესაძლებელი. ციხის გარეკედლის სიმაღლე დაახლ. 10-12 მ-ია, საშუალო სისქე – 2,80 მ. დასავლეთით და აღმოსავლეთით სიმაღლე 14-40 მ-ს აღწევს. შემორჩენილია 5 კოშკი (საშ. ზომა 8,45X9,65 მ). ციხის შიდა ზომაა 94X57 მ, რაც ორი ნაწილისგან შედგება. ციხე-სიმაგრე 1725 წელს დაურბევიათ თურქ დამპყრობლებს. XVII ს-ში ოდიშის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი და ციხე-სიმაგრე, ამის შემდეგ ქალაქის სტატუსით ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიება (პაჭკორია 1975: 46). საინტერესოა შარდენის ცნობა, რომ რუხის ციხე სამეგრელოს მთავრის ადგილსამყოფელსაც წარმოადგენდა.

ვახუშტის ცნობით რუხის ციხე 1647 წელსაა აშენებული („ქრისტესსა ჩქმზ, ქართულსა ტლე“). ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროებზე დაყრდნობით თვლის იგი რუხის ციხის აგების თარიღად 1647 წელს (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 62). გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ციხის მშენებლობა სომეხ-ებრაელ ვაჭართა გადმოსახლებისთანავე, 1635-1636 წლებში უნდა დაწყებულიყო. ვახუშტის, ეტყობა, მიაჩნდა, რომ რუხის „აღშენება“ 1647 წელს დასრულდა, „თორემ,– წერს ილია ანთელავა,– ყოვლად შეუძლებელია ასეთი დიდი ნაგებობის ერთ წელიწადში დასრულება“ (ანთელავა, 1990: 113-114).

პ. ზაქარაიას დაკვირვებით, უზუსტობას შეიცავს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა რუხის ციხის დანგრევაზე. ოსმალთა მიერ ციხის დაზიანება შესაძლებელია, მაგრამ რუხის დანგრეული ციხის ქვებით ანაკლიის მშენებლობაზე ცნობის ამ ნაწილის დაჯერება ძნელია, თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იქიდან ათეული კილომეტრით დაშორებულ ანაკლიამდე რიყის ქვის გადაზიდვა გაუმართლებელი იქნებოდა (ზაქარაია 1960: 117).

სწორია ვახუშტის ცნობა რუხის ციხეში წყაროს არსებობის შესახებ. ეს წყარო ციხის ჩრდილოეთით, გზატკეცილსა და ენგურს შორის, გალავანთან გამოედინება. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ოძილეს“ ეძახის, რაც ჯილეს, დარანს, თევზის სამყოფელს ნიშნავს.

IV. 8. 4. სააფაციო. ვახუშტი, ენგურის ხეობის იმ ნაწილში, რაც ეგრისის ქედსა და რუხს შორის მდებარეობს, ასახელებდა ფეოდალურ ერთეულს სააფაციოს სახელწოდებით: „რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ“ (ვახუშტი IV, 1973: 779). მისივე რუკებზე სახელდებული ობიექტი ხან მდინარის მარცხენა ნაპირზეა აღნიშნული, ხან მარჯვენაზე. ამ საკითხით თავის დროზე დაინტერესდა თამაზ ბერაძე. „სააფაციოს“ ლოკალიზაციის კუთხით წარმოებული კვლევა გასული საუკუნის 70-იან წლებში მან შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: ის ფაქტი, რომ ვახუშტის თავის რუკათა მეორე ატლასის არც ერთ შესაბამის რუკაზე სააფაციო, როგორც პუნქტი, არ აღუნიშნავს, იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა ამ სახელწოდების პუნქტის რეალურად არსებობაში. ვახუშტის ცნობის თანახმად, სააფაციო ისეთივე ფეოდალური ერთეულია, როგორიცაა სალიპარტიანო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოდიშის ამ ნაწილის სოფელთა ტოპონიმია არ იცნობს პუნქტს „სააფაციოს“ სახელწოდებით. მის არსებობაზე არაფერს გვეუბნება ხალხური გადმოცემა და ვინაიდან წერილობით წყაროებშიც არაფერია ცნობილი აფაციას, როგორც ფეოდალური გვარის შესახებ, სააფაციოს ფეოდალური ერთეულის არსებობაც ეჭვს იწვევს. სააფაციოში, დაასკვნის მკვლევარი, შეუძლებელია ვიგულისხმოთ რუხის ერთი უბანი საფარცვანიო, ვინაიდან არაა სავალდებულო ძველ დროში დამოუკიდებელ სოფლად მისი მიჩნევა. ამასთანავე, რაც მთავარია, ფარცვანიების გვარეულობიდან, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნაგულისხმევი სააფაციოს ფეოდალური ერთეული ვერ შეიქმნებოდა, რადგან ამ გვარის კაცნი გლეხები იყვნენ (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 61).

თ. ბერაძის აღნიშნული მსჯელობა რომ დამაჯერებელია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რუხელი ფარცვანიების გადმოცემით, მათი წინაპრები XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოსახლებულან სალიპარტიანოდან (ცხადაია, II, 2007: 272).

სააფაციოს გარშემო მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ სავსებით გაგვეზიარებინა თამაზ ბერაძის ერთი საგულისხმო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება: ვახუშტი შესაძლებელია არასწორად იძლეოდეს ამ ფეოდალური ერთეულის სახელს, ან ზუსტად ვერ განსაზღვრავდეს მის მდებარეობას, მაგრამ ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ მას საერთოდ მოეგონებინოს „სააფაციოს“ არსებობა (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 61).

ენგურის ხეობაში, სააფაციოს, როგორც სოფლისა თუ ფეოდალური ერთეულის, არსებობა და ზოგიერთ რუკაზე მისი აღნიშვნა, ძნელი სათქმელია, მის სუბიექტურ მოსაზრებას მივაწეროთ, თუ ხალხურ გადმოცემაზე დაფუძნებულ თვალსაზრისად მივიჩნიოთ. თუმცა უფრო სარწმუნოდ ის გარემოება გვესახება, რომ მეცნიერი სააფაციოზე წერისას ხალხისაგან მიღებულ ცნობებზე დაფუძნებულ თვალსაზრისს გვთავაზობს, ოღონდ – არასწორი სახით.

თ. ბერაძე ვარაუდობს, რომ ვახუშტისეულ სააფაციოში შესაძლებელია წერილობით წყაროებში XIII ს-დან მოხსენიებული ოდიშის ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს – აფაქიძეების (ადგ. გამოთქმით აფაქიების) ფეოდალური ერთეული სააფაქიძო//სააფაქიო ვიგულისხმოთ. ამ გვარში შემონახული ერთი გადმოცემის თანახმად აფაქიძეთა სამფლობელო ერთ დროს მდ. მაგანამდე აღწევდა, რაც ვახუშტის მიერ მოცემული „სააფაციოს“ ტერიტორიას ნაწილობრივ ემთხვევა. თ. ბერაძე ყურადღებას ამახვილებს XVII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ საბუთში „საქოჩაქიძეოს“ მოხსენიების ფაქტსაც, რაც იყო „დადიანის ლევანის წყალობა მამული“. წყაროდ მითითებულია სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყენებული „აფხაზეთის საეკლესიო გლეხების დიდი დავთარი“ (კაკაბაძე 1914: 43). ტოპონიმი „საქოჩაქიძო“ დასტურდება ენგურიდან რამდენიმე კმ-ით დაშორებულ სოფ. ჩქვალერში (წალენჯიხის რ.). საქოჩაქიძო, მასში შემავალი ჯგალის ციხე-სასახლით, ვრცელი „ქვეყანა“ უნდა ყოფილიყო. რაც, თ. ბერაძის აზრით, ნაწილობრივ თავსდება ვახუშტის რუკაზე მოცემულ ტერიტორიაზე. „სააფაციო“ შესაძლებელია დამახინჯებული „საქოჩაქიძო“ იყოს. ერთი რამ ცხადია, დაასკვნის მკვლევარი, რომ ვახუშტისეული სააფაციო რომელიღაც რეალურად არსებული ფეოდალური ერთეულის გამომხატველია, თუმცა სახელოვანი მეცნიერი მის სახელსა და მდებარეობას არაზუსტად გადმოსცემს (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 62).

„სააფაციო“ ამ მხარეში ვერც დ. ჭითანავას დაუფიქსირებია. მკვლევარი ემხრობა იმ აზრს, რომ წერილობით წყაროებში აფაციების ფეოდალური სახლი და გვარეულობა არ იხსენიება, თუმცა დამატებითი მასალა ტოპონიმის ლოკალიზაციის თაობაზე არ წარმოუდგენია (ჭითანავა, 2010: 381-382).

იგორ კეკელია,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სტალინის დედის უცნობი დღიური ანუ გაუხმაურებელი ფაქტები ბელადის ცხოვრებიდან

2014 წლის 21 დეკემბერს შესრულდა 135 წელი სტალინის დაბადებიდან

“ჩემი თავი ღამბარეულიდან მახსოვს. აუარებელი ჭაობების გამო იგი ციებ-ცხელების ბუდედ იყო გადაქცეული. ამიტომ თავზე ხელაღებული უნდა ყოფილიყო ადამიანი, იქ რომ ეცხოვრა.

ღამბარეული ჩემი მშობლების სამშობლო არ ყოფილა. ისინი სვენეთელები იყვნენ. მამაჩემი ხელობით მეჭურჭლე იყო. დედაც და მამაც ამილახვრების ყმებად ითვლებოდნენ, მაგრამ მამაჩემმა ბატონის უჯიათობას რომ ვერ გაუძლო, სვენეთიდან გაიქცა და ცოლ-შვილით ღამბარეულს შეაფარა თავი.

მე მყავდა ორი ძმა – გიო და სანდალა. მამა ციებ-ცხელებამ შეიპყრო და საშინელ ტანჯვაში დაალევინა სული. ჩვენს ბედზე ბატონყმობა გადავარდა და დედაჩემის რჩევით გორში გადავსახლდით. დროებით ნათესავებთან ვცხოვრობდით. თუ ღამბარეულში მუდამ თავი მიმძიმდა და გაბრუებული ვიყავი, აქ გამოვცოცხლდი, მოვმაგრდი, ჩემს ტოლებში სახარბიელო და თავმომწონე ქალი შევიქენი.

ძმებს შუამავლებიც მოუვიდა. ბესო ჯუღაშვილს ჩემი თხოვნა უნდოდა. იგი ქარგლად მუშაობდა ფეხსაცმელების სახელოსნოში. ნიშნობამაც არ დააყოვნა. ქორწილიც დიდი გავაჩაღეთ. ორი მეჯვარე გვყავდა. უფროსმა მეჯვარემ, იაკოფ ეგნატაშვილმა დიდი ამაგი დაგვდო ოჯახის შექმნაშიც და მერეც. ბედნიერ ქალად მიმაჩნდა თავი, ჩემი ბესო კარგი მეოჯახე კაცი გამოდგა.

ბესოს წინაპრები მეჯოგეები გახლდნენ, ამიტომაც ჯოგანეებს ეძახდნენ თურმე. ისე, სულ სხვა გვარის, გერელები ყოფილან. გერელები დიდად შეუწუხებიათ მთიდან წამოსულ ოსებს. ბესოს წინაპრები მაჩაბლებს შეუწყნარებიათ და ლილოში დაუსახლებიათ.

ბესომ თავის საქმე გააუმჯობესა და საკუთარი სახელოსნო გახსნა. ერთი წლის შემდეგ კი ჩვენი ბედნიერება იმით დაგვირგვინდა, რომ ბიჭი შეგვეძინა. ბესო კინაღამ გადაირია სიხარულით და დიდი ნათლობაც გააჩაღა. თუმცა სიხარული მწუხარებით შეგვეცვალა, რადგანაც ბავშვი ორი თვისა გარდაგვეცვალა.

მეორე წლის თავზე მეორე ბიჭი შეგვეძინა, მაგრამ არც ამ ბავშვს ეწერა დღეგრძელობა, ისიც ნაადრევად გარდამეცვალა.

მესამეც ბიჭი მეყოლა. ნათლობა დავაჩქარეთ, მოუნათლავი რომ არ გარდაგვცვლოდა. დედაჩემმა წმინდა გიორგის შანა დაჰკიდა ბავშვს ყელზე და ბესოს უთხრა: გორში წავიდეთ საღმრთოს შესაწირადო.

აი, ეს ამბები გადაგვხვდა ჩემი სოსოს შეძენამდე.

– თუმცა ბავშვი ცოცხალი შეგვრჩა, მაგრამ ძალიან სუსტი აგებულების გამოდგა. მეტად ნაზი იყო, კაკაროტი, ხორცი ვერ მოვაკიდებინეთ. სადმე ავადმყოფობა რომ გაჩენილიყო, პირველი მას დაეტაკებოდა ხოლმე. საჭმელში ეჯავრებოდა ხორცეული, სამაგიეროდ, ლობიოს ჭამდა მადიანად.

ერთხელ ორპირ ქარზე ჯდომის გამო ენა ჩაუვარდა. ყველას ეგონა, სოსოს ავი სული დაეცა და კვდებაო, მაგრამ ბავშვი გადაგვირჩა. ეს ავადმყოფობა კი იმის საბაბი გახდა, რომ სოსო გორში სალოცავად წაგვეყვანა. ცხვარი შევწირეთ, პარაკლისიც გადავიხადეთ, მაგრამ ბავშვმა მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როცა გასათხოვარი ქალი, **“ავი სულით შეპყრობილი”**, უფსკრულში გადაჰკიდეს **“მოსარჩენად”**, სოსომ იკივლა და გულში ჩამეკრა.

სოსომ ნაადრევად აიდგა ენა. უყვარდა ყვავილები, განსაკუთრებით ღიღილო და გვირილა. გვირილა მისთვის **“ზიზი”** იყო. ამ ზიზის წყალობით ავადგმევინეთ ფეხი მე და დედაჩემმა.

რამდენადაც ბედნიერი ვიყავი შვილის დღეგრძელობით, იმდენად უბედური ვიყავი იმ მხრივ, რომ ჩემმა ბესომ სმას უმატა. წახდა მეოჯახე კაცი. თავს ვეღარ დასძლია. ყველაფერი კარში გაჰქონდა, ოჯახი საერთოდ აღარ აგონდებოდა.

ჩემი სოსო მეტად მგრძნობიარე ბავშვი იყო. მამის სიმღერას რომ გაიგონებდა, მაშინვე მომეკვრებოდა და მთხოვდა: მეზობლებთან შევაფაროთ თავი, სანამ მამა დაიძინებს, თორემ ისევ გაგაჯავრებსო.

სოსო მამის საქციელზე ძალიან ნაღვლობდა, გულჩათხრობილი შეიქნა, ტოლებში არც კი გადიოდა. მეზობლისგან არსენას ლექსი გაეგო და მთხოვდა: ჩქარა მასწავლე წიგნი, **“არსენა”** წავიკითხოო. მეც მინდოდა მისი სკოლაში მიბარება, მაგრამ ბესო სხვანაირად ფიქრობდა: ბიჭს ჩემი ხელობა უნდა ვასწავლოო. ასწავლა კიდეც, მაგრამ ბავშვი ავად გამიხდა, ყვავილმა კინაღამ თან გადაიტანა.

გადამირჩა შვილი სიკვდილს. მეზობლები ხელს მიწყობდნენ, სოსო რომ მომაგრებულიყო და ჩემი ცოდვით იწვოდნენ. ბესოს მისი სახელოსნოში წაყვანა აღარ უხსენებია. მიბრძანა: კარგად ასვი, აჭამე და მოაძლიერეო. იმას კი არ კითხულობდა, რითი და როგორ?..

რამდენი ღამე გამიტარებია ტირილში. დღისით ვერ ვბედავდი, ან კი როგორ გავბედავდი, როცა ბავშვზე ძალიან მოქმედებდა ჩემი ცრემლი. მეტყოდა ხოლმე: დედი, არ იტირო, თორემ მეც ვიტირებო.

სოსო მომჯობინდა თუ არა, წიგნი მოიკითხა. მეც მინდოდა მისი სასწავლებელში მიყვანა, მაგრამ ბესო თავს იკლავდა: ნასწავლი შვილი დაღუპვად მიმაჩნიაო. მთავარია ბავშვი კარგად გყავდეს, ხელობა რომ შევასწავლო, ხომ ხედავ, მე აღარ ვვარგივარო. ბოლოს შევეხვეწე: პურის მცხობლად დავდგები ან მრეცხავად, ოღონდ ბავშვი უსწავლელი არ დამრჩეს-მეთქი, მაგრამ ისევ სასტიკი წინააღმდეგი იყო.

ჩემი ოცნების განხორციელებაში ჩარკვიანის ოჯახმა შემიწყო ხელი. მათი უფროსი შვილი, კოტე სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და თავის დასა და ძმასაც ამეცადინებდა. კოტემ სოსოს სწავლებაც არ დაიზარა და ერთ კვირაში დედაენა სულ გადააბულბულებინა.

ენკენის თვეში ქრისტეფორე მღვდლის დახმარებით, სასულიერო სემინარიაში შევიტანეთ განცხადება. ბავშვი გამოცდებზე დაუშვეს და სოსო იმდენად მომზადებულად ცნეს, რომ **“სრედში”** (საშუალო) მიიღეს. ბესომ სულ ცეცხლი მოიკიდა: ბავშვს რატომ მიღუპავთო.

დრო გადიოდა... სოსო პირველი მოსწავლე იყო და გადადიოდა კლასიდან კლასში. ეს არ ახარებდა ბესოს და საერთოდ აიღო ხელი მუშაობაზეც. ოჯახი იაკოფ ეგნატაშვილის წყალობით არ დაგვეღუპა. ბესო სმას არ ანებებდა თავს და ოჯახის გასაწყლების მიზეზად მე მასახელებდა. სულ მეჩხუბებოდა და მაბრალებდა, შვილი წამართვიო. ერთხელაც ძალიან მთვრალი მოვიდა, ჩემზე გამოიწია საცემრად და სოსო ძალით წაიყვანა სახელოსნოში. ჩემი ძმებიც მოვიშველიე, ნათლია იაკოფიც და მასწავლებლებიც. ბესო გაჯიუტდა, ვერავის დავანებებ ჩემს შვილს, ახლაც ისეთი წაღები შეკერა, როგორც მირონიო, – ამბობდა. ბოლოს სასწავლებლის უფროსიც ჩაერია. ყველანი არცხვენდნენ, ასეთი ნიჭიერი შვილი გყავს, თავი უნდა მოგქონდეს, შენ კი ხელს უშლი სწავლაშიო. გაჭრა ქვეყნის ხმამ... მაგრამ ბესომ ეს შერცხვენად მიიღო, ითაკილა და სამუდამოდ მოშორდა ოჯახს.

ბესოს წასვლის შემდეგ ძალიან გამიჭირდა ცხოვრება. გარშემო მყოფები კი მეხმარებოდნენ, მაგრამ როდემდე უნდა ვყოფილიყავი სხვის კმაყოფაზე. საკუთარი მარჯვენა ავამუშავე და არავითარ შავ სამუშაოს არ ვერიდებოდი. სარეცხსაც კი არ ვთაკილობდი. შემდეგ უკვე კერვა დავიწყე. ნიჭი აღმომაჩნდა და გორში სახელი გამივარდა, როგორც საბნების საუკეთესო დამლიანდაგებელს. საბნებიდან საცვლების კერვაზე გადავედი, შემდეგ კაბების. ერთი სიტყვით, ნემსის წვერი შეიქნა ჩემი და ჩემი ბიჭის მაცხოვრებელი. სხვა სახსარი მე არ გამაჩნდა.

სწორედ ამ ხანებში გორში ორმა დამ ტანსაცმლის სამკერვალო გახსნა და თავისთან მიმიწვიეს. სრული ჩვიდმეტი წელი დავრჩი იქ და თავჩაღუნული ვმუშაობდი. ნემსის წვერი არ დამიგდია, რაც დამიფასეს. ასე ვინახავდი ჩემს პატარა სოსოს, როცა ბესომ თავი დაგვანება.

ჩემი გარჯილობით ბავშვის გული არ დამიჩაგრია და ყველაფერს თავის დროზე ვაძლევდი, უმამობა რომ არ ეძარდნა. სოსო რამდენჯერმე გადამირჩა სიკვდილს. იყო ასეთი უბედური შემთხვევა, როცა ბავშვი ხელიდან კინაღამ გამომეცალა. მაშინ ის უკვე სკოლაში დადიოდა. საღსალამათი გავისტუმრე სასწავლებელში და ხელზე გადასვენებული მომიყვანეს ჩემი შვილი. თურმე გაკვეთილებიდან შინ რომ წამოსულა, დუქნის მახლობლად, კოპინოვს მეორე ტროტუარიდან დაუძახნია: გადმოდი, რაღაც უნდა გითხრაო. სოსოც ქუჩის რუზე გადამხტარა და კოპინოვისკენ წასულა. ამ დროს გამოქანებულა ფაეტონი, დასჯახებოდა და კინაღამ ცხენებს გადაეთელა. ბავშვი გრძნობადაკარგული მოიყვანეს. მთელი ორი კვირის განმავლობაში ენაჩავარდნილი მყავდა. დიდი ამაგი დამდო ფერშალმა, რომელმაც ექიმილუბომუდროვი მოიყვანა. ორივენი ყოველდღე დადიოდნენ, მანუგეშებდნენ. შემდეგ თავისით მოვიდა ექიმი საакოვი, ისიც კეთილი კაცი იყო. გაეგო თუ არა, ასეთი და ასეთი ბავშვი უკვდებათო, მაშინვე ჩვენთან გაჩნდა. არც ერთ ექიმს არ აუღია გასამრჯელო. ყველანი გულწმინდად მეხმარებოდნენ და ბავშვის სიცოცხლე მაჩუქეს. სოსო მესამე კვირაში უკვე სკოლაში გავისტუმრეთ. საакოვმა ჯიბის ფულად მანეთიანი აჩუქა ჩემს ბიჭს.

როგორც ვთქვი, ჩემი და ბესოს ცხოვრება ერთად შეუძლებელი იყო, ბესო თვითონვე მიხვდა და აკი ამიტომაც გადასახლდა თბილისში. თუმცა იქ ბავშვის სიყვარულს შეუწუხებია და რამდენჯერმე ჩემი გულის მოსალბობად, გროშებიც კი გამომიგზავნა ბავშვის სახელზე. ბოლოს შერიგებასაც მეხვეწებოდა. ფიცს დებდა, ბიჭს თავზე დავადგები და არც სასწავლებლიდან გამოვიყვანო. ეს რომ ჩემმა ძმებმა გაიგეს, დატრიალდნენ და ცდილობდნენ შევერიგებინეთ. ყველაფერში მე მადანაშაულებდნენ: რადგან ბესოს არ უნდა, ნუ ასწავლი ბავშვს, ვინ ვის გამოსდგომია, რომ ეგ თავისი სწავლით შენ გამოგადგესო.

მე ტირილი წამსკდა, გადაჭრით ვუთხარი უარი: ისევ კარის მავალ გლახად ვივლი და შვილს სკოლიდან არ გამოვიყვანმეთქი. ვუმტკიცებდი: თუნდაც ბესოს შევურიგდე, სმაზე ხელს არ აიღებს-მეთქი. მერედა რა ჩინებულად სწავლობს ბავშვი, მთელი სასწავლებელი სულ მაგის ქებაშია. დედას გვერდით ასეთი შვილი ჰყავდეს და სასწავლებლიდან გამოიყვანოს? რა სისულელეა. მაგან უნდა ისწავლოს, ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერ ვუღალატებ-მეთქი.

ან როგორ ვუღალატებდი, მასწავლებლები სულ ჩემი შვილის ქებაში იყვნენ. სვიმონ გოგლიჩიძემ იცოდა თქმა: შენი შვილი ისეთი ხმის პატრონია, რომ ქვეყანას გააკვირვებსო. რაკიღა სოსოში ნიჭიერ ბავშვს ვხედავდი და ყველანი მის ქებაში იყვნენ, ჩემი თავისთვის ბევრი რამ დამიკლია, მაგრამ მისთვის არასდროს მიღალატნია.

რამდენჯერ ჩემი შვილის თავთან მითენებია ღამე. სულ იმას ვნატრობდი, შვილი მოსწრებული გამეხადნა, დამევაჟკაცებინა, ვიდრე ძალღონე მიმტყუნებდა და სიბერე გამტეხდა წელში. ამისრულდა ნატვრა, შვილი დამივაჟკაცდა, ამხანაგების თვალი შეიქმნა. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყველანი მილოცავდნენ, პირველ მოსწავლედ ითვლებოდა ყოველთვის. ახლა ის მაფიქრებდა, სემინარიაში როგორ შემეყვანა ჩემი შვილი. წვადაგვაში გამოზრდილი ბიჭიკო ვაჟკაცივით წამომადგა თავზე და უკვე ქალაქისკენ უნდა გამესტუმრებინა. ჩემი სოსო ისე მოიჩიტა და დამივაჟკაცდა, ერთხელაც არ მომშორებია. ის უჩემოდ ვერ ძლებდა, მე კი უიმისოდ, მაგრამ მას უყვარდა სწავლა და მისდამი წყურვილმა ბოლოს ჩემი თავიც დაათმობინა.

სოსოსთვის ეს პირველი ამბავი იყო, რომ გორიდან გარეთ გავიდა. ძალიან მოეწონა მატარებელი. ეჩქარებოდა ქალაქში მისვლა. ავჭალას რომ მივუახლოვდით, უეცრად მოიწყინა და ატირდა. გული გამისკდა, ავად ხომ არ გამიხდა-მეთქი. თურმე მას სხვა დარდი აწუხებდა:

– დედილო, ქალაქში რომ მივალთ, მამა მომნახავს, მომიტაცებს და მეჩექმეობას მომინდომებს, მე კი სწავლა მწყურია. თუ ასე მომექცევა, თავს მოვიკლავ და მეჩექმეობას არ ვინდომებ.

დავამშვიდე, რომ ხელს ვერავინ შეუშლიდა.

ქალაქში ჩასვლისთანავე ბინის შოვნას შევუდექი. მართალია, ნათესავები ბლომად მეგულებოდნენ, მაგრამ არავის შეწუხება არ მინდოდა. სახლი არც ისე ადვილად ვიშოვე, როგორც მეგონა. დღე თავზე მათენდებოდა, როცა ერთმა სომხის ქალმა დამითმო ბინა.

ახლა სემინარია უნდა მომენახა. ნათესავები დამეხმარნენ და სოსო გამოცდებზე დაუშვეს. დაიწყო გამოცდები, ძალიან ვღელავდი. გორში წავედი, ნემსის წვერი დავატრიალე. ვცდილობდი, საჩქაროდ მომეგროვებინა ერთი ასიოდე მანეთი და გადამეგზავნა სემინარიაში შესატანად, მაგრამ ორი დღეც არ იყო გასული, დეპეშით მაცნობეს: თქვენმა შვილმა ისე გასახელათ, სახელმწიფო ხარჯზე მიიღესო. ერთი თვის შემდეგ, სოსო სემინარიის ფორმაში გამოწყობილი ვნახე და სიხარულით ბევრი ვიტირე.

პირველ ხანებში დიდად ვდარდობდი უმისობას. მთელ ღამეებს ვათევდი ფიქრებსა და ცრემლში. ჩემი სოსო ჰგრძნობდა, რა ძნელი იქნებოდა ჩემთვის მარტოობა, ამიტომაც კვირაში ორ-ორჯერ მწერდა წერილებს, მამხნევებდა, მანუგეშებდა: მალე ამოგიყვან გაჭირვებიდანო. თითოეული წერილი ასი წლის სიცოცხლეს მმატებდა. ჩავიკრავდი გულში და ღამითაც ერთად ვიძინებდით. ყოველდღე უნდა გადამეკითხა ხოლმე.

სოსო სემინარიაშიც კარგად სწავლობდა. ნემსის წვერით გამოზრდილი ვაჟკაცის დანახვაზე, თავს როდი ვუჯერებდი, ჩემი შვილი რომ იყო. მახსოვს, პირველად რომ მეწვია საშობაოდ, თავის ულუფიდან გადარჩენილი შაქარიც კი მომიტანა ხელსახოცში გახვეული. სულ მუჭანახევარი იქნებოდა. მაგრამ ისე გამახარა ამ პატარა ძღვენმა, მთელი წელიწადი გამოვიზოგე. პატარ-პატარა კვნიტით პირს ვიმტკბარებდი, რომ ჩემი შვილის სურნელი მეგრძნო.

დრო გადიოდა... ვატყობდი, სოსო რაც ვაჟკაცდებოდა, იმდენად გულჩათხრობილი ხდებოდა. ნელ-ნელა აქეთ-იქით ჩურჩული ატეხეს და ბოლოს აშკარად გამაგონეს: სოსო ბუნტი კაცი გახდაო. გავქანდი ქალაქში, ვინახულე შვილი. გამწყრალი დამხვდა: რა მოგარბენინებდა, ან რა შენი საქმეა, რას ვიზრახავ და რას არაო. მეწყინა ასეთი მკვახე პასუხი. ეს პირველი შემთხვევა იყო, შვილმა გული რომ მატკინა. ბოლოს სოსომ თავს დასძლია, შუბლზე მაკოცა და დამამშვიდა: არც ვბუნტობ და არც არაფერიო. ეს კი მისი პირველი ტყუილი იყო.

მაგრამ გამართლდა მეზობლების ჩურჩული. სოსომ სხვა გზა აირჩია, რისთვისაც სემინარიას ფეხი ჰკრა და ქვა მიაყარა. შემდეგ მუშებში სიარულით გაერთო და საერთოდ აღარ მნახულობდა. ბოლოს ისიც გავიგე: ბუნტისთვის ციხეში მიაბრძანესო. ისევ ქალაქში გავიქეცი.

ქალაქში შეზარხოშებულ ბესოს გადაეყარე. გაავებული მეჩხუბებოდა: რად წამართვი ჩემი შვილი, შენ რომ სასწავლებელში არ მიგეყვანა, ახლა **“გაჩესტილი”** უსტაბაში მეყოლებოდა, დღეს კი ციხეშია გამომწყვდეული, რად მინდა ასეთი შვილი, მე თვითონ მოვკლავო.

ძლივს დავაღწიე მისგან თავი. ციხეში არ შემიშვეს, მაგრამ ერთი კაცის პირით სოსომ შემატყობინა: არ შეშინდე, კარგად ვარ და სულ მალე გინახულებო. როცა კი უბედურება დამტეხია, ან დაუჭერიათ, ან გაუციმბირებიათ, ყოველთვის ახერხებდა და თავის ამბავს მატყობინებდა იგი. მოვრჩეთ უბედურებებს...

რა ბედნიერებაა, გულის წადილი რომ აისრულა ჩემმა სოსომ ყველა ჩაგრულის მეთვალყურე და მფარველი შეიქნა. ნეტავი, ბესოც მოსწრებოდა ამ ჩვენი სიამაყის ნახვას. ენაცვალოს დედა, სოსო დიდად დატვირთულია, მაგრამ არც ახლა მივიწყებს და პატარა დროს იპოვის თუ არა, გამამხნევებს ხოლმე. აი, ახლაც, ნათელას სურათი მივიღე... მე კი კაკლის მურაბა გავუგზავნე. ახლა ეს პატარა სურათი სულ გულთან მაქვს მიხატული. ესაა ჩემი ტკბილი სიზმრების მომგვრელი, რომ ჩემი დამტირებელი ნათელა იქნება...

1935 წელი”.

ᲔᲛᲐ ᲢᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ”ᲒᲖᲐ”

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისტიური ნოსირი

"... რაც შეეხება მეორე ბიბლიურ პერსონაჟს – იუდას. ინგლისურად ის იწერება და იკითხება ჟუდაჰ (ჯუდა). მეგრულად ჯუდა ნიშნავს კოცნას, ამბორს. ასე, რომ როცა ამბობენ "იუდას ამბორი", ეს არის ტავტოლოგია ანუ "ამბორის ამბორი"; როგორც ცნობილია იუდამ თავისი ამბორით გაჰყიდა ქრისტე ოცდაათ ვერცხლად, ამიტომ სახელი იუდა ყველასათვის ასოცირდება გამყიდველურ ამბორთან (ჯუდასთან). ცნობილია ასევე, რომ იუდა იყო ერთადერთი იუდეველი თორმეტ მოციქულთა შორის, ხოლო დანარჩენები იყვნენ გალილეველები. ამიტომ მას არ შერქმევია ეს სახელი იუდა (ჯუდა), ისევე, როგორც პილატეს, როგორც კოლხური სამყაროს წარმომადგენელს. საქმე იმაშია, რომ ეტყობა, იმ დროისათვის პალესტინაში ისე მძლავრობდა, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, კოლხური ატმოსფერო, რომ მის მიერ მაცხოვრის ამბორით გაცემას კოლხმა ქურუმებმა უწოდეს თავისი სახელი (ჯუდა), რაც შემდეგ საფუძვლად დაედო მის საკუთარ სახელს".

ხოლო, რაც შეეხება ანთროპონიმ იოანეს, აი, რას ვკითხულობთ მის შესახებ: "იოანე ნათლისმცემელი, წინასწარმეტყველი, რომელიც იმისთვის იყო მოვლინებული, რომ ხალხი იესო ქრისტეს მოსვლისთვის შეამზადებინა. თუმცა იესოს არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია, მან სთხოვა იოანეს მდინარე იორდანეში მონათვლა, რითაც ღვთის ნებისადმი თავისი მორჩილება გამოავლინა.

მოგვიანებით იოანეს მხილებით აღშფოთებულმა ჰეროდე მეფემ (სხვათა შორის საყოველთაოდ ცნობილია, რომ არც ჰეროდე მეფე იყო წარმოშობით ებრაელი – ნ.კ.) მისი შეპყრობა ბრძანა. საპატიმროდ იოანმემ იესოსთან მიაგზავნა რამოდენიმე თავისი მოწაფე, რათა მისთვის ეკითხათ: "შენ ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს ველოდეთ?" იესომ უპასუხა: "უთხარით იოანეს რაც ნახეთ და მოისმინეთ: ბრმებს მხედველობა უბრუნდებათ, ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმინდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და ღატაკებს ეხარებათ". შემდეგ იესო მოუბრუნდა გარსმოხვეულ ხალხს და უთხრა, რომ იოანე ნათლისმცემელი წინასწარმეტყველზე დიდია... ვინაიდან... დედაკაცის ნაშობთა შორის არავინ არის იოანეზე დიდი. ამის შემდეგ სულ მალე ჰეროდეს ცოლმა მზაკვრობით მიაღწია იოანეს სიკვდილით დასჯას". (ბიბლიური ენციკლოპედია, ერთტომეული, 1998, გვ.203).

იოანე ნათლისმცემელმა იესო ქრისტეს მოვლინებაში მამლის ყივილის (ყიონი) როლი შეასრულა. თუ რატომ მამლის ყივილის როლი, ამაში ახლავე, დავრწმუნდებით.

როდესაც მამალი იყივლებს (ყიონი), აუცილებლად გათენდება (თანაფა-გათენება), მაგრამ "თანაფა" მეგრულად აღდგომასაც ნიშნავს. მამალმა იყივლა (ყიონი), ანუ იოანე (ყიონი-იონა) ნათლისმცემელმა იწინისწარმეტყველა იესოს მოვლინება; იესო ქრისტე მოევლინა ქვეყანას, რასაც მოჰყვა მისი მოწამებრივი სიცოცხლე და ჯვარცმა, ბოლოს კი მოხდა მისი აღდგომა (თანაფა, გათენება).

ყიონი (ყივილი) განხორციელდა პიროვნების სახით იონაში (იოანეში).

ამ შუალედში, გათენებამდე დროში შემოდის იესოში ქრისტე და ყალიბდება ის, როგორც ღმერთი. მამაღმერთის ნებით ის ჯვარს ეცმევა, მისი წვეთი სისხლისა ეცემა დედამიწაზე, რომელზეც ის აღტაცებით ამბობს: "აჰა, აღსრულდა". ე.ი. მიწიერი, ანუ ადამიანი დაუკავშირდა ციურს, ანუ ღმერთს და ქრისტეს აღდგომასთან ერთად შეწყდა სულის გაფანტვა, ანუ ქვესკნელში დამარხვა, ე.ი. მოხდა კაცობრიობისათვის სულიერი გათენება ანუ თანაფა.

როგორც ცნობილია, კოლხური ტომები განფენილნი იყვნენ, როგორც შავი, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზებში. მათ შორის პალესტინაში და არაფერი გასაკვირი იმაში არ უნდა იყოს, რომ ეს უპირველესი ქრისტიანული მისტერიაა და ამ მისტერიის ერთერთი მთავარი მონაწილის იოანეს სახელი პირდაპირ კავშირში იყოს კოლხეთთან".

ამიტომ ზემოთ მოხსენიებული ბიბლიური პერსონაჟების სახელების ინტერპრეტაციებიდან გამომდინარე, არ იქნება სიმართლეს მოკლებული თუ ვიტყვით, რომ ის, რაც მოხდა პალესტინაში ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, იყო ერთერთი უდიდესი კოლხური მისტერია.

ყველაფერი ამის შემდეგ მივუბრუნდეთ ისევ ტოპონიმ ნოსირს, რომელიც ასე ახლოსაა, თუ იდენტური არა, ტოპონიმ ნაზარეთთან. ნაზარი მეგრულად ნიშნავს აოხრებულ, განადგურებულ, მიწასთან გასწორებულ ადგილს (აქედანაა ქართული სიტყვა ზარალი). ეს კიდევ ერთი ეტიმოლოგიაა ნოსირისა. მახსენდება ზვიად გამსახურდიას ერთხელ ნათქვამი, რომ ზოგჯერ ერთ სიტყვას შეიძლება თორმეტი სხვადასხვა ხარისხის განმარტება ჰქონდესო. ჩვენი აზრით ნოსირი ერთ-ერთი მათგანია. სხვათა შორის, შეიძლება ამ სიტყვებს: ნოსილი(მოსილული), ნოსირი, ნოზირი (დაგროვილი), ნოსკირი, ნოცირი, ნოცილი, ნოცრი, ნაზარი, ნოისირი (ნაისლევი, ისრი-ისლი) ჩვენ ტოპოონიმებიც ვუწოდოთ.

ნაზარეთი შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ნაზარი-თექ, ანუ რაც ნიშნავს ნაზარალებ, აოხრებულ, განადგურებულ ადგილს; ხოლო ნაზარი, რაც იდენტურია ნოსირისა (სირუა-სრვა, წყვეტა) მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ ეს ადგილი ყოველთვის, ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგაც იყო დიდი ბრძოლების ეპიცენტრი. სხვათა შორის რა საოცარიც არ უნდა იყოს მეოცე საუკუნის 90-იან წლების დასაწყისშიც სწორედ ამ ადგილას (ნოსირში, ანუ ნაზარში) მოხდა ყველაზე ფართომაშტაბიანი საომარი მოქმედებები ეროვნული ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის.

მაგრამ თუ არის ნაზარეთი (ნაზარი), მაშინ უნდა იყოს ბეთლემიც, სადაც ქრისტიანული გადმოცემით დაიბადა იესო ქრისტე. და მართლაც ნოსირიდან რამოდენიმე კილომეტრში არის სოფელი ბეთლემი, რომელსაც მეგრულად ბერთემი ეწოდება. ბერე, ისევე როგორც სკი(სქირი) ნიშნავს ვაჟიშვილს, ძეს, პირმშოს, ხოლო ბერთემი ნიშნავს ძის თემს (ო.ხუხუა). თვითონ სიტყვა თემი მომდინარეობს სიტყვიდან "თი", რაც ნიშნავს – ოჯახი, სახლი, გვარის განაყარი, ხოლო თემი ნიშნავს ერთი გვარის მოსახლეობას, რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი, თავი (მეგრულად "თი"-ნიშნავს თავსაც) ჰქონდა თავისი წესჩვეულებები.

საფიქრებელია, რომ სწორედ აქ იშვა იესო ქრისტე, ხოლო შემდგომ ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ნოსირში (ნოსკირში), რომელიც ჩვენის აზრით იმ დროისათვის ქალაქური ტიპის დასახლებას წარმოადგენდა. მითუმეტეს, რომ ნოსირის ცენტრს დღესაც ჰქვია "კარიეთი", რომლის ეტიმოლოგია ჩვენი აზრით დაკავშირებულია "ქართ"-თან რაც მეგრულად ქალაქს ნიშნავს.

დაკვირვებული მკითხველი იტყვის, აკი ნოსირში (ნოსკირში) დაიბადაო? აქ დასაბუთებით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ შედარებისათვის მოვიყვანთ პარალელს, ციტატას შიურეს წიგნიდან, სადაც ის გამოთქვამს მოსაზრებას ქრისტეს დაბადების შესახებ პალესტინის ბეთლემსა თუ ნაზარეთში.

ედუარდ შიურე თავის წიგნში "დიდი ხელდასხმულები" ქრისტეს დაბადებასთან დაკავშირებით ამბობს (მოგვყავს ჩვენეული ქართული თარგმანი):

"იესო ძალიან დიდი ალბათობით დაიბადა ნაზარეთში". და იქვე, სქოლიოში დასძენს: "შესაძლებელია ისიც, რომ იესო, რაღაც შემთხვევის წყალობით დაიბადა ბეთლემში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს გადმოცემა შედის უფრო გვიანდელი ლეგენდების ციკლში, რომლებიც ეხებიან წმინდა ოჯახსა და ქრისტეს ბავშობას:" (Эдуард Шюре, "Великие посвященние", Очерк эзотеризма религии, Калуга, Типография-Губернской Земской Управы. 1914, გვ.352)

სიტყვა "ბერე", რომ თვით ბიბლიის საკვანძო სიტყვაა. ეს სნანს სიტყვა "ბერეშით"-იდან. მოვიყვანოთ ამონარიდი ჩვენი სტატიიდან: "უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა" (ჟურნალი "ცოტნეიდელი" ტ.V, გვ. 152-153):

"ბერეშით-ებრაული დაბადების პირველი თავის, პირველი მუხლის პირველი სიტყვა, რაც თითქოს ნიშნავს "თავდაპირველად., "ბერე" მეგრულ – ლაზურად ნიშნავს "ვაჟიშვილი", "ძე", "პირმშო" ასე რომ "ბერეშით" შეიძლება წაკითხული იქნას როგორც "ძისით" და ამ შემთხვევაში პირველი მუხლი წაიკითხება: "ძისით შექმნა ღმერთმა ცა და მიწა".

ეს მოსაზრება რომ ვინმეს ჩვენი ფანტაზიის ნაყოფად არ მოეჩვენოს, მოვიყვანთ ამონარიდს წიგნიდან "Толковая Библия" под редакцией профессора Д.П. Лопухина, "Ветхий Завет", I, Москва, стр.32 "книга Бытия" гл.1:

1, В начале сотворил Бог небо и землю.

В начале ... Как у святых отцов так во всей последующей истолковательной литературе существуют два главных типических толкования данного слова. По господствующему мнению одных- это простое хронологическое указание " на начало творения видимых вешей" (Эфрем Сирин), т.е. всего того, история постепенного образования чего излагается непосредственно далее. По аллегоригескому же толкованию других (Ориген, Амвросий, Августин и пр.), слово "в иачале" имеет здесь индивидуальный смысл, заключая в себе прикровенное указание на предвечное рождение от Отца второй ипостаси Святой Троицы-сына Божия, в котором и через Которого было совершено все Творение (Ин. 1:3; кол. 1:16) ".

ნუგზარ კვაშილავა
"შაზისი"-ს აკადემიის ნამდვილი წევრი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

როლანდი, დოხოდი!!!

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ უყვართ სამეგრელოში შემწვარი თუ მოხარშული თხა, რომელსაც გურმანები მოფერებით "ქაცარს" ეძახიან. მაგრამ სიყვარული მრავალნაირია – მათ შორის რომანულიც. ჰოდა, თუ თხა გიყვართ არა როგორც სამზარეულოს ატრიბუტი, არამედ, როგორც სექსუალური პარტნიორი, მაშინ მისი ხორცის მირთმევას კატეგორიულად კრძალავს სააკაშვილის ნაციონალებისა და ევროამერიკული საერთაშორისო სოდომისტური არასამთავრობოების წესდება, რადგან, სექსისათვის შეგულებული თხის ხორცის ჭამა მათთვის კანიბალიზმად ითვლება. ჩვენ არ ვიცით, უყვარს თუ არა პარლამენტარ როლანდ ახალაიას მოხარშული ან შემწვარი თხა, მაგრამ იგივე თხის მიმართ იგი ფაქიზ რომანტიულ გრძნობებს ჯერ კიდევ სიყმაწვილიდან რომ განიცდიდა, ეს გაზეთ "ასავალ-დასავალის" ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილიდანაც კარგად ჩანს – (გაზეთი "ილორი").

ძვირფასო მკითხველო, აღმოსავლური კალენდრის მიხედვით 2015 წელი ლურჯი თუ მწვანე თხის წელია. არც ლურჯი და არც მწვანე თხა, ცხადია, ცხოვრებაში არ მინახავს და მსგავსი საშინელება არც დამსიზმრებია, მაგრამ უკან მოტოვებულ წლებსა და ჩემს მოკრძალებულ ჟურნალისტურ შემოქმედებას რომ ვიხსენებ, ნებსით თუ უნებლიეთ

მაგონდება ერთი ჩემი გახმაურებული მასალის უწყინარი პერსონაჟი – თხა, რომელსაც ძალიან აწყენინეს და შეურაცხყვეს!

ალბათ ის საცოდავი თხა იქნებოდა სიმწრით გალურჯებული ან გამწვანებული, რადგან ჩემი ძველი რესპონდენტების გადმოცემით, ამ უცოდველ ცხოველთან სქესობრივი კავშირი დაამყარა და შესცოდა სამეგრელოს ყოფილმა პროკურორმა, ლეგენდარული ბაჩო და დათა ახალაიების მამამ, **პარლამენტარმა და თხე(ბ)ით ტერფამდე ნაციონალმა** როლანდ ახალაიამ.

გადმოცემის თანახმად, როლანდისა და ტანკენარი მეგრული თხის გამიჯნურების ისტორია, ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, ახალაიების ოდაბადეში დაწყებულა. ქერაკულულებიან და ცისფერთვალება როლანდს თხა მოუხიბლავს, თხასაც გული შევარდნია ჭაბუკზე და მოსახდენიც მომხდარა.

გაგიჟებულა თხის პატრონი – გვარად ღურწკაია და მილიციაში უჩივლია გაცეცხლებულს – ახალაიების ყაზახმა თავი მომჭრა, მარჩენალი თხა გამიბახა და სასწრაფოდ პასუხი აგებინეთ მაგ გათახსირებულსო!

ხობის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილე ყოფილა გვარად ჭანტურია, რომლის ვაჟიც – სოსო ჭანტურია ათეული წლების შემდეგ შევარდნაძის გამგებლად გაამწესეს აბაშაში. ჰოდა სწორედ მამა-ჭანტურიას დაუჭერია 16 წლის როლანდი, რომელსაც მილიციის განყოფილებაში უკრეს თავი...

ამტყდარა ერთი ამბავი, ჩარეულან საქმეში რაიკომი, აღმასკომი და ვერდიქტი გამოუტანიათ – "რაიონს თავი ეჭრება, ხოგელებმა თავი სად უნდა გამოვყოთ, გაუღეთ გალიის კარი და გარეთ გამოაგდეთ ეგ გათახსირებული როლანდ ახალაია, უნდა თხას დაეტაკოს და უნდა – კამეჩსო!"

თხისა და როლანდის სიყვარულის ისტორიაში არის რაღაც ორიგინალური და მითიური, ძვირფასო მკითხველო!

ცნობილია, რომ ოლიმპოს მბრძანებელი, ღმერთების ღმერთი ზევსი, სწორედ თხამ გამოკვება, რომელსაც **ამალთეა** ერქვა!

გაიხსენეთ კარლოს დიდის დისწულის – გრაფი როლანდის ტრაგიკულად დაღუპვის ისტორიაც, რომელიც, რა თქმა უნდა, თხას არ მოუკლავს, ბასკებმა მოკლეს რომსევალის უღელტეხილზე გადასვლისას, მაგრამ განა ფრანკთა იმპერიის ბრწყინვალე გრაფი როლანდ ახალაიას სეხნია არ იყო?

ახლა კი, უფრო სერიოზულად, ძვირფასო მკითხველო!

როლანდ ახალაიას ჰქონდა შანსი, ეს სამარცხვინო ისტორია გართულებების გარეშე დაესრულებინა და ყველაფრისთვის ერთხელ და სამუდამოდ მიწა მიეყარა, მაგრამ მიშას ერთგული პროკურორი და ზუგდიდის დღევანდელი მაჟორიტარი თანამდებობაზე აღმოჩნდა თუ არა, მაშინვე ხელები დაიკაპიწა და აბაშის ყოფილ გამგებელს, იმ მილიციის უფროსის ვაჟს სოსო ჭანტურიას დაებრდღვნა!

უბედურ სოსო ჭანტურიას როლანდ ახალაიამ შეთითხნილი ბრალდებით 6 წელი მიუსაჯა, ხოლო ზუგდიდის ციხეში მყოფს, 6 წელი ისევ იმავე მუხლით დაუმატა. ერთი სიტყვით, სააკაშვილის პროკურორმა როლანდ ახალაიამ სოსო ჭანტურია 12 წლით ციხეში მხოლოდ იმიტომ გამოკეტა, რომ ჭანტურიას მამამ 16 წლის როლანდი თხის გაუპატიურების ბრალდებით მილიციაში წააბუნძულა.

ნერვიულობის გამო პატიმარს სტენოკარდიული შეტევა განუვითარდა, რის გამოც ის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს!

ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, 2006 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ბაჩო ახალაიამ ე.წ. "რეზბალნიცაზე" პირადად ინახულა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სოსო ჭანტურია, რომელსაც ცემით სული ამოხადა!

ასე მოტ...ნეს თხა და ასე მოკლეს კაცი მამა-შვილმა ახალაიებმა...

ბატონო როლანდ, ლურჯი და მწვანე თხის წელის დადგომას გილოცავთ!

თხასთან თქვენი კონტაქტი შედგა და წლების შემდეგ თქვენმა ბიჭებმა და მათმა მანიაკმა ხელქვეითებმა ისე კარგად შეითვისეს და აითვისეს ეს ხელობა, მამაკაცების გაუპატიურებაზეც კი მოაწერეს ხელი.

ის უბედური თხა კი, ალბათ, ისე დაკლეს, ან ნადირმა ისე დაგლიჯა, პირუტყვი იყო და ნამუსი ბოლომდე შეგინახათ, მაგრამ თხის პატრონი ვერ გააჩუმეს, თურმე, ბატორო როლანდ!

ადრე იქნება თუ გვიან, იმ თხის პატრონის მსგავსად, ისინიც აყვირდებიან და ხმას ამოიღებენ, რომლებიც ნაძირალა და გარყვნილი მიხეილ სააკაშვილის თამადობით ბაჩო ახალაიამ, მეგის ქარდავამ, კოხტა კოდუამ, გოგა ღურწკაიამ, ლევან ქარდავამ, სოსო თოფურიძემ, ალექსანდრე მუხაძემ და დანარჩენმა ზონდერებმა გააუბედურეს!

იქნებ, ასე მაინც ეშველოს ამ დაქცეულ ქვეყანას.

მანამდე კი, როლანდ პატენი, დოხოდი!

მოაჯექით თხას და ჩვენ თუ არა, ნაცმოძრაობას მაინც მიულოცეთ ახალი წელი!

დიტო ჩუბინიძე

ილორი
გულისტკივილით ნათქვამი

ღია წერილი ბატონ რიჩარდ ბოის ნორლანდს,

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში

მოკრძალებულ პატივდებით
შევთხოვ რიჩარდ ბოის ნორლანდს,
დე, დაიცვას დიპლომატის ყველა ნორმა
და აცნობოს ვაშინგტონში,
რომ არ მოგვწონს ტაში-ტუში,
ყოვლისმცოდნე ვაჟის ტონში!
ჩვენს ქვეყანას თუ რამ კარგი აბადია,
ეს ნამუსის ქუდია და ნაბადია...
ნუ ცდილობენ, მისი შერყვნა ვაპატიოთ
„ცოცხოსანს“ და კაცის მკვლელთა
„ნაც-პარტიას“,
კიევს თავს რომ აფარებს და
გვამადლიან...
გეეედრებით, ნუ დაგვმართეთ აპათია,
ნუ გგონიათ, საქართველო საბატეა!

რა ჯანდაბამ გადარია?

„დარჩა ქართული კულტურა ყროყინასა და ღრუტუნას?“
ამონარიდი ძველი „სათრეველადან“

ფუტუროსთან ფუტუროსანს
რომ სურს წაიპრუტუნოსა,
თანაც ჩაეხუტუნოსა,–
ყროყინობს და ღრუტუნობსა
და ჰგონია, მადლით მოსავს
კულტურას და კულტუროსანს.
რადგან სადღაც გამოძებნეს,
აფეთქებს და ანგრევს ძეგლებს,
რომ ქვეყანა ჩამოგვენგრეს,
მტერს რომ უნდა, ზუსტად ეგრე.
– ამით ვინ რა იხეირა? –
აქ ეს კითხვა დავსვით იმად:
ყროყინაც გვყავს და გვყავს ღორიც,
მიხოცა გვყავს, თანაც – ორი.
ჰოდა, რომ ვერ მივხვედრილვართ,
თქვას ამ ორმა მიხეილმა,
ორივე რამ გადარია,
რად ატეხეს რია-რია,
მტრული ხელი რად დარიეს
საყდრისსა და „მემორიალს“?

გზა გადავუღობოთ ჰეროსტრატეებს!

ეყო საქართველოს, რომ პირწმინდად გაუნადგურეს მრეწველობა, როგორც „საბჭოთა ხელისუფლების გადმონაშთი“; მეჩაიეობა, რომლითაც ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზე ვიმყოფებოდით, სამეცნიერო კერები, რომლითაც მსოფლიო გვიცნობდა. სამწუხაროდ, ამჯერად უკვე თვალნათლივია და დღითიდღე აქტიურდება ბრძოლა ეროვნული კულტურისა და მისი ძეგლების წინააღმდეგაც.

გვაკმარონ ბარბაროსებმა, რომ საყდრისი აგვიფეთქეს და ნურავის მივცემთ უფლებას, რომ კვლავ განაგრძოს ქართული სულიერი კულტურის სხვა ძეგლების განადგურებაც. არადა, ჰეროსტრატეობა ზოგმა ცხოვრების მიზნადაც კი დაისახა და სწორედ ამის შედეგია, რომ ნაციონალთა მიერ „დიდების მემორიალის“ აფეთქების შემდეგ მათი მემკვიდრე ქუთაისელი ჰეროსტრატეები ახალ შემზარავ დანაშაულს ამზადებენ: საუბარი წამოიწყეს, რომ სურთ ააფეთქონ საჭრეთელის ცნობილი ოსტატის – ვალერიან მიზანდარის მიერ ხელთქმნილი, ყველაზე ახალგაზრდა, ამასთან ძირძველ ქუთაისურ ოჯახში დაბადებული და აღზრდილი ლეგენდარული ქართველი გენერლის ვასილ კიკვიძის ქანდაკება, რომელიც ხელოვნების ჭეშმარიტი ძეგლია. ამ კოშმარული ფიქრებით დამძიმებულს სიზმარში, როგორც ცხადში, ისე გამომეცხადა ჩემი ყრმობის მეგობრისა და თანამერხელის, სულგანათლებულ გივი მიზანდარის მამა, ბატონი ვალერიანი, რომელმაც მთხოვა, ყველა პატიოსან ქუთაისელთან ერთად ხმა ამემაღლებინა მოსალოდნელი ბარბაროსობის წინააღმდეგ. იმ სიზმრის შემდეგ დღესაც თითქოსდა ყურში ჩამესმის მისი ვედრება:

ჭორად მაქვს მე ყურმოკრული
და ცოდვა არვინ დაიდოს,
რომ მტრისა ტყვიით მოკლული
ქუთაისმაც არ დაინდოს!

ღმერთმა ინებოს, რომ აღარ გაგრძელდეს ჰეროსტრატეს მიმდევართა ბარბაროსობა!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი არნახული დანაშაული

1991-92-93 მაფიოზურ-კრიმინალური გადატრიალება განახორციელეს: რევანშისტ-კომუნისტებმა და გაბოროტებულმა, კაცთმოძულე წითელმა ინტელიგენციამ, კრიმინალურ-მაფიოზურმა დაჯგუფებებმა, აგრეთვე ეროვნულ მოძრაობაში შეგზავნილმა აგენტებმა, ე.წ. **“ნასედკებმა”**, თავიანთი ე.წ. პოლიტპარტიებით და საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში მოკალათებულმა დამკვრელმა, წითელი **სუკ**-ის სამდვდელო დასმა სასულიერო მაღალი იერარქების ჩათვლით.

მათ უკან იდგა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოვალეობის შემსრულებელი სუფიან ბეპაევი, თავისი სპეცჯგუფებით. ამ დამკვრელმა რაზმმა განაპირობა საქართველოში ხელისუფლების დამხობა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერების საკმაოდ ინდეფერენტული (ჩვენი აზრით – დანაშაულებრივი) დამოკიდებულება ამგვარი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიდემოკრატიული შეთქმულებისადმი. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **აშშ**-ს მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში-უფროსის როლი ჩვენს სამშობლოში კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობაში. მან კრემლის მესვეურებთან შეხმატკბილებული ამორალური გაუგონარი შეთანხმებით გადაწყვიტა ნებისმიერი ხერხით მოეცილებინათ საქართველოს კონსტიტუციური გზით არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და გაეთავისუფლებინა ადგილი უსაქმოდ დარჩენილი შევარდნაძისათვის, შემდგომში ეს ვერაგული განზრახვები სრულიად ცხადი გახდა. ამით დასავლეთის მაშინდელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა არათუ ფეხქვეშ გათალეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები (როგორც ჰელსინკის, მადრიდის და სხვა შეთანხმებები) არამედ უგულვებელჰყვეს მათ მიერ აღიარებული დასავლური ფასეულობები და ღირებულებები.

საქართველო გადატრიალებების შემდეგ წავიდა არაბუნებრივი განვითარების გზით და დაიწყო პოლიტიკურ-ეროვნულ-საზოგადოებრივი გამყინვარება, რომელიც დღემდე გრძელდება და რომ, პუტჩის შემდეგ, საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო, დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. 1991 წლის დეკემბრის იმ უბედურების, 2 წლის შემდეგ (1993 წლის 31 დეკემბრს) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ-ფიზიკური ლიკვიდაცია მოახდინეს, რაც მე-20 საუკუნეში განხორციელებულ პოლიტიკურ დანაშაულთა შორის ყველაზე შემზარავი და მძიმეა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი),
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის პრეზიდენტი,

ბესო (ბესარიონ) მიქავა,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე,

მღვდელ-მონაზონი ილარიონი (ჯანელიძე)

ნანა კახიანი,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი,

ვალტერ ოჩიგავა,
პოლიტდევნილი,

ზურაბ ქობალია,
ჟურნალისტი,

ნუგზარ კობახიძე,
ადამიანის უფლებადამცველი,

გოგი სოიტაშვილი,
პოლიტდევნილი,

მზია ბაძრაძე,
დევნილი ჟურნალისტი,

მანანა ჯიჯეიშვილი,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წევრი,

გრიგოლ გოგვერაძე,
მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ დამფუძნებელი

პოეზიის კუთხე

ქვერსემ ოღალ

ათე რინაქ მუზმა დოღალ,
პუხუს მუნობძ ქვერსემ ოღალ.
ჩქიმ დუც ვორწყექ, ჭყინტ დო რჩინც,
მიზღვინდუანც ჭვემა ჭინც.
ხეს მიკინებ თე ცა– სარკე,
ჩქიმ დუც ირო წანეფც ვარკე.
თე ბორჯ ირო მუშო ირთანც,
ამსერ თუთაქ ოკო მირთას.
ჩანარ ბძირენ, ბთქუა ზინთხას –
სო მორთუ დო ვარა მიქ თას?
ჩქიმ ოღალც მით ლექინც ორწყე –
მოზოჯას დო ქათუდირთას.
მუმა მუშენ გიოდვეს
ელნაფალას ა ჯოხო დო
მი ორა დო მი ორდეს.
ქორთულ ნინა სქუა რე დო
მუმაშ ჯოხო გიოდვეს.
ცაშე ცენც ჯა დო ქუა
გურით ნარღიშ ბანდის ფხეშა.
მუმას ჯოხო ამდღა სქუა,
ათე ფულირ ამბეშ გეშა.

მასქერც ქიმკორულაფუ დო
სქუა განთხის გითმუღანც,
მუმას იჯოგუანც დო
სალამუსოს მიდმუღანც.
ელნაფალას ა ჯოხო დო
მი ორა დო მი ორდეს.
ქორთულ ნინა სქუა რე დო
მუმა მუშენ გიოდვეს?!
* * *
ოხვამეს ი უაფუნო
ე ორზამალო თუთუმი?
მინშა მუმალე თე არზი,
ირფელც მუშ ბორჯი გუთუნი.
ვემკაწონებე ცა, დიხას,
მუთ უჭვემუ დო უთუნი.
ე დიხაუჩა ქირთანც ,
მარა თეთ ვარე მუთუნი.

შურ თაკილენც

შურ თაკილენც, ვაჩენდ,
ულა ოკო, სქემე.
ცას მუკობუ ჭვემა,
მარა ვაგოჭვემე.

ჩე მუნაფაშ ხურხის,
ჩქიმ ლერს ქიმკორდელე.
არძას ვორწყექ მუხურც,
თაქ ვორექ დო მელე.

აკორუმელ დიხას,
გილაგორუნც ჩვერე.
არძა ალა–კვალა,
მინ უნგა დო ვერე.

მეტყურეფიშ ხანდათ
კინე აკიკათეს.
ემირღვანა ღანდას,
ოლაფარეშ კართეს.

მუთუნც ვაუღ შინა,
დღა გიმანთხუ ქირო.
ოშშა გუნარჩქინა,
ართშა ვეპიქ ჯგირო.

ანაქია ურქენც,
თოლ ინონჭაფ გალენც.
გამწას ორღვანც ფურცელც,
თევრენც დო თავრენც.

ზისხერქ ქაკათ ბირცხას,
კონწარ მივოღვარენ.
მი გეგონენც ძიცას,
ცა ვეძიცანც, ცა რენ.

ვაკომირღვა უდე,
დუც მიკორდვა ლუბას.
ათაქ მიღუ ყურდგი,
ჩქიმი აკნახუბა.

თე შქორია ჯალეფც,
უნარუა წორო.
გოკონ მომიჩალან,
იშენ მი ორც ორო.

სერიშ მუმას ვართუქ,
დღალეფც თევრეთ ბძირუნქ
დო ცაშ პეულ შქართუნც,
ჰამას ქაშემნჯირუქ.

შურ თაკილენც, ვაჩენდ,
ულა ოკო, სქემე.
ცას მუკობუ ჭვემა,
მარა ვაგოჭვემე.

ზაალ ჯალაღონია

სასურველია ეს ასე იყოს

თვალსაზრისი

დედაქალაქის იერსახე ცვალებადობას განიცდის. იგრძნობა სიტყვის და საქმეს შორის მანძილის შემცირება, ვიდვწით სულ ზევითზევით, მაღლა და მაღლა; ხომ ლამაზია ჩვენი თბილისი, მაგრამ ჩვენ უფრო ლამაზი გვინდა იყოს, დაცულ იქნას ჰარმონია წარსულს, აწმყოს და მომავალს შორის, რათა არ გაფერმკრთალდეს ის ტრადიცია რომელიც საუკუნეობით იძერწებოდა და ხიბლს მატებდა ქალაქის იერსახეს.

ქალაქში მიმდინარე ფართომასშტაბიანი მშენებლობა საჭიროებს მოქალაქეთა აზრის გათვალისწინებას, ძველი არქიტექტურული ნაგებობების გაფრთხილებას და განახლებას. ნაკლოვანი მხარე ჯერ კიდევ ბევრია, რომლის გამოსწორება არცთუ ისე ძნელია. აი ისიც:

1. ძმათა სასაფლაოები მსოფლიოში დიდ პატივშია, ხოლო კუკიის მემორიალური კომპლექსი სავალალოდ გამოიყურება, არადა ის გასული საუკუნის სამოციან წლებშია განაშენიანებული საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, სადაც განისვენებს ოთხი ათასზე მეტი ჯარისკაცი, მოპარულია ფარი და მახვილი, რომელიც შესასვლელში იყო მიმაგრებული, მას მიაყოლეს ვერძის ქანდაკება, ტანკს ლულა მოახერხეს, დურალუმინის წარწერები სამხედრო ნაწილების ნომრით და ჯარისკაცების გვარით რამოდენიმეჯერ მოიპარეს, სასმელი წყლის და სარწყავი მილები გაზიდულია. მთელი ტერიტორია გაუვალი ბალახითაა დაფარული. ვისაც რაც უნდა იმას აკეთებს ტერიტორიაზე, ისიც ვერ გავარკვიეთ, ვის ეკუთვნის მისი მოვლა-პატრონობა, მემორიალური კომპლექსი კულტურის განყოფილების ბალანსზეა, ხოლო მეურვეობა ვეტერანების პროგრამაა, ხოლო მიცვალებულების რიტუალს: „ჰერმესი“ ახორციელებს. მდგომარეობის გამოსასწორებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარკვეული ჯგუფის შექმნა არსებული ვითარების შესაფასებლად და მომიჯნავე ტერიტორია, ყოფილი „ჰერმესი“-ს ავარიული ადმინისტრაციული შენობის, მისი ეზოს და მიმდებარე პროფილაქტიკის უბანი, რომელიც შეჭრილია სასაფლაოს ტერიტორიაზე, რაც დაუშვებელია, უნდა გადაეცეს ვეტერანებს და შეუერთდეს სამხედრო მემორიალურ კომპლექსს, რითაც დიდი ხნის განმავლობაში გადაწყდება ვეტერანებისთვის საფლავის გამოყოფის საკითხი.

2. საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული მეომრების მემორიალი გმირთა მოედანზე დიდ უხერხულობას ქმნის მიმსვლელებისთვის, განსაკუთრებით დელეგაციების სტუმრობისას იხერგება და წყდება ტრანსპორტის მოძრაობა. მეომართა გვარ-სახელების თანმიმდევრობა დაუცველია, ზოგის ამოკითხვაც ძნელია, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გადატანა რიყის ტერიტორიაზე, სადაც ყველას ექნება, მშვიდ ვითარებაში, პატივი მიაგოს სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს, სადაც ყოველი მტკაველი მიწა წინაპართა სისხლითაა გაპოხიერებული. მიზანშეწონილი იქნებოდა ევროპის მოედნის სახელწოდება გადატანილ იქნას გმირთა მოედანზე, ხოლო მეტეხის მოედნის სახელი აღსდგეს, ან იბერიის, ეგრისის სახელწოდებით დამშვენდეს, რიყეზე აუცილებლად უნდა გამოიყოს გმირთა ხეივანი, სადაც დაიდგმება სამშობლოსათვის თავდადებული გმირების ძეგლები: ცოტნე დადიანის, თედორე მღდლის, ფარსმან მეფის, ქუჯისა და აიეტის, გიორგი ბრწყინვალის, წმინდა ნინოს, ქეთევან წამებულის, ერეკლე მეფის და სხვა თავდადებული მამულიშვილების. მემორიალი – სახელმწიფოს გერბით, ჰიმნით და გმირთა გვარ-სახელები განთავსდეს რიყის კედლის სივრცეში.

3. საბაგირო გზის გაყვანა ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო: მტკვრის გადმოსახედიდან ქვედა სადგური მთლიანად ფარავს რიყის მშვენებას; მდგომარეობის ოდნავ გამოსწორება შესაძლებელია თუ სადგურის შენობას 50-70 მ კედლისკენ გადავწევთ. მშვენება აღსდგება.

4. ღვინის აღმართის დასაწყისში მდებარე შენობა, რომელიც სასტუმროს, რესტორანს და კაფეებს ითავსებს უნდა გადაკეთდეს ქართული წყლების, სასმელების, მინერალური და ლაღიძეების წყლების საგამოფენო დარბაზად, სადაც მიმსვლელთა ნაკადი არასდროს შემცირდება, ხოლო მიმდებარე მეტეხის აღმართზე უნდა აღსდგეს დედაქალაქის საექსკურსიო ბიურო. ამ და სხვა მნიშვნელოვან და საყურადღებო საკითხებზე უნდა განხორციელდეს დისკუსიები; საუკეთესო იდეები უნდა ავამოქმედოთ, აქვე უნდა გამოიყოს შთაბეჭდილებისა და წინადადებების კუთხე (წიგნი) სადაც ყველას შეეძლება თავისი მოსაზრებების გაზიარება.

5. თბილის-რუსთავის გზატკეცილის მონაკვეთზე გათვალისწინებული იყო დიდი მოგზაურის, ცნობილი ადამიანის ჯუმბერ ლეჟავას ძეგლის დადგმა და მისი მოგზაურობების ამსახველი მუზეუმის გახსნა. მოულოდნელად და გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა მსოფლიოში ცნობილი მოგზაური. მისი სახელის უკვდავსაყოფად მშენებარე გზატკეცილზე აღნიშნული იდეა უნდა განხორციელდეს და ხალხის სასიქადულო ადამიანი გადასვენებულ იქნას დიდუბიდან მითითებულ მემორიალთან.

6. დიდი ბჭობის საგანია თუ რა ვუყოთ რიყეზე მშენებარე საკონცერტო, გაუგებარი ფორმის ნაგებობას, რომლის მშენებლობაზე მილიონებია დახარჯული, დანგრევა უაზროა, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, სემირამიდას, დაკიდული ბაღის, დეკორატიული მცენარეებით დაფარვა, რასაც ჩვენი არქიტექტორები თავს გაართმევენ, ხოლო ხიდს სახურავი უნდა გადავხსნათ დაუშლელად და გადავაგოროთ ბარათაშვილის სახელობის ხიდისკენ, რომლის რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს და მას დავადგათ, რითაც ძველი ქალაქის კონტური შემოიფარგლება, ხოლო დარჩენილი გადასასვლელი ხიდი ძველი ქალაქის კომპოზიციას არ დაარღვევს. იმედია დისკუსიებისა და განსჯის შედეგად იდეებს იდეები შეემატება და ბოლოს მივიღებთ იმას რაზეც ვოცნებობთ. ჩვენ წინადადებას მხარს დაუჭერს ერი და ბერი, ალბათ თბილისის საკრებულო და მერიაც.

იუზა კატუკია,
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი

გუშინ, დღეს, ხვალ...

უკვე მესამე ათწლეული მიდის, რაც აფხაზები, სამაჩაბლოელი ოსები და ქართველები ზურგშექცევით ვდგევართ ერთმანეთთან და უცხოეთის სზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციების მეშვეობით ვეკონტაქტებით ერთმანეთს, რაც მეტწილად "გაფუჭებული ტელეფონის" ეფექტს გვაძლევს. შუამავლების მეშვეობით გამართულმა ათეულობით მოლაპარაკებებმა, რომელიც უზარმაზარ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, არავითარი შედეგი არ მოგვიტანა და კვლავ ერთ ადგილს ვტკეპნით. ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი საკაშვილის მთავრობები აინუშშიც არ აგდებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსების მოწოდებებს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისა და აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგების გამართვის აუცილებლობის თაობაზე. ამის საპასუხოდ ბნედიანმა სააკაშვილმა ომი წამოიწყო ცხინვალის წინააღმდეგ, რასაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო დაგვაშორა საქართველოს გამთლიანების ესოდენ სანუკვარ იდეას. მარგინალურ პოლიტიკურ ძალად ქცეული ნაციონალური მოძრაობა კვლავაც ისტერიული წივილ-კივილით პასუხობს რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მოწოდებას აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის გამართვის თაობაზე, რაც იმის მესიჯი გახლავთ, რომ რუსები მიესალმებიან ჩვენს შორის მოლაპარაკებების გამართვას, რამაც შეიძლება სასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს. ნაციონალები და მათი დორბლიანი ბელადი სააკაშვილი კი პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზას მხოლოდ კვლავ ომსა და დავიდარაბაში ხედავენ, რაც საბოლოოდ დადასტურდა უკრაინის მოვლენებში ნაციონალური მოძრაობის და შეურაცხადი სააკაშვილის მონაწილეობით.

საქართველოს მოწყვეტილ რეგიონებთან დიალოგი კი აუცილებელია, რაოდენ ჩვენთვის მიუღებელი განცხადებები არ უნდა გააკეთონ ოსებმა და აფხაზებმა და პირიქით. მხოლოდ მოლაპარაკების გზით შეიძლება ორმხრივი სურვილების დახვეწა, რადგან მოლაპარაკება თავისთავად ნიშნავს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა შესაბამისობაში მოყვანას და ამის საფუძველზე ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რაც არცერთი მხარის ინტერესებს არ შებღალავს.

ამიტომ, ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ჩვენი აფხაზი მეგობრის, გაზეთ "ГАЛ"-ის მთავარი რედაქტორის ნუგზარ სალაყაიას წერილს, რომლის შეხედულებები შეიძლება ბევრმა ჩვენგანმა არ გაიზიაროს, მაგრამ ჩვენ მას საკუთარი აზრი უნდა შევაგებოთ და ასე თანდათან, უმტკივნეულოდ შევამზადოთ პოლიტიკური ნიადაგი მაღალ დონეზე მოლაპარაკებების გამართვისათვის. მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი და ჩვენი აფხაზი ძმების თვალსაზრისები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, რაც იმის იმედს გვინერგავს, რომ მოლაპარაკებები აუცილებლად მოიტანენ სასურველ შედეგს.

საქართველოსა და "ნატო"-ს ურთიერთობები – კიდევ რამდენი ხანი უნდა ველოდოთ შეპირებულ პერსპექტივას?

მიუხედავად მსოფლიოში არსებული უმძიმესი მდგომარეობისა, ევროპელი პოლიტიკოსები და პოლიტიკური ელიტა სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანში ინტეგრირების საკითხს.

ნატო-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები სათავეს იღებენ 1994 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელი მოაწერა **ნატო**-ს ეგიდით მოქმედ ორგანიზაციასთან **"პარტნიორობა მშვიდობისათვის" (პ.მ.)**. ამ ორგანიზაციაში დღეს გაწევრიანებულია ოცდაერთი ქვეყანა. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა **ნატო**-სთან ურთიერთობის განმტკიცების საშუალება იძლევა, ძირითადად სამხედრო სფეროში და მონაწილე ქვეყნებს უფლებას ანიჭებს, რომ თავად აირჩიონ ურთიერთთანამშრომლობის პრიორიტეტები. ორგანიზაცია **"პარტნიორობა მშვიდობისათვის"** წევრები არიან ავსტრია, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, საქართველო, ირლანდია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მაკედონია, მალტა, მოლდავეთი, სერბეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ფინეთი, ჩერნოგორია, შვეიცარია და შვეცია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობის რეალური მოქმედებები საკუთარ რიგებში ახალი წევრების მიღების საქმეში უნდა დამტკიცდეს **"ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმის"** შესაბამისად, რაც ითვალისწინებს წევრობის მაძიებელთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამართლებრივ ასპექტებს.

ობიექტურად გასაგებია, რომ საქართველო, უფრო სწორად მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიდი ხანია ცდილობს ამ სამხედრო ბლოკში ინტეგრირებას. საქართველოსა და **ნატო**-ს წარმომადგენელთა მოლაპარაკებები, რომლებიც ტარდებოდა და ტარდება მსოფლიოს მაღალ პოლიტიკურ ინსტანციებში, საქართველოსათვის ჯერჯერობით არ არის სასურველი შედეგის მომტანი. პოლიტიკურ პლანში საქართველოს ახლანდელ ხელმძღვანელობას უამრავ გაუგებრობებში მოუწევს გარკვევა, რადგან ევროპელთა მრავალი დანაპირები არ სრულდება. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, **ნატო**-ს წევრობის მსურველ სახელმწიფოს, ალიანსის წესდების თანახმად, მკაცრად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სახელმწიფო საზღვრები. სწორედ ეს გახლავთ უმთავრესი პრობლემა. ამიტომ ეთამაშებიან ევროამერიკელები საქართველოს პოლიტიკურ **"კუკუდამალობანას"**, როცა, ერთის მხრივ, მას აცხადებენ საიმედო პარტნიორად, შემდეგ კი უცხადებენ, რომ იგი ჯერ **"მზად არ არის"** ალიანსში გასაწევრიანებლად. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის სიტყვებს, როცა 2007 წელს მან განაცხადა, რომ 2009 წლისათვის საქართველო **ნატო**-ს წევრი ქვეყანა გახდებოდა. **"როცა მეკითხებოდნენ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების თარიღზე, მე თავს ვიკავებდი პასუხისაგან. მაგრამ, გუშინ, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა** (სააკაშვილს მხედველობაში ჰქონდა **ნატო**-ს გენერალური მდივნის იაფ დე ჰოოპ სხეფერის გამოსვლა მიუნჰენში 2007 წლის 11 თებერვალს გამართულ უშიშროების კონფერენციაზე) **თავად განსაზღვრა ეს თარიღი"** – აღნიშნა მაშინ სააკაშვილმა. მაგრამ სხეფერს მხოლოდ საქართველო არ უგულისხმია, როცა განაცხადა: **"მე მსურს ნატო-ს რიგებში ვიხილო უფრო მეტი ქვეყანა. მე მსურს, რომ სერბეთმა მედგრად იაროს ნატო-საკენ, მე მსურს, რომ ყველა პატივისცემით მოეპყროს საქართველოსა და უკრაინის სურვილს – გახდნენ ალიანსის წევრები"**.

ახლა კი, მოვიყვან ამერიკის პრეზიდენტის ბარაქ ობამას მიერ 2014 წლის მარტის მიწურულს გაკეთებულ განცხადებას: **"არც უკრაინა და არც საქართველო დღეისათვის არ არიან მზად ნატო-ში გასაწევრიანებლად"**. ასევე **"გულმხურვალედ"** უჭერდა მხარს საქართველოს ალიანსში გაწევრიანების საკითხს **ნატო**-ს მომდევნო გენერალური მდივანი, 2009-2014 წლებში, ანდერს ფოგ რასმუსენი, რომელიც სანიმუშო ქვეყანად მოიხსენიებდა საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მსურველ სხვა ქვეყნებს შორის. მაგრამ გავიდა წლები და ამ ხალხის სიტყვები საქმით არ დადასტურებულა. აქვე შეგვიძლია დავიმოწმოთ რასმუსენის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა 2013 წლის 6 მაისს ევროპარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის სხდომაზე: **"არსებული ძირითადი კრიტერიუმების მოთხოვნათა თანახმად საქართველო ჯერ არ არის მზად ნატო-ში გასაწევრიანებლად"**.

რაც შეეხება ძირითად კრიტერიუმს, რომელსაც არასოდეს აკონკრეტებენ საქართველოს ევროამერიკელი **"კეთილიმსურველები"**, ეს გახლავთ რუსეთის წინააღმდეგობა **ნატო**-ს აღმოსავლეთით გაფართოების თაობაზე. ალიანსის მოღვაწეობა ხომ არაერთგზის გამხდარა რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მკაცრი კრიტიკის საგანი.

და მიუხედავად ამისა, **ნატო** მაინც ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველოში მისგან მოთხოვნილი რეორმების გატარების პროცესების მიმდინარეობას. საქართველოსაგან კი მოითხოვენ რეფორმების გატარებას არა მხოლოდ სამხედრო სფეროში, არამედ პოლიტიკაშიც, სასამართლო და საარჩევნო სისტემებშიც. იმისათვის, რომ **ნატო**-ს წევრი გახდეს, საქართველო აღარ უნდა იყოს საქართველო. ამას თვალყურს ადევნებს **"ნატო-საქართველოს"** კომისია. თბილისში მოქმედი **ნატო**-სთან ურთიერთობის ბიუროც ამ პროცესების მკაცრი მეთვალყურეა. ესწრაფვის რა **ნატო**-ს სტანდარტებთან დაახლოებას, საქართველომ უკვე ბევრი რამ დათმო საკუთარი სუვერენიტეტის ხარჯზე, სანაცვლოდ კი უსაფრთხოების ვერავითარი გარანტია ვერ მიიღო და ვერც ანტირუსული პოლიტიკის წარმოებით იხეირა რამე. გასაკვირი ამაში არაფერია – **ნატო**-ს არასოდეს მიაჩნდა საქართველო თანაბარუფლებიან პარტნიორად; სხვა საკითხია, რომ ალიანსი საქართველოს იყენებს როგორც ინსტრუმენტს საკუთარი მიზნების მისაღწევად.

მაგალითად, ამერიკელები მაღალ შეფასებას აძლევენ იმას რომ ავღანეთის ყველაზე ცხელ წერტილში – ჰელმანდის პროვინციაში მსახურობენ ქართველი ჯარისკაცები. არავის ანაღვლებს ის ამბავიც, რომ ავღანეთში სხვა ქვეყნის ჯარისკაცებზე მეტი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. საქართველოს ხელისუფლებამ კი იმის სურვილი გააჟღერა, რომ ქართული სამხედრო მისია კვლავაც დარჩეს ავღანეთში.

ამრიგად, საქართველო **აშშ**-ს სჭირდება არა როგორც სამხედრო პარტნიორი, არამედ როგორც კორიდორი, რომელზეც გადის მილსადენები და სხვა კომუნიკაციები. **ნატო**-სთვის კი საქართველო არის არა მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყანა, არამედ როგორც პლაცდარმი ირანისა და რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ჩატარებისას.

საქართველოს მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს **ნატო**-ში შესვლა. ამერიკული ინსტიტუტის (NDI) კვლევებმა აჩვენეს, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას მხარს უჭერს მხოლოდ მოსახლეობის 26 პროცენტი. ქართველი ხალხის 72 პროცენტი ემხრობა ისტორიულ მეგობარ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენას. ამას კი ანგარიშს არ უწევს ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, რომელიც ბრმად მიისწრაფვის ალიანსისაკენ. ეს გასაგებიცაა, რადგან საქართველოს ხელისუფლება ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ, 2008 წლის ცხინვალის ავანტიურის განმეორების შემთხვევაში **ნატო** მათ დაიცავს რუსეთის საპასუხო მოქმედებებისაგან (აქ კი ნამდვილად ვერ დავეთანხმებით ბატონ ნუგზარს, რადგან ჩვენი ახალი ხელისუფლება აქცენტს აკეთებს არა ომსა და დავიდარაბაზე, არამედ მშვიდობიან მოლაპარაკებებზე – **"ილორი"**). სხვა საკითხია, დასავლეთი ქართული პოლიტელიტის დასაკმაყოფილებლად კიდევ უფრო თუ გაამწვავებს რუსეთთან ისედაც გამწვავებულ ურთიერთობებს. ასეთია ძალთა ბალანსი და საქართველო ალბათ როდისმე აღიარებს ამ ბალანსს.

როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, მთავარ პრობლემად რჩება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ახალი რეალიის მიუღებლობა **"საკაშვილის მიერ ცხინვალის რეგიონში ომის გაჩაღების შემდეგ"**. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტი ხომ ძალზე ამცირებს საქართველოს **ნატო**-ში გაწევრიანების შანსს. ასევე სათვალავშია მისაღები 24 ნოემბერს სოჩაში რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული **"ურთიერთთანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება"**, რომელიც კრიტიკულად იქნა აღქმული საქართველოს ხელისუფლების მიერ, **ნატო**-მ კი იგი უკანონოდ მიიჩნია. ახლა საქართველოს მხოლოდ ორი გზა გააჩნია – ან აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და მოახდინოს საკუთარი სახზღვრების დეკლარირება (რის შემდეგაც იგი მართლაც შესძლებს **ნატო**-ში გაწევრიანებას), ან დარჩეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბლოკსმიუმხრობელ წევრად, რამდენ ხანსაც გაუხარდება და დაკმაყოფილდეს ალიანსის მხოლოდ სიტყვიერი დაპირებებით.

ნუგზარ სალაყაია,
გაზეთ "ГАЛ"-ის მთავარი რედაქტორი

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲔᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ

ერთადერთი ქართული წერილობითი წყარო, სადაც ჩვენთვის საინტერესო პიროვნება იხსენიება, არის «მოქცევაი ქართლისაი»-ს მატიანე: «მეფობდა ბაკურ, ძე თრდატისი. და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაი ბოლნისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის» (68:92). როგორც ვხედავთ ცნობა ფრიად ლაკონიურია. იგივე ინფორმაცია თავის თხზულებაში გამოყენებული აქვს ლეონტი მროველსაც, მაგრამ ფარსმანის ზეობასთან დაკავშირებით. მაშასადამე, მემატიანე კარგად იცნობდა «მოქცევაი ქართლისაი»-ს ამ ადგილს და გაუგებარია, რას უნდა მივაწეროთ მისი დუმილი ბაკურის შესახებ. წეროთმცოდნე გ.არახამია ამას იმით ხსნის, რომ «მეფეთა ცხოვრებაში» «მოქცევაისთან» შედარებით ერთი ზედმეტი მეფე (მირდატი) აღმოაჩნდათ და ამ შემთხვევაში მემატიანემ, თითქოსდა, «მოქცევაი ქართლისაი»-ს მატიანეში წარმოდგენილი ქრისტიანი მეფეებისა და ერისმთავრების რაოდენობის თავის თხზულებაში შენარჩუნების სურვილით იხელმძღვანელა (8:64-65). მაგრამ მემატიანის მხრივ ქრონიკაში დასახელებული მეფე-ერისმთავრების რიცხობრივი რაოდენობის შენარჩუნების სურვილს რატომ მაინცდამაინც ბაკურ თრდატის ძის გამოტოვება მოჰყვა წყაროში და არა, თუნდაც ურჯულო მეფე ვარაზ-ბაქარისა ან «მცირედ-ჟამ» მეფედ მყოფი ფარსმანისა და სხვა რომელიმე ხელისუფლისა, ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობთ ზემოხსენებული მკვლევარის წერილში. ჩვენთვის სრულიად აშკარა გახლავთ ის, რომ ბაკურის სახელი «ქართლის ცხოვრებაში» მექანიკურად არ არის გამორჩენილი. ეს აზრი რომც დაგვეშვა, მაინც მოგვიწევდა პასუხის გაცემა შეკითხვაზე: რა მიზეზით მიაწერა ბაკურთან დაკავშირებული ამბები მემატიანემ ფარსმანს, რომლის შესახებაც თვითონ სახელის გარდა «მოქცევაი ქართლისაის» ისტორიული ქრონიკა პრაქტიკულად არაფერს იუწყება? მაგრამ არა მხოლოდ ფარსმანს, არამედ, როგორც შემდგომში დავინახავთ, ბაკურ მირიანის ძესაც ასევე მიაწერა ჩვენმა მემატიანემ დიდი ბაკურის კუთვნილი ზოგიერთი ღვაწლთაგანი.

დიდ ბაკურს V ს-ს დასაწყისში ქართლის მეფედ იცნობენ სომეხი მწერლები კორიუნი და მოვსეს ხორენაციც. აღნიშნული ავტორების თხზულებები ჩვენამდე გვიანდელი ხელნაწერებით (მათგან უძველესი თარიღდება XIV ს-ით - ბ.ხ.) და რაც მთავარია, ფრიად შერყვნილი და დამახინჯებული სახით არის მოღწეული. მათში საუბარია ბაკურის ზეობისას ქართული ანბანის შექმნის შესახებ (იხ. 56:49; 67:223-224). ყველაზე უხვი ცნობები ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაზე პეტრე იბერის ბიოგრაფს – იოანე რუფუსს დაუცავს თავის თხზულებაში, რომელმაც ჩვენამდე ბერძნულიდან გაკეთებული ასურული თარგმანის სახით მოაღწია. აღნიშნული მწერლის ცნობების ფასი ფრიად დიდია, რადგან ისინი დიდი ბაკურის ღვიძლი შვილიშვილის – პეტრე იბერის მონათხრობის საფუძველზე აქვს აგიოგრაფს შეთხზული. სწორედ იოანე რუფუსის ცნობებით ვიგებთ იმას, რომ დიდი ბაკური იყო პეტრე იბერის პაპა დედის მხრით. მისი მეუღლის სახელი ყოფილა **«დუხტი»**-ა, ანუ სპარსულად **«ასული, ქალიშვილი». იოანე რუფუსი წერს, რომ «ეს ბაკური ამ ქვეყნის მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო, რომელმაც მთელი ხალხი ღვთისმოშიშობამდე მიიყვანა. ყველა მათ, რომელნიც მის შემდეგ იბერთა მეფეები და დედოფლები იყვნენ, თავიანთი სათნოებამოსილებით ზეცის სასუფეველი დაიმკვიდრეს»**-ო (96:81). დიდ ბაკურს იოანე რუფუსი **«იბერთა პირველ ქრისტიან მეფედ»** სხვაგან კიდევ ერთხელ მოიხსენიებს (იხ. 96:82), რაც მოწმობს იმას, რომ მწერალს არათუ არაფერი შეშლია ამ შემთხვევაში, არამედ მას დიდი ბაკურის ღვაწლთაგან აღნიშნული უმთავრესად მიუჩნევია. თავის დროზე ზოგიერთმა მეცნიერმა აღნიშნული ცნობა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და ამის საფუძველზე პეტრე იბერის პაპა – დიდი ბაკური მირიანის ვაჟიშვილ ბაკურთან გააიგივა. ზოგმა კი, ცნობაში ისეთი ინფორმაცია ამოიკითხა, რომლის თანახმად დიდი ბაკური ქართლში ქრისტიანობის არიანული (არიოზული) მიმართულების ნაცვლად მართლმადიდებლობის დამამკვიდრებლად შერაცხა.

რომ არცერთი ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეეფერება, ამაში ჩვენ ოდნავ მოგვიანებით თვალნათლივ დავრწმუნდებით. იოანე რუფუსს მოეპოვება მეტად ძვირფასი ცნობები დიდი ბაკურის მსოფლმხედველობის რაობის გამოსარკვევად მისი იბერიაში ზეობის პერიოდში. მათი განხილვის შემდეგ სრულიად ნათელი ხდება ის გარემოება, რომ მეფისწულობისდროინდელი რელიგიური მრწამსი დიდ ბაკურს არათუ არ შეუცვლია, არამედ იმ ზომამდე გაუღვივებია და გაუზრდია, რომ ამ კუთხით სამაგალითო გამხდარა ქრისტიანული ასკეტურ-მონაზვნური ყოფის ნიუანსებში ისე ღრმად ჩახედული ადამიანის თვალში, როგორიც იყო პეტრე იბერის მოწაფე და მისი მემკვიდრე მაიუმის საეპისკოპოსო საყდარზე – იოანე რუფუსი (ბეით-რუფინი). ამ უკანასკნელის ცნობით, მეფე ბაკური და მისი თანამეცხედრე, დედოფალი დუხტი(ა) **“ქრისტეს მიმართ ღვთისმოშიშობის ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, ისეთი სათნოება და საქციელი გამოავლინეს, რომ თუმცა მეფური ჩამომავლობისა იყვნენ, მაინც თავიანთი მმართველობის დროს მონაზონურ-ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ და [ამ ცხოვრებით] არსებობდნენ. ხოლო ერთმანეთში დადებული მშვენიერი შეთანხმების საფუძველზე მათ ხორციელი კავშირი შეწყვიტეს და დაკმაყოფილდნენ იმ შვილებით, რომლებიც მათ შეეძინათ”** (აქედან ჩანს, რომ ბაკურს სულ მცირე ორი შვილი მაინც უნდა ჰყოლოდა – ბ.ხ.).

თავის მხრით მორწმუნე ბაკური, რომელიც მკაცრად იცავდა მარხვას, ლოცულობდა და მოწყალებას იღებდა, კვირაში სამჯერ საკუთარი ხელით ჰგვიდა ქალაქის ეკლესიას. მას არაჩვეულებრივ ძლიერ უყვარდა გლახაკნი. თავის ღირსების დამცირებად არ მიაჩნდა, როცა თავის სასახლეში მათთვის სხვადასხვანაირ საჭმელებს ამზადებინებდა; შემდეგ ეს საჭმელები კალათებით თვითვე მიჰქონდა ღამ-ღამობით მის მიერვე გლახაკთათვის აგებულ თავშესაფარში და, ვინც იქ იწვნენ, მათ თავისი ხელით აჭმევდა» (96:82-83).

ქრისტიანული სათნოებებით მეუღლეს, როგორც პეტრეს ბიოგრაფი გვამცნობს, არც დედოფალი დუხტი(ა) ჩამოუვარდებოდა, მან «მეფური სამკაულები მოიხსნა და ტანთ ჩაიცვა ძაძა, გაყიდა თავისი მოაბა, რომელსაც ბასტერნიონ ეწოდება, აგრეთვე ოქროული და მარგალიტები და მიღებული თანხა გლახაკთ გაუნაწილა. ხშირად, როდესაც ის შაბათობით მარხულობდა და ლოცულობდა, ჩვენი უფლისაგან იმდენ მოწყალებას იღებდა, რომ მხოლოდ მისი ხელდასხმა იყო საკმარისი ავადმყოფის უმალვე განკურნებისათვის» (96:82-83). ჯერ კიდევ ძველი ლათინები ამბობდნენ: Virtus hominum jugit deo – **«სიქველე ადამიანს ღმერთთან აკავშირებს»**-ო. შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ სადა ჭეშმარიტებას.

მონაზვნური ასკეტიზმისადმი მიდრეკილებით, როგორც იოანე რუფუსის ცნობებით ირკვევა, დიდ ბაკურს ტოლს არ უდებდა მისი ღვიძლი ძმა არჩილიც, შემდგომში ასევე ქართლის მეფე (323-338 წწ.). ბაკურის შვილიშვილის – პეტრე იბერის ყრმობიდანვე მონაზვნური ასკეტიზმისაკენ მიდრეკილების შესახებ როდესაც საუბრობს მისი ბიოგრაფი, სხვასთან ერთად უთითებს იმაზეც, რომ თავისი წინაპარ-ახლობელთა მოსახსენებელი პეტრემ დააწესა საზღაურად **«იმ მშვიდობისთვის, რომელიც მათ მიანიჭეს იმას, და რომელიც მან აირჩია, რათა ეს მიწიერი ცხოვრება უარეყო»**; აგიოგრაფის ცნობით, პეტრეს მსგავსი **«ყვავილის»** წარმომშობი გარემო სწორედ მისი ნათესავ-ახლობლობა, ოჯახური წრე გახლდათ (37:249). გადაჭარბების გარეშე შეიძლება იმის თქმა, რომ სახეზე გვაქვს სამეფო ოჯახი (ე.წ. რევიანთა შტო), რომლის წევრებიც თავიანთი ცხოვრების წესით გასაოცარ მიდრეკილებას იჩენენ მონაზვნური ასკეტობისადმი. საერთოდ, როგორც მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე ამას სამართლიანად აღნიშნავს, **«ქართლში ქრისტიანულ მიმართულებას ასკეტური სულისკვეთება წმ. ნინომ მიანიჭა»** და ქრისტიანობის ეს ახალი **«ელინისტური ნაკადი ძველი იუდაურისაგან ძირითადად იმით განსხვავდებოდა, რომ მონაზვნური სულისკვეთების შემომტანი და დამნერგავი იყო, კერძოდ, ახასიათებდა ასკეტიზმი და ნაზარეველობა»** (110:11-12). პეტრე იბერის ბიოგრაფი – იოანე რუფუსი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ მთავარი ფიგურა ზემოხსენებულ ოჯახში დიდი ბაკური იყო.

მხოლოდ მას, შვილიშვილის მოსიყვარულე პაპას შეეძლო პეტრესათვის ეწოდებინა ისეთი სახელი, როგორიცაა **«ნაბარნუგი»**, ანუ სპარს. **«ნაბა(რ)ნიაკა»** – ქართ. **«პაპის გვარის»**, **«ბაბუის მოდგმისა»**. აკი იოანე რუფუსიც ამბობს იმას, რომ პეტრე იბერი **«როგორც ვარდი, ისე აღმოცენდა ასეთი წმინდა ძირიდან, ასეთივე წმინდა მშობლებიდან და ასევე ღვთისმოშიშ აღმზრდელთაგან აღიზარდა, გახდა სამართლიანი ბრძენი და თავის წარმომშობთა და აღმზრდელთა გვარის შესაბამისად»**-ო (96:87). ყრმა პეტრე იბერს მონაზვნური ასკეტობისაკენ ძლიერი ლტოლვა რომ ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას გაუჩნდა, ამის შესახებ იოანე რუფუსი გვამცნობს: **«მას სახლიდანვე, მშობლებისაგან, მოყოლილი ჰქონდა ღვთისადმი სიყვარული, როგორც ცეცხლის ნაპერწკალი...»**-ო, ამბობს აგიოგრაფი (96:91). დიდ ბაკურს იმავე სულისკვეთებით აღუზრდია საკუთარი ქალიშვილიც, პეტრე იბერის დედა – ბაკურდუხტი, რომელიც, მას შემდეგ, რაც სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა, იოანე რუფუსის ცნობით, **«მისდევდა განუწყვეტლივ მარხვასა და ლოცვას; არასგზით არ ისურვა მეორე ქმარს გაჰყოლოდა,...ამჯობინებდა თავის სოფლებში ასკეტურ ცხოვრებას შესდგომოდა, მან ყოველ გზაჯვარედინზე უცხოთა თავშესაფარი და საავადმყოფო ააშენა»** (37:253). ეს მაგალითებიც იკმარებდა დიდი ბაკურის რელიგიური მრწამსისა და მსოფლმხედველობის რაობის გასარკვევად. მაგრამ პეტრე იბერის ბიოგრაფს მოეპოვება კიდევ ერთი ცნობა, რომლის შინაარსი არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმისას, რომ დიდი ბაკური ღრმად მორწმუნე ქრისტიანი გახლდათ.

კერძოდ, იოანე რუფუსი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწნა ბაკურმა თავისი სურვილით აღმსარებლობის (წამებულის) გვირგვინი ერთხელ, როდესაც ის სპარსთა მეფეს ახლდა სალაშქროდ. მზის ამოსვლისას სპარსთა მეფე და მისი თანმხლები ამალის წევრები ცხენებიდან ჩამოქვეითებულან და მზისათვის თაყვანი უციათ. ერთადერთი დიდი ბაკური არ განძრეულა ამ დროს ადგილიდან და არც ცხენიდან ჩამოქვეითებულა; იგი სხვა სარდლებმა ამის გამო მეფესთან დაასმინეს. მეფის კითხვაზე – მართალია თუ არა ის, რაც თქვესო?, ბაკურს მთელი ჯარის წინაშე გულახდილად უთქვამს: **«მე ქრისტიანი ვარ და არა მაქვს უფლება უარვყო ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი, ყოველთა შემოქმედი, და თაყვანი ვსცე მის მიერ გაჩენილს [მზეს], რომელიც დაბადებულია ჩემი და ყველა ადამიანის სამსახურებლად და გასანათებლად»**. ასე რომ, მეფე თუმცა განცვიფრდა და მის გულახდილობაზე გაწითლდა კიდეც, მაგრამ მაინც მიუბრუნდა თავისიანებს და ჩუმად უთხრა: «ის ბაკურია და ჩვენ გვჭირდება. რა უნდა ვუქნათ მას?»-ო, გვამცნობს აგიოგრაფი (96:83-84; 37:250-251). დიდი ბაკურის პოზიცია მუდამ არეოპაგიტული ღმერთისა და მზის ანალოგიის საკითხთან მიმართებაში სრულად თანხვდება წმ. იოანე ოქროპირის პოზიციას და რადიკალურად განსხვავდება აღნიშნული საკითხის მიმართ წარმართი ნეოპლატონიკოსების შეხედულებისაგან, რომლის მცდარობის მხილების მიზნით წმინდა მამა ამბობდა: **«რა უნდა იყოს იმაზე მეტი უგუნურება, რომ შექმნილიდან ვერ დაასკვნა შემქმნელზე და ისეთ ცთუნებაში ჩავარდე, რომ შექმნილი შემოქმედის დონემდე აამაღლო»**-ო (63:98-99). თავის დროზე შ.ნუცუბიძე მიიჩნევდა, რომ ბაკური აღნიშნულ საკითხზე არისტიდე მარკიანეს (ქრისტიანობის აპოლოგეტი ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის საფუძველზე II ს-ში – ბ.ხ.) **«აპოლოგიის»** წანამძღვრებით მსჯელობდა (72:75-76 და შმდ.).

ზემოაღნიშნულ ცნობაში ნახსენები ლაშქრობა, რომელშიც დიდი ბაკური სპარსეთის შაჰთან ერთად იღებდა მონაწილეობას, სხვა წყაროებით უცნობია. ბუნებრივია, როდესაც ჩვენ არ ვიცით ის, თუ კონკრეტულად სად და რომელი სპარსელი მეფის ზეობისას ხდებოდა ლაშქრობა, მისი ზუსტი დათარიღებაც გვიძნელდება. კ.კეკელიძე თვლიდა, რომ იოანე რუფუსის მიერ აღწერილ ეპიზოდში ბაკური სპარსეთის მეფემ სიკვდილით დასაჯა (51:273). საწინააღმდეგო თვალსაზრისს ანვითარებდნენ ამ საკითხზე ს.კაკაბაძე და ა.ბოგვერაძე (41:151; 13:62-63). თუკი კ.კეკელიძის მოსაზრება გამართლდებოდა, ჩვენ უნდა გვეღიარებინა ის, რომ ზემოხსენებული ლაშქრობა 410-იანი წლების შუახანებით ან უკიდურეს შემთხვევაში II ნახევრის დასაწყისით (სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, დაახლოებით ამ დრომდე მეფობდა ქართლში ბაკური – ბ.ხ.) თარიღდება, მაგრამ როგორც ამას ა.ბოგვერაძე სამართლიანად ფიქრობდა, საეჭვოა, რომ 378 წლის ადრიანოპოლის ბრძოლის მონაწილე ბაკურს 40 წლის შემდგომ სალაშქრო ცხოვრების ატანა და ჯარის სარდლობა კიდევ შეძლებოდა (13:72). ამდენად, უფრო საფიქრებელია, რომ ხსენებულ ლაშქრობას ადგილი 390-იანი წლების II ნახევარში, დიდი

ბაკურის ზეობის დასაწყისში და ბაჰრამ IV-ის (388-399 წწ.) დროს ჰქონოდა. საინტერესოა იოანე რუფუსის ის ცნობა, რომ ბაკურს სპარსეთის მეფესთან საზავო ხელშეკრულება ჰქონია დადებული და მისი ერთ-ერთი სარდალთაგანიც ყოფილა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ დიდი ბაკურის ქართლის სამეფო ტახტზე ასვლის ფაქტი სპარსეთის ხელისუფლების თანხმობის გარეშე არ მომხდარა. როგორც ჩანს, შაჰთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ქართველთა მეფეს ევალებოდა სპარსელთა ლაშქრობებში ჯარის გაყვანა და მასთან ერთად პირადად მონაწილეობის მიღებაც; უეჭველია, რომ წინამორბედთა მსგავსად ისიც იძულებით იხდიდა სპარსელთა სასარგებლოდ ხარკს. მაგრამ «მოქცევაი ქართლისაის» მატიანეში დაცული ის ცნობა, რომ ბაკურმა სპარსეთისგან მომდინარე საფრთხის მიზეზით ხელი მიჰყო «არმაზის» საფორტიფიკაციო ნაგებობების აღდგენა-განახლებას, გვაფიქრებინებს იმასაც, რომ შემდგომში დიდი ბაკური სპარსეთს გადაუდგა და უწინდებურად აღარ მორჩილებდა მას. სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს ის, თუ როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები, მაგრამ ზოგიერთი მინიშნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიდმა ბაკურმა გარკვეულწილად და დროებით მაინც შეძლო იბერიაზე სპარსელთა პოლიტიკური გავლენის შესუსტება. ჩვენდა სამწუხაროდ, იოანე რუფუსმა არ ჩათვალა საჭიროდ მოეთხრო დიდი ბაკურის მრავალრიცხოვანი დამსახურებების შესახებ, რომელთა შესახებ მას პეტრე იბერისაგან სმენოდა. მაგრამ აგიოგრაფის სიტყვები, – «და ეს არის ბაკურის დიდ საქმეთა ერთი ნაწილი»-ო (იხ. 96:84), – ფრიად საგულისხმოდ ჟღერს და აშკარად გვაგრძნობინებს იმას, რომ იოანე რუფუსის ცოდნა დიდი ბაკურის პიროვნების შესახებ იმაზე გაცილებით ფართო იყო, ვიდრე ეს ჩანს მის მიერ დაწერილ «პეტრე იბერის ცხოვრების» ტექსტში. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ა.ბოგვერაძეს, რომლის აზრითაც პეტრეს პაპა დიდი ბაკური რომ ქრისტიანული დასავლეთისათვის კარგად ცნობილი ბაკურ იბერიელი ყოფილიყო, წარმოუდგენელია იოანე რუფუსს ეს არ აღენიშნა (13:72). იოანე რუფუსმა მოიხსენია მხოლოდ ის, რაც საჭიროდ ჩათვალა და მას, როგორც პეტრე იბერის ბიოგრაფს, სრულებითაც არ მოეთხოვებოდა დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის თითოეულ ეპიზოდზე ყურადღების გამახვილება. ამასთანავე, შეგვიძლია დავუშვათ ისეთი აზრიც, რომ ქვეყნის, ერისა და ადგილობრივი ეკლესიის წინაშე დიდი ბაკურის მრავალრიცხოვანი დამსახურებების შესახებ ინფორმაცია უკვე თავად პეტრე იბერს ჰქონოდა წერილობით გაფორმებული. მან ხომ ფრიად ბევრი საგულისხმო ფაქტი უწყოდა თავისი დიდი წინაპრის ცხოვრებიდან?! ერთი სიტყვით, დიდი ბაკურის შესახებ იოანე რუფუსსთან დაცული ფრაგმენტული ცნობები, ადვილი შესაძლებელია, წარმოადგენდნენ პეტრეს მიერ მისი სახელოვანი პაპის შესახებ თავის დროზე დაწერილი და ჩვენამდე არმოღწეული **«ცხოვრებიდან»** ამოღებულ ექსცერპტებს.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ დიდი ბაკურის ზეობისდროინდელი მოვლენები ლეონტი მროველს დაკავშირებული აქვს IV ს-ის ზოგიერთი ქართველი მეფის სახელთან. თუკი ბაკურთან მიმართებაში ეს გარემოება ეჭვს აქამდეც არ იწვევდა, ბაკურ მირიანის ძესთან დაკავშირებით იგივე არავის არ აღუნიშნავს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ლეონტი მროველის ის ცნობა, რომლის მიხედვითაც ბაქარ მირიანის ძემ თურმე **«მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა»** (57:130). ერთი შეხედვით, აქ დასაეჭვებელი არაფერია, რადგან იმავე ავტორისვე ცნობით, მირიანის დროს თურმე «არა ნათელიღეს მთიულთა კავკასიანთა» (57:116). მაგრამ «მოქცევაი ქართლისაი» ამ საკითხზე განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აუცილებლობით განპირობებული კომენტარები კუკური ფიფიას და სხვათა საბაზეთო პუბლიკაციებზე

ამიტომაც, ვინ იცის, (თუმცა, ამის გამოანგარიშებაც შეიძლება), მეგრულის მთელ ლექსიკაში რამდენჯერ არის გამოყენებული (მოხმარებული) თითოეული საგრამატიკო საშუალება და რამდენს დაითვლის მათი საერთო ჯამი ამ ენაში, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია: მაგალითად: ა, ალა, გა, გადა, და, მი და სხვა ზმნისწინებს ყველგან თავ-თავიანთი განსაზღვრული ფუნქცია აკისრიათ; მსგავსადვე, მაგალითად: აფ სუფიქსი ყველგან თემის ნიშანია, ინ სუფიქსი შუალობითი კონტაქტის ნიშანია და ა. შ. ამასთან, იმდენად რამდენადაც, როგორც ეს ჩვენს მიერ დადგენილია, საგრამატიკო საშუალებები წარმოადგენენ ემფატიკური დეტერმინანტი) ბგერის ფონეტიკურ ვარიატებს, მეგრული ენის (და არა მარტო ამ ენის) საგრამატიკო საშუალებების წარმომავლობა და ფუნქციაც გარკვეულია:)-ბგერისეული წარმომავლობის საგრამატიკო საშუალებებს მისგან მემკვიდრეობით მიღებული აქვთ დეტერმინაციული (იდეიაგანმსაზღვრელი) ფუნქცია, რასაც ასრულებენ კიდეც.

როგორც ზემოთ დავინახეთ,) ბგერის (და, საერთოდ ფორმის) ფორმობრივ ცვლილებას, ჩვეულებრივ, მოსდევს სემანტიკური ანუ შინაარსობრივი ცვლილება. ამ საფუძველზე აქვთ მინიჭებული თავ-თავიანთი კონკრეტული ფუნქცია)-ბგერისეული წარმომავლობის საგრამიტიკო საშუალებებს.

ასეთ პირობებში, ბატონო კუკური და სხვანო, რამდენად მიზანშეწონილი და სწორი იქნება, რომ, მაგალითად, ერთი რომელიმე კონკრეტული ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან მიღებული ამა თუ იმ სიტყვის ეტიმოლოგიის შესწავლის ცდას მივმართოთ იმ ე. წ. თქვენეული ხერხით? თავად განსაჯეთ. ჩვენ კი, ასე დავაკონკრეტებთ: როგორც ზემოთ წარმოდგენილი მოკლე ანალიზითაც ნათლად არის წარმოჩენილი, ისეთ პირობებში, როცა ჩვენს მიერ დადგენილია, რომ ენის საგრამატიკო საშუალებები მიღებულია პირველქმნილი ემფატიკური ნახევრადხმოვანი დეტერმინანტი) ბგერისაგან ანუ წარმოადგენენ მის ფონეტიკურ ვარიანტებს, როგორც მეგრულის ასევე სხვა ენების ნებისმიერი სიტყვის ეტიმოლოგიის შესასწავლად საქმარისია შესწავლილ იქნას მოცემული სიტყვის ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემის წარმომავლობა.

მეტიც კიდევ: ნებისმიერი (კერძოდ, აგლუტინაციური) ენის ნებისმიერი ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკის (სიტყვობრივი მარაგის) სიტყვათწარმომავლობის შესასწავლად საკმარისია შესწავლილ იქნას მოცემული ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემის წარმომავლობა (ეტიმოლოგია).

ზემოთ, მეგრულის ფ)შქ) ძირისეული თანხმოვნური ფორმის მაგალითზე ითქვა და აქაც გავიმეორებთ, – სხვა ნიმუშზე: ასე, მაგალითად, ბ)წკ) ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე დამყარებით მეგრულში გვაქვს 2564640 სიტყვა პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ. რაკი ბ)წკ) ძირისეული თანხმოვნური ფორმა აშკარად ხმაბაძვითი წარმომავლობისაა (შდრ.: ბაწკი-ბუწკით სიარული) „ბ)წკ) ძირზე დამყარებული მთელი ლექსიკა ხმაბაძვითი წარმომავლობისაა. ეს ასეა, საერთოდ.

მაგრამ, თუ ამჯერადაც განაცხადებთ, ბატონო კუკური, რომ ბ)წკ) ბგერების გამღები კონკრეტული ფიზიკური რეალობის წარმოჩენა **„გამოგრჩათო“**, ასე უნდა გიპასუხოთ:

აბსოლუტურად მცდარია თქვენმიერი შეფასება-ბრალდება, იმის შესახებ, რომ, ჩვენ, შვიდტომეულის ავტორებს, მეგრულის 30 (სინამდვილეში 29) თანხმოვანი ბგერიდან თუ ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან, თურმე, გამოგვრჩა 16 მათგანის **„გამღები კონკრეტული ფიზიკური რეალობის“** წარმოჩენა. ამაში დასარწმუნებლად, ვნახოთ, რამდენად მართებულია ეს ბრალდება თქვენს მიერ დასახელებულთაგან თუნდაც ერთ-ერთი მათგანის, – ხ ბგერის მაგალითზე. აი, ისიც: შვიდტომეულში ჩვენს მიერ წარმოდგენილია ხ ბგერით დაწყებული (რომ არაფერი ვთქვათ ხ-ბგერაგარეულ სხვა ძირისეულ ფორმებზე) 103 ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკა, რაც მთლიანად დაითვლის 66260680 სიტყვას, და, აქედან 100 ძირისეული თანხმოვნური ფორმის გასწვრივ, შესაბამის გრაფაში (ხმაბაძვითობა-არახმაბაძვითობა), – დასმული გვაქვს ნიშანი + (პლუსი), რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა.

გამოდის, რომ ხ ბგერის ხმაბაძვითი წარმომავლობა ჩვენ დაგვიმტკიცებია ხ ბგერითვე დაწყებული (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) 100 ძირისეული თანხმოვნური ფორმის (რისგანაც მეგრულში, საბოლოო ანგარიშით, 66.260.680 სიტყვაა მიღებული) **„გამღები კონკრეტული ფიზიკური რეალობების წარმოჩენით“** და არა მხოლოდ მაინცდამაინც ერთ-ერთი მათგანის ჩვენების მეოხებით.

მეტიც კიდევ, ბატონო კუკური!

სინამდვილე ის არის, რომ ჩვენ, მეგრული ენის 29 თანხმოვანი ბგერის წარმომავლობა (ეტიმოლოგია) დადგენილ-წარმოჩენილი გვაქვს არა მხოლოდ ამათი გამღები რომელიღაც თითო (ესე იგი, სულ 29) კონკრეტული ფიზიკური რეალობების ჩვენებით, არამედ ამ ბგერების გამღები 1869 ძირისეული თანხმოვნური ფორმის (რისგანაც, მეგრულში, საბოლოო ანგარიშით, მიღებულია 1.410.119.286 სიტყვა) გამღები კონკრეტული ფიზიკური რეალობების ჩვენებით (იგივე, – ბუნებაში მოცემული ბგერების ანუ ხმიანობების წარმოჩენით).

დიახ, ბუნებაში მოცემული ანუ ბუნების საგანთა მიერ გაღებული 1869 გაბმული ბგერების თუ ბგერათერთობების დამსახურებაა, უპირველეს ყოვლისა (ცხადია, ჩვენი უშორეულესი წინაპრებისა და მთელი მომდევნო თაობების ძალისხმევით), ის ფაქტი, რომ ჩვენ, მეგრული ენის სახით ვფლობთ უნიკალურ ენობრივ ფენომენს დედამიწაზე და მთელს ჩვენს ვარსკვლავეთში.

ხოლო ჩვენ, ყოველივე ზემოაღნიშნულის წარმოჩენა და, გარკვეული გლობალური საკითხების შესაბამის მასშტაბებში გადაწყვეტაც, უთუოდ, შეგვაძლებინა განგებამ; მანვე მოგვამადლა ის, რომ მავანთ და მავანთ ძალიან იოლად არ შეძლებოდათ ჩავერიცხეთ იმ კატეგორიის მონადირეთა (ადამიანთა) სიაში, რომლებზეც ნათქვამია: **„დიდსა ვერ შეწვდდნენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთაო“** (ეს, – წახუმრებთ).

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, საკითხის აქტუალობამ და არსებული სინამდვილის სწორად წარმოდგენის აუცილებლობამ ასე მოითხოვა.

ამჯერად, ერთგვარად შევაჯამოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და მოკლედ დავაკონკრეტოთ, რას მივაღწიეთ, საბოლოო ანგარიშით, ჩვენ (როგორც თავშივე ითქვაა, სიტყვაში **„ჩვენ“** ყველგან იგულისხმება თანაავტორებიც), მეგრული ენის სიტყვათწარმომავლობის შესწავლაში და რა დავაკელით მას ანუ, რა გამოგვრჩა, სინამდვილეში.

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემებიდან ნათელია შემდეგი რეალობა:

მეგრული ენის ლექსიკა, ჩვენი საბოლოო მონაცემების მიხედვით, მოიცავს 1.410.145.286 სიტყვას, – პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ. აქედან, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია ან შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა. მეგრულის მთელი ეს ლექსიკა, ჩვენ, სათანადო ხერხის გამოყენებით, შეტანილი გვაქვს ამ ენის შესაბამის სახეობრივ ლექსიკონებში.

ამასთან, დადგენილი გვაქვს, რომ მეგრულის მთელი ლექსიკა (1.410.145.289 სიტყვა) ემყარება 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას, ანუ, წარმოადგენს ამათ აფიქსირებულ-გრამატიზირებულ ფორმებს. საამისოდ, – მეგრულში არსებული 525 დერივატი (მნიშვნელობამცვლელი) საგრამატიკო საშუალების გამოყენებით.

ცხადია, ჩვენს მიერ შესწავლილია მეგრულის მთელი ლექსიკის (1.410.145.286 სიტყვის) სიტყვათწარმომავლობა ანუ ეტიმოლოგია, – ამათი წარმომდგენი 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და 525-ვე დერივატი საგრამატიკო საშუალებების ეტიმოლოგიის შესწავლის საფუძველზე.

და, ასეთ ვითარებაში, დაუდგენელი გვრჩება მხოლოდ 300-მდე (შესაძლოა მეტიც) ძირისეული თანხმოვნური ფორმისა და მათზე დამყარებული 1500-2000–მდე სიტყვის ეტიმოლოგია. ესენია არახმაბაძვითი, ანუ ნებისმიერ საფუძველზე (ადამიანის ნება-სურვილზე დამყარებით) შემოღებული სიტყვები, ანუ ე. წ. **„წმინდა წყლის“** პირობითი ნიშნები, და, ამის გამო, მათი ეტიმოლოგიის დადგენა, ცხადია, ძნელიც არის. ასეთებია, მაგალითად, სიტყვები: ჯა (ხე), დიხა (მიწა), ცა, ნგერი (მგელი), ტურა, ქოთომი (ქათამი), ქუდი, წიგნი და სხვა.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სასიქადულო მამულიშვილი და მეცნიერი ანდრია აფაქიძე – 100

ანდრია აფაქიძე დაიბადა სენაკის მაზრის სოფელ ზანაში, 1914 წელს. იგი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი – 1959 წლიდან, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე – 1964 წლიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი – 1943-1952 წლებში, საქართველოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური სექციის ხელმძღვანელი – 1952-1972 წლებში, ანტიკური ხანის არქეოლოგიური განყოფილების გამგე 1972 – 1989 წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი 1989 წლიდან.

ანდრია აფაქიძე მუშაობდა ანტიკური ხანის არქეოლოგიისა და საქართველოს ძველი კულტურის ისტორიის საკითხებზე. 1936 წლიდან არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ბაკურციხეში, არმაზხევში, წიწამურში, სარკინეთსა და სხვა ადგილებში. 1952-1974 წლებში ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ბიჭვინთაში. მისი ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ანტიკურ ხანას. ა. აფაქიძის რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოიცა წიგნი „საქართველოს არქეოლოგია“, რედაქტორი იყო მისივე ინიციატივით შექმნილი სერიისა **“მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის”**, დაჯილდოვებულია საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით, 2014 წლის 3 და 4 ოქტომბერს გაიმართა მასშტაბური ღონისძიებები გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, არქეოლოგის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ანდრია აფაქიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

საიუბილეო სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ. მან ისაუბრა გამოჩენილი მეცნიერის დიდ ღვაწლზე და იმ დიდ სამეცნიერო მიღწევებზე, რაც ბატონ ანდრია აფაქიძემ შეიტანა არქეოლოგიაში. მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა აღნიშნა, რომ **“ანდრია აფაქიძე იყო მეცნიერებათა აკადემიის პირველი აკადემიკოსი არქეოლოგი, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების პირველი აკადემიკოს-მდივანი არქეოლოგი. მან შექმნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან კომპიუტერული სამეცნიერო-საინფორმაციო ცენტრი, სადაც თავმოყრილია ცნობები ქართული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ”.**

ვრცელი მოხსენება აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ.

გამომსვლელებმა (აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე, აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, პროფესორი მედეა ნიორაძე, პროფესორი ამირან კახიძე, პროფესორი ჯონი აფაქიძე, პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე, პროფესორი გურამ ყიფიანი, პროფესორი გივი ღამბაშიძე) აღნიშნეს, რომ ანდრია აფაქიძე თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში, მუშაობდა ანტიკური ხანის არქეოლოგიის, საქართველოს ძველი კულტურისა და კავკასიის ცივილიზაციის საკითხებზე. მისი ძირითადი ნაშრომები ეხებოდა ანტიკური ხანის ქართული ქალაქების ისტორიას. ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით და თანაავტორობით შეიქმნა **“საქართველოს არქეოლოგიის”** პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (1959), პირველი **“არქეოლოგიური ლექსიკონი”** (1980).

განსაკუთრებით დიდია ბატონ ანდრია აფაქიძის ღვაწლი საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში და ასევე, ბიჭვინთის ექსპედიციაში. ანდრია აფაქიძე გახლდათ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის საპატიო მოქალაქე, მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის გიორგი ნიორაძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი და ალბათ სიმბოლურიცაა, რომ 2005 წელს, დიდი მეცნიერის გარდაცვალებისას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, ილია II-მ დიდი მეცნიერის ნეშტს ადგილი მცხეთის სამთავროს მონასტრის ეზოში მიუჩინა.

ბორის დავითაია,
აკაკი წერეთლის სახელობის
პრემიის ლაურეატი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი

დიდი პატივისცემით ულოცავს დამდეგ, 2015 წლის შობა-ახალ წელს გაზეთ „ილორის“ რედაქციას, მის თვითეულ თანამშრომელს და ამ გაზეთის ერთგულ მკითხველს. ეროვნული კომიტეტი წარმატებებს უსურვებს რედაქციას, რომელიც ეროვნული სულისკვეთებითაა გამსჭვალული და ქართველ საზოგადოებას არ აკლებს სულიერ საზრდოს მისთვის ამ რთულ ვითარებაში. იმ დროს, როდესაც ქვეყნაში საინფორმაციო საშუალებები არ იძლევიან საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ეროვნული კომიტეტის მიმართვების გაშუქების არავითარ საშუალებას, თქვენი გაზეთის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის შესახებ ობიექტური და მართალი მასალების გამოქვეყნებაში ფასდაუდებელია, რამეთუ მამა-პაპათა დანატოვარ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მის კულტურასა და მეცნიერებას უნდა მარად ჰყავდეს ისეთი გუშაგები და მცველები, საქართველოს მომავალი თაობის სახით, რომ ვერანაირმა ძალამ ვერ შესძლოს მისი დავიწყებას მიცემა და რაც ყველაზე მთავარია გაყალბება.

კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას თქვენს რედაქციას და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება და ნაყოფს გამოიღებს, როგორც სამეგრელოს, ასევე სრულიად საქართველოს მასშტაბით. გისურვებთ, რომ თქვენი გაზეთის გამოცემა, სულ მალე, საქართველოს ძირძველი ტერიტორიაზე ილორში (აფხაზეთი) გაგრძელებულიყოს ილორის თეთრი გიორგისა შემწეობითა და მფარველობით.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ამინ!

სახარებით შთაგონებული სიტყვა

ᲝᲗᲮᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚᲘ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ ᲐᲦᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐ!

მეგობრებო, მე თქვენ გაგაცნობთ თუ რა ელის კაცობრიობას, რომელიც მესამე მსოფლიო (აპოკალიფსის) ომის მიჯნაზე დგას.

სახარებით შთაგონებული მირიან ქართველის წიგნებში, რომელიც წარმოადგენს სრულიად სამყაროს შესაცნობ ინფორმაციას, ასახულია და განხილული ზოგადსამყაროსეული ღვთაებრივი უწყვეტი დინამიკა, როგორც კოსმოსურ უსასრულობაში, ასევე დედამიწიერ პლანში.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ სამყაროში არ არსებობს შემთხვევითობა, პირიქით სამყაროში მიმდინარეობს უზუსტეს ცდომილებად მიმდინარე მარადიული უწყვეტი მოვლენები, რომელსაც ბუნების და ღვთის კანონი ეწოდება.

მიუხედავად სამყაროში არსებული უზუსტესი ღვთიური მარადცოცხალი კანონებისა, მიწიერმა ადამიანმა ჯერ კიდევ თავისი დაბალი ცნობიერ-გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე შექმნა და დაისახა მიზნად თვითმაცდუნებელი უსარგებლო ფუჭი, ძალადობასა და სიცრუეზე დაყრდნობილი იდეები, რომლის აღსრულებას ჯიუტად ლამობს თანამედროვე მსოფლიო მმართველი ოფიციოზი.

ხორციელ-სხეულებრივი ადამიანის მიერ შექმნილი ნებისმიერი სამოქმედო გათვლები, პროგრამა თუ კანონპროექტი განწირულია დასაღუპავად თუ მას შინაარსობრივად არ ახასიათებს ბუნებრივი ღვთაებრივი გენიალური წესდება.

წესისა და რჯულის გარეშე ადამიანი ადექვატურ რანგშია პირუტყვთან მიმართებაში, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი ზნეობრივი საზომი.

XX და XXI ს. გზასაყარზე მიწიერი კაცობრიობა იმყოფება ცნობიერების იმ კონდიციაზე, როდესაც თვითონ ირჩევს სიკეთისა და ბოროტების ზღვარზე გამავალ პარალელს, რომლის ფიასკოც სამწუხაროდ მესამე მსოფლიო ომია.

ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საკითხია, თუ რა პოზიციას აირჩევს მსოფლიო ხალხთა მასის უმრავლესობა, თუმცა „ჭეშმარიტებისათვის უმაღლესი ტრიუმფია, როცა მას მცირედი, მაგრამ გონიერნი იზიარებენ“.

— დიახ, მეგობრებო, საქართველოდან უნდა ეუწყოს მთელს მსოფლიოს ღვთის სიტყვა, ოთხი ათასი წლით მიძინებული ლაზარეს გაღვიძება, რომელიც დაამყარებს მთელს მსოფლიოში მშვიდობას, თანასწორობას და სამართლიანობას!

— ძვირფასო მკითხველო, გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ და ჩასწვდეთ შინაარსობრივად, ეზოთერიკისა და თეოსოფის მ. ქართველის წინამდებარე წერილს.

მურმან ხუბულავა

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲑᲚᲝᲙᲘᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ ᲫᲕᲔᲡ.

მ. ქართველი

თანამედროვე მსოფლიოს სასულიერო, მეცნიერულმა და პოლიტიკურმა ელიტამ და ამ მიმართულებით მოღვაწე შესაბამისმა ინსტიტუტებმა არ იციან თუ როგორი და რანაირი სისტემის პრინციპითაა მოწყობილი მამა ღმერთის, ძე ღმერთის, ხორციელი კაცობრიობის, n-რაოდენობის მიცვალებულების და უკიდეგანო გარემო ველში არსებული ყველაფერის მარადიული არსებობა.

იმის გამო, რომ არსებობს ხორციელი მოაზროვნე კაცობრიობა და უკიდეგანო კოსმოსური ველი, შესაბამისად არსებობს უზენაესი კანონზომიერება (ღვთის სჯული) და სამართ-ალი, რომელმაც ასეთი სიცოცხლის არსებობა განაპირობა, რაც გახლავთ აქსიომა (ობიექტური რეალობა), რომელსაც თავგამოდებით ებრძვის ურია-მასონთა ათეისტურ-კოსმოპოლიტური (უტოპიური) უსაფუძვლო და უმეცრული ფილოსოფია – მსოფლიო დაპყრობის გლობალიზაცია (ამაოება).

კაცობრიობის და უკიდეგანო სამყაროს მარადიული არსებობა ეფუძნება მასშივე არსებულ 1+48=7X7=49 საფეხურის ინფორმაციული პროგრამის წიგნს, რომლის 1-42 საფეხურის ინფორმაციული პროგრამა (ხე კეთილის და ბოროტი შემეცნების) ქმნის ფერისცვალებად (ხრწნად) გრავიტაციულ გარემო-ველს, რომლის მოქმედების პერიოდში თესლისაგან ექვსი (6) მილიარდი წლის მონაკვეთში იქმნება 42 სხვადასხვა გარეგნობის სახე ყოვლისა ტანისა. თანამედროვე კაცობრიობა არის 36-42 საფეხურის თესლისაგან შექმნილი სახე ყოვლისა ტანისა, შესაბამისი სულიერ-ცნობიერი სიმწიფის ხარისხით.

კაცობრიობის და უკიდეგანო კოსმოსური ველის შინაარსში არსებული 43-49 საფეხურის ინფორმაციული პროგრამის წიგნი (ხე სიცოცხლისა) ქმნის უხრწნელ გარემო-ველს და სახეს ყოვლისა ტანისა, რომლის მოქმედების ეპოქაში კაცობრიობა არის მამა ღმერთივით სრულყოფილი და მართალი, ვინაიდან ყოვლისმცოდნეა ძე ღმერთის სულის მადლით.

ამრიგად კაცობრიობისა და უკიდეგანო გარემო-ველის მარადიულ არსებობას უზრუნველყოფს მასშივე არსებული 1+48=7X7=49 საფეხურის საინფორმაციო პროგრამის მოაზროვნე პროცესორი (სული=სიტყვა), სადაც ხრწნადი სიცოცხლის ფორმას ჩაენაცვლება უხრწნელი და უხრწნელი სიცოცხლის ფორმას ჩაენაცვლება ხრწნადი. ამიტომ მამა ღმერთის, ძე ღმერთის, n-რაოდენობის კაცობრიობის და უკიდეგანო გარემო-ველის არსებობას არა აქვს დაწყება (სტარტი) და დამთავრება (ფინიში), შესაბამისად ყველა-ფერი და ყოველივე თავის თავიდან თავის თავში ღვთის რჯულით დაბადებით მარადიულია, რაც გახლავთ უზენაესი კანონი და სამართალი. ამრიგად, სამოთხის სრულყოფილი კაცობრიობა გადაიქცევა თესლად, თესლიდან აღსდგება ხორციელ კაცობრიობად და ხრწნადი სხეულიდან აღსდგება სრულყოფილ, სასუფეველის კაცობრიობად და ა.შ. მარადიულად, რომელსაც განაგებს და მართავს მარადიულ ნათელ ველში მყოფი მამა ღმერთი – სიტყვა. უკიდეგანო სამყაროს ბუ-ნება არის ღვთის დამწყერლობა, ენა და მეტყველება. ადამიანი (პიროვნება) და კაცობრიობა არის მამა ღმერთის ხატი, მსგავსი და შესაქმის გვირგვინი, რომელსაც ამცირებს და აწვალებს ქრისტე მკვლელი ურია-მასონთა ბოროტი იდეოლოგია (ანტიქრისტე).

თანამედროვე კაცობრიობა დაყოფილია სულიერი სიმწიფის შვიდ (7) ეკლესიად.

სულიერი სიმწიფის პირველი ეკლესიის 1-7 საფეხურის ხალხები (ენები) საკუთარი თავისა და მათ ირგვლივ არსებული გარემო-ველის ჭეშმარიტ შინაარსს სწორად აღიქვამენ 4%-ის ფარგლებში და ყალბად მოიაზრებენ 96%-ის მომცველობაში.

სულიერი სიმწიფის მეორე ეკლესიის 8-14 საფეხურის ხალხები (ენები) საკუთარი თავისა და მათ ირგვლივ არსებული გარემო-ველის ჭეშმარიტ შინაარსს სწორად აღიქვამენ 8%-ის ფარგლებში და ყალბად მოიაზრებენ 92%-ის მომცველობაში.

სულიერი სიმწიფის მესამე ეკლესიის 15-21 საფეხურის ხალხები (ენები) საკუთარი თავის და მათ ირგვლივ არსებული გარემო-ველის ჭეშმარიტ შინაარსს სწორად აღიქვამენ 12%-ის ფარგლებში და ყალბად მოიაზრებენ 88%-ის მომცველობაში.

სულიერი სიმწიფის მეოთხე ეკლესიის 22-28 საფეხურის ხალხები (ენები) საკუთარი თავისა და მათ ირგვლივ არსებული გარემო-ველის ჭეშმარიტ შინაარსს აღიქვამენ 16%-ის ფარგლებში და ყალბად მოიაზრებენ 84%-ის მომცველობაში.

სულიერი სიმწიფის მეხუთე ეკლესიის 29-35 საფეხურის ხალხები (ენები) საკუთარი თავისა და მათ ირგვლივ არსებული გარემო-ველის ჭეშმარიტ შინაარსს სწორად აღიქვამენ 20%-ის ფარგლებში და ყალბად მოიაზრებენ 80%-ის მომცველობაში.

სულიერი სიმწიფის მეექვსე ეკლესიის 36-42 საფეხურის ხალხები (ენები) საკუთარი თავისა და მათ ირგვლივ არსებული გარემო-ველის ჭეშმარიტ შინაარსს სწორად აღიქვამენ 24%-ის ფარგლებში და ყალბად მოიაზრებენ 76%-ის მომცველობაში.

სულიერი სიმწიფის მეშვიდე ეკლესიის 43-49 საფეხურის მოციქულთა სწორი ერთეული საკუთარი თავისა და მათ ირგვლივ არსებულ გარემო-ველის ჭეშმარიტ შინაარსს სწორად აღიქვამენ 100%-ის ფარგლებში, ანუ საღვთო დამწყერლობას, ენას, მეტყველებას და სემოქმედებით პროცესთა რეჟიმს მთლიანობაში და სრულყოფილად აღიქვამენ, ამიტომ ისინი ნე-ტარ-ნი არიან (ღვთის ენას – მეტყველების საიდუმლო გასაღებს (ტარ) ფლობენ ამიტომ დაადგინა მართლმადიდებლურმა რელიგიამ 48 დღის მონაკვეთი მარხვისა და 49-ე დღეს პირის გა-ხსნა.

ბიბლიური აღეგორიით 1-42 საფეხურის საინფორმაციო პროგრამას და ამ პროგრამის მდედრობით ბუნებას ეწოდება ევა, რომელიც მამის თესლიდან ქმნის ხრწნად სხეულთა სახეს ყოვლისა ტანისა. შესაბამისად, ყალბი აზროვნების შემოქმედ მდედრობით ბუნებას ეწოდება დიდი მეძავი და დედამიწის სიბილწეთა დედა.

აღნიშნული საღვთო დოგმატიკიდან გამომდინარე გვეუბნება ღვთაებრივი გამოცხადება: **„მოვიდა ერთი იმ შვიდ ანგელოზთაგანი, რომელთაც ჰქონდათ შვიდი თავი, დამელაპარაკა და მითხრა: მოდი და გიჩვენებ სამსჯავროს მრავალ წყლებზე მჯდომი მეძავისა** (მხედველობაში ურია-მასონთა ქრისტეს მოძულე ბოროტი იდეოლოგია, მსოფლიო კომუნიზმი და მსოფლიო დემოკრატია ცრუ სიტყვის თავისუფლების გლობალიზაცია), **რომელთანაც მეძაობდნენ დედამიწის მეფეები და მისი სიძვის ღვინით თვრებოდნენ დედამიწის მკვიდრნი** (ფაქტი სახეზეა, ურია-მასონთა ბოროტი დემოკრატია გაღმერთებულია მთელს მსოფლიოში). მან სულით გადამიყვანა უდაბნოში და ვიხილე დედაკაცი მჯდარი ღვთისსაგმობი სახელებით სავსე შვიდთავიან და ათრქიან შავწითელ მხეცზე (**„არანაირად არ გაცდუნოთ ვინმემ, ვინაიდან ის დღე არ დადგება, სანამ უწინ არ მოვა განდგომილება და არ გამოჩნდება ურჯულოების კაცი, ძე დაღუპვისა“** – II თეს 2,3,) დიაცი შემოსილი იყო პორფირით და ძოწეულით, მორთული იყო ოქროთი, პატიოსანი ქვებით და მარგალიტებით ხელთ ჰქონდა ოქროს სასმისი, მისი სიძვის სიბილწით და უწმინდურობით სავსე (მსოფლიო დემოკრატია შემკულია ქრისტიანული მორალის ნიღბით და ბიბლიურ-ღვთიური მცნებებით) მის შუბლზე ეწერა საიდუმლო სახელი **„დიდი ბაბილონი“** მეძავთა და დედამიწის სიბილწეთა დედა. ***დავინახე, რომ დამთვრალი იყო წმინდანთა და იესოს მოწამეთა სისხლით და რომ ვუყურებდი მიკვირდა დიდად“.*** (გამოცხ. 17, 1-6).

სახარების მიხედვით თანამედროვე შვიდეკლესიური კაცობრიობის აზროვნების შემოქმედი დედა არის არა მარიამ ღვთისმშობელი (ქალწული წმინდანთა), არამედ ბაბილონის მეძავური იდეოლოგია, რომელსაც დედამიწის სიბილწეთა დედა ეწოდება (ბოროტი ცოდნის დედაა კომუნიზმი და დემოკრატია).

იბადება ბუნებრივი კითხვა, ამდაგვარი ანტიმართლმადიდებლობის მოძულე მსოფლიოში, წმიდა მარიამ ღვთისმშობლისა და ქრისტეს სამშობლომ საქართველომ (ლაზარემ) ვის მიადოს თავი და ვისთან უნდა იმეგობროს?! – ქრისტეს მკვლელ ისრაელთან? მართლმადიდებლობის მოძულე ევროკავშირთან? მართლმადიდებლობის მტერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თუ მართლმადიდებლობის მოყვარე სლავებთან (რუსეთთან)?

თანამედროვე წიგნიერი პროფესორი და აკადემიკოსი თვლის, რომ მესამე მსოფლიო ომში ისრაელი-აშშ-ევროკავშირის სამხედრო კოალიცია გაიმარჯვებს რუსეთ-ჩინეთ-ინდოეთ და მაჰმადიანური სახელმწიფოების სამხედრო კოალიციაზე. შესაბამისად ქრისტეს მკვლელი ისრაელი დაუსჯელად გადაურჩება ღმერთის რისხვას, გათამამებული სასტიკი წვალებით გაუსწორდება კაცობრიობას და დედამიწიდან უნაშთოდ ამოძირკვავს მართლმადიდებლობას (ღმერთს).

სახარების მიხედვით კი 2012-2020 წლებში უზენაესი ღმერთი შემოქმედი თავისი მარადიული სიცოცხლის შემოქმედი პროგრამის წიგნით ჰქმნის უხრწნელ ცას და უხრწნელ მიწას, კაცობრიობის ხორცის ხრწნად სხეულს აღადგენს ქრისტეს უხრწნელ სხეულში (კვართში):

„ვიხილე ახალი ცა და ახალი დედამიწა, ვინაიდან პირველი (ძველი) ***ცა და პირველი დედამიწა გარდახდა და ზღვა*** (წყალი, ხორცი) ***აღარ იყო. ვიხილე წმიდა ქალაქი ახალი იერუსალიმი*** (მცხეთა), ***რომელიც ღვთისაგან ეშვებოდა ციდან გამზადებული, როგორც თავისი ქმრისთვის მორთული სასძლო. გავიგონე ტახტიდან დიდი ხმა, რომელიც ამბობდა: აჰა, კრავი ღვთისა კაცთა შორის*** (მხედველობაშია ქრისტეს მეორედ მოსვლა დედამიწაზე) ***და ის დამკვიდრდება მათ შორის, ისინი იქნებიან მისი ერი და თვით ღმერთი*** (მამა) ***იქნება მათთან. მოსწმენდ ყველა ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი (ხორცის სხეული), გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება, რადგანაც წინანდელ გარდახდნენ (ფერისცვალებადი სამყარო გადაიბადება – ფერისუცვლელ ში). თქვა ტახტზე მჯდომარემ: აჰა, ვქმნი ყოველივე ახალს*** (უხრწნელს) ***და მითხრა მე: დაწერე რადგან ეს სიტყვები სარწმუნოა და ჭეშმარიტია. მითხრა აღსრულდა, მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და დასასრული*** (თესლიდან ნაყოფის შემოქმედი და ნაყოფიდან თესლის შემქმნელი). ***მე მივცემ მწყურვალს უსასყიდლოდ სიცოცხლის წყლის წყაროდან*** (მარადიული სიცოცხლის წიგნის პროგრამის ინფორმაციიდან). ***გამარჯვებული დაიმკვიდრებს მას, მე მისთვის ღმერთი ვიქნები, ის ჩემთვის –ძე. ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, შებილწულთა და მკვლელთა, მეძავთა და გრძნეულთა, კერპთაყვანისცემელთა და ყველა ცრუთა ხვედრი ტბაშია*** (მხედველობაშია ცოდვა განწმენდის ჯოჯოხეთური პროცესი), ***რომელიც იწვის ცეცხლითა და გოგირდით, რომელიც მეორე სიკვდილია“. (გამოცხ. 21, 1-8).***

ყოველივე ზემოთ აღნიშნული აღსრულდება მესამე მსოფლიო ომის შემდეგ (დღე-სამომამდე), ანუ მოხდება ბიბლიური აპოკალიფსის შემდეგ, რა მოხდება დედამიწაზე 2012-2020 წლებში? წმიდა წერილი, ღვთის პროგრამის (გეგმის, მიზნის) წიგნი გვეუბნება, ქრისტეს მეორედ მოსვლის დღე არ დადგებაო, სანამ უწინ არ მოვაო განდგომილება და არ გამოჩნდებაო ძე დაღუპვის (წარწყმედისა).

1990-1991 წლებში ურია-მასონებმა დაშალეს მათ მიერვე შექმნილი ათეისტური (ანტიქრისტიანული) საბჭოთა კავშირი და შექმნეს ანტიმართლმადიდებლური ევრო-ამერიკულ-რუსული იმპერიათა გაერთიანება (დიდი სივრცე), რომლის მთავარ იდეოლოგიას წარმოადგენს ქრისტიანული მორალით შეფუთული ლიბერალური (მზაკვრული) მსოფლიო დემოკრატია, რომლის ერთადერთი მიზანია მართლმადიდებლური სწავლების (რელიგიის) ინსტიტუტის უნაშთოდ ამოძირკვა დედამიწიდან და საღვთო დოგმატური მცნების არ მქონე ეკუმენიზმის გაბატონება მთელს მსოფლიოში, რომელიც ავტომატურად კაცობრიობაზე გააბატონებს ქრისტეს მკვლელ ურია-ებრაელებს.

აქვე მინდა განვმარტო, რომ უმეცარ ხალხზე სიტყვის თავისუფლების მინიჭება არის იგივე სიცრუის ლაპარაკის აყვანა რელიგიურ და სახელმწიფო დონეზე, ანუ სიმართლის (ღმერთის) გმობის ნებართვა მსოფლიო მასშტაბით, რაც არის უმძიმესი ცოდვა.

ევრო-ამერიკულ-რუსულმა იმპერიათა გაერთიანებამ 1991 წლიდან 2012-2013 წლამდე ისრაელის რაბინათის ხელმძღვანელობით მწყობრად იარა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რუსეთის იმპერიის მმართველ ელიტას ურია-მასონებმა თანდათან მოსთხოვეს ანტიმართლმადიდებლური (პედარასტულ-პედოფილიური) სახელმწიფო კანონების მიღება, რაზედაც ურია-მასონებმა მიიღეს უარყოფითი პასუხი, რომელიც გადაიზარდა განდგომილებაში, ამრიგად რუსეთის იმპერიის მმართველი სასულიერო და პოლიტიკური ელიტა განუდგა ურია-მასონთა ანტიმართლმადიდებლურ კოალიციას და თვითონ შექმნა ევრო-აზიური ანტიმასონური კოალიცია.

წმიდა ბიბლიის მიხედვით მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარი ხალხები 2012-2020 წლების მონაკვეთში გარს შემოერტყნენ ისრაელის სახელმწიფოს და კაცობრიობის მაცდუნებელ სინაგოგას (იერუსალიმს). მაჰმადიანური რელიგია (სწავლება) ეფუძნება ყურანს, რომელიც გადაწერილია ძველი მსოფლმხედველობის რელიგიის (სწავლების) საღვთოსასულიერო სარწმუნოების საფუძველი.

ამრიგად, მართლმადიდებლობასა და მაჰმადიანური რელიგიის (სწავლების) არსებობის საფუძველია ერთი ღმერთი და ღვთის წმიდა წერილი. ამიტომ პირველი იწოდება მართლმადიდებლობად, ხოლო მეორე კი მართლმორწმუნეობად. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მისტერიულ რიტუალშია. ბუნებრივია რუსეთის იმპერიის სასულიერო და პოლიტიკური ელიტა მხარს მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარ ხალხებს და მათ სამხედრო კოალიცია დაუჭერს, რომელიც წმიდა ბიბლიის განმარტებით ისრაელსა და იერუსალიმს მიწასთან გაასწორებს, რომელსაც ეწოდება ღვთის რისხვა ქრისტეს გამცემ და მკვლელ მართლმადიდებლობის მოძულე მცირე აზიელ იუდეველებზე.

მართლმადიდებლობის მოძულე ურია-მასონებზე და მათ მიერ გამოჩეკილ ნაცმოძრაობაზე გვეუბნება წმიდა წერილი: ისინი უწმინდური სულები არიან, გამოდიან დედამიწის მეფეებთან და მოუწოდებენ ერთიანი ძალით შეებრძოლონ კრავს (ქრისტეს), რომელსაც თავისუფლება და სამართლიანობა მოაქვს დედამიწაზე (ფაქტი სახეზეა). ამრიგად მესამე მსოფლიო ომი (აპოკალიფსი) არის შემოქმედი ღმერთის პროგრამით გათვალისწინებული ქმედება, რომლის აღსრულებით მთავრდება ფერისცვალებადი (ხრწნადი) სამყაროს მოქმედების კოსმიური ეპოქა და იწყება ფერისუცვალებადი (უხრწნელი) სამყაროს მოქმედების კოსმიური ერა. შესაბამისად ხორციელი და მიცვალებული კაცობრიობა შეიმოსა უხრწნელი სხეულით. ამინ!

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ევრო-ამერიკულ სამხედრო-პოლიტიკურ კოალიციას ეწოდება **„ქაჯები“**, ხოლო ევრო-აზიურ კოალიცია კი **„დევები“** ამიტომ გვეუბნება გენიოსი რუსთაველი : **„თუ ქაჯნი დევთა შეებნენ დღე იყოს იგი ძნელიო, უმისჟამისოდ ვინც გახსნას (გა-ხსნას) არის მეფეთა მკვლელიო“.** რუსთაველს მხედველობაში აქვს მესამე მსოფლიო ომი (აპოკალიფსი), რომლის დამთავრებისთანავე დედამიწაზე მოდის ძე ღმერთი (მესია) ათეულ-ათასობით წმინდანის თანხლებით და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრიდან მონათლავს კაცობრიობას (დაამყარებს სრულ წესრიგს კაცობრიობის აზროვნებაში, შესაბამისად დაამყარებს სრულ წესრიგს ხალხთა ცხოვრებაში).

იბადება ბუნებრივი კითხვა, რუსეთის იმპერიის სასულიერო და პოლიტიკურ ელიტას მართლმადიდებლური რელიგიის დაცვის თავდადებისათვის სჭირდება საქართველოდან სულიერი ინფორმაციული მხარდაჭერა?! ჩემი ღრმა რწმენით მას უნდა გაეწიოს ასეთი დახმარება, ვინაიდან სხვა ქომაგი და დამცველი მართლმადიდებლობას თანამედროვე მსოფლიოში აღარ ჰყავს. ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო კარის უფრო გაღება არ შეიძლება. გადარჩება მართლმადიდებლობა, გადარჩება საქართველო, რუსეთი და კაცობრიობა!

საქართველო (ლაზარე) ფლობს სამება სრულყოფილ დამწერლობას: ასომთავრულს, ხუცურს და მხედრულს, ფლობს სამ სასულიერო-საღვთო ენას: სუანურ ქართულ ენას (ქამი), მეგრულ ქართულ ენას (სემი) და იბერიულ ქართულ ენას (იაფეთი). ფლობს სამ მართლმადიდებლურ რჯულის წიგნს: ნოეს მიერ სვანური ქართულით დაწერილი უძველესი (პირველი) აღთქმის წიგნს (კიდობანს), მოსეს მიერ მეგრული ქართულით დაწერილ ძველ (მეორე) აღთქმის წიგნს (კიდობანს), იბერიული ქართულით დაწერილ ახალი (მესამე) აღთქმის წიგნს (კიდობანს) და წინასწარმეტყველთა წერილებს, რომლის ნივთიერი და იურიდიული დოკუმენტია მარიამის კვართი, რომელიც ეკუთვნის ხობის ეკლესიას, შესაბამისად ქალწულმა მარიამმა ყრმა ქრისტე მოცემული ეკლესიის ეზო-შემოგარენში დაბადა. ქრისტეს წმიდა კვართი დავანებულია სუეტიცხოვლის ტაძარში (მცხეთას), რომელიც არის ნივთიერი და იურიდიული დოკუმენტი იმისა, რომ საქართველო (ლაზარე) არის ღმერთისაგან ხელდებული და უზენაესი საღვთო მისიის მტვირთველი ქვეყანა, ანუ არის მსოფლიოს ხალხთა ღვთის სიტყვით განათლების სახელმწიფო აკა-დემია. ყველაფერს ერთად, ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს საღვთო სულიერი მისია და ქართული ოქროს საწმისი ეწოდება. ამინ!

ქრისტე აღსდგა. ჭეშმარიტად!
ქრისტე მოვა. ჭეშმარიტად!

მონა ღვთისა მირიან ქართველი
გიორგობა 2014 წ.

კიდევ ერთხელ ერთმორწმუნე რუსეთის შესახებ!

უკანასკნელ ჟამს საქართველოსა და რუსეთს შორის ჩამოყალიბებული დამოკიდებულება რომ არაერთმნიშვნელოვანია, ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად მოსჩანს. არც ის არის ძნელი გამოსაკვლევი, თუ ვისი ნებით და რატომ ჩამოყალიბდა ამგვარი ურთიერთობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის სათავეში ავადსახსენებელი ნაცები და მათი დაშნაკი "ბელადი" სააკაშვილი მოვიდნენ.

საქართველოს მდიდარი, მრავალჭირნახული ისტორია თუ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მატიანის გარკვეული მონაკვეთები თვალნათლივ მიანიშნებენ, რომ საქართველოს ყოველთვის ეკავა კავკასიაში ლიდერის პოზიცია. დიახ, საქართველო ლიდერი გახლდათ როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რადგან კავკასიის სახელმწიფოთა შორის არავის გადაუხდია იმდენი წარმატებული ომი აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის უდიდეს ქვეყნებთან, რამდენიც საქართველომ გადაიხადა და თუ ბევრმა კავკასიის სახელმწიფომ დღემდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევის შესაძლებლობა, ეს სწორედ საქართველოს დამსახურება გახლდათ. დაშნაკი სააკაშვილი კი ყველანაირად შეეცადა დაეკნინებინა საქართველოს როლი ამიერკავკასიაში, სასტიკად გაამწვავა რუსეთთან ურთიერთობა და ენერგიულად შეუდგა იმ ტრადიციების განადგურებას, რითაც საქართველოს მუდამ ლიდერის პოზიცია ეკავა რეგიონში. ამით კი სააკაშვილს თავისი რეალური სამშობლო – სომხეთისათვის სურდა გადაებარებინა ამიერკავკასიის ლიდერის პოზიცია. მაგრამ ამ ბნელმა დაშნაკმა ვერ გათვალა, რომ ლიდერობა დანიშვნითი ფენომენი არ გახლავთ და იგი აღიარებითი ფაქტორია.

ეს რუსებმაც იგრძნეს, რადგან მათი პოზიციები კავკასიაში მნიშვნელოვნად შეირყა, რუსეთი კი კავკასიაში მაშინ იდგა მყარად ფეხზე, როცა საქართველო ედგა გვერდით.

სწორედ ამ ფაქტორითაა განპირობებული რუსეთის ინტერესი, რომ მან კვლავაც აღადგინოს საქართველოსთან ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობები.

სამწუხაროა, რომ რუსეთის ამ განზრახვას ქართველთა გარკვეული ნაწილი (ოღონდ, არა გადამთიელი ნაციონალები) სკეპტიკურად უყურებს და ჩვენს ურთიერთობათა მატიანის გადახედვის ოდნავ სურვილსაც კი არ ამჟღავნებს. არა და, არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ მე-18 საუკუნის მიწურულს, როცა განსაკუთრებით ზეობდა და მძლავრობდა მუსულმანური სამყარო, აღმოსავლეთში ქრისტიანული რწმენის ფორპოსტად ქცეული საქართველო ლამის განადგურების საშიშროების წინაშე დადგა. განუწყვეტელმა ომებმა და ე.წ. **"ლეკიანობამ"** თითქმის სრულიად გააჩანაგა ერთ დროს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ქვეყანა, მისი მოსახლეობა 600.000-მდე შემცირდა, საქართველოში პრაქტიკულად აღარ არსებობდა საარსებო სივრცე: აღარ მოისმოდა გუთნისდედის ნაღვლიანი ღიღინი, გაქრნენ ხელოსნები, ვაჭრობა თითქმის ნულზე იყო დასული, ვენახი და ხეხილის ბაღები – აჩეხილი, სახლები და ყანები – გადამწვარი, სოფლები და ციხე-სიმაგრეები – ფუძემოშლილი და საძირკვლამდე გაშიშვლებული...

სწორედ ამ დროს მიმართა მზერა საქართველოს ბრძენმა მეფე ერეკლე მეორემ ერთმორწმუნე რუსეთისაკენ, რომელთა სამხედრო ძალებითაც საქართველოს შემოუმტკიცა ერთ დროს თითქმის უიმედოდ დაკარგული სამცხეთ-ჯავახეთი, ლაზეთი, ჰერეთი...

საქართველო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფენიქსისამებრ სასწაულებრივად აღდგა ფერფლიდან, მოსახლეობა 3,5 მილიონამდე გაიზარდა, ქვეყანაში სწრაფი ტემპებით განვითარდა სოფლის მეურნეობა, მედვინეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ხელოსნობა...

ყოველივე ამის დავიწყება ხომ უმადურობაა, რომელიც შვიდთაგან ერთერთი ბიბლიური მომაკვდინებელი ცოდვა გახლავთ!

თუ ამ ცოდვისაგან თავი ვერ დავიხსენით, მაშინ, არამც თუ კავკასიის ლიდერები, არამედ, ჩათვალეთ, რომ საერთოდ აღარ ვყოფილვართ ქართველები!

თუმცა, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ რუსეთის არაობიექტურ დამოკიდებულებაზე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების, კერძოდ კი საქართველოს მიმართ. მაგალითად, უსაზღვრო რუსეთი მეზობელი ქვეყნების გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისას საკუთარი მასშტაბებით აზროვნებს, რაც არც თუ ხელსაყრელია ამ მეზობლებისათვის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ძლიერი გეოპოლიტიკური რყევის რეზონანსმა რუსეთის უკიდეგანო სივრცის ბოლომდე შეიძლება ვერც კი მიაღწიოს, მცირემიწიან საქართველოში კი ამგვარმა რყევამ შეიძლება წყალბადის ბომბის აფეთქების ეფექტი იქონიოს. რუსეთმა ათი საქართველოს ოდენა ტერიტორია რომ დათმოს, იგი ამას ვერც კი იგრძნობს, მაშინ, როცა საქართველოსათვის ერთი რაიონის დაკარგვაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

აი, რა უნდა გახდეს ჩვენს შორის გამართული დიალოგის მთავარი თემა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ცარისტული რუსეთი არასოდეს აღიქვამდა მტკივნეულად საქართველოს დამოუკიდებლობას.

მაგალითად, 1914 წელს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე მზად იყო, რომ გამოეცხადებინა საქართველოს ავტონომია, რაც ბაგრატიონთა საგვარეულოს სამეფო უფლებებისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ნიშნავდა. მაგრამ იმპერატორის ამ განაზრახის სისრულეში მოყვანას ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი, მერე კი – რევოლუციამ, ხოლო, რაც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა და ამ რევოლუციით გამოწვეული სამოქალაქო ომის შემდეგ რუსეთში ამბები დატრიალდა, მათში ქართველების ავბედითი როლი უფრო გამოკვეთილია, ვიდრე რუსებისა!

ამრიგად, აშკარად არაობიექტურია ის, რომ (XX საუკუნის ოცდაათიანი წლების სამწუხარო მოვლენებს თავი რომ გავანებოთ) საბჭოთა კავშირში ბოლშევიკების მიერ ჩადენილი ყველა ცოდვა ლამის რუსებს მიეწერათ. სიმონ მასხარაშვილის ტიპის **"ობიექტური"** ქართველი ისტორიკოსები დღესაც დიდი გულისწყრომით აღნიშნავენ, რომ 1956 წელს, თბილისში, **"რუსების ხელით"** დაიღუპა 56 მშვიდობიანი დემონსტრანტი, მაგრამ არავინ ახსენებს იმ ფაქტს, რომ 1961 წელს, სიმფეროპოლში, მოძალადეთა მიერ დახვრეტილი იქნა 300-ზე მეტი რუსი მშვიდობიანი დემონსტრანტი.

ვერ გამიგია, რა შუაში არიან აქ რუსები, როცა საპროტესტოდ გამოსულების **"დამხვრეტთა"** რიგებში სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც (გამორიცხული არაა, რომ – ქართველებიც) უხვად იდგნენ?

ხოლო, რაც შეეხება ოცდაათიანი წლების კოლექტივიზაციას, ინდუსტრიალიზაციას, ე.წ. **"გოლოდომორს"** და 37-იანი წლების რეპრესიებს, რასაც მრავალი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა, აქ მსხვერპლის მხრივ რუსეთმა პირველობა რომ არავის **"დაუთმო"** ესეც ფაქტია!

იქნებ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ეროვნული და იდეოლოგიური ფაქტორები? დიდ სამამულო ომსა და ქვეყნის აღმშენებლობის დარგებში უამრავი გამარჯვებებისა და წარმატებების მიღწევის შემდეგ, რამაც საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია, ბუნებრივია, რომ რუსმა ერმა იგრძნო საკუთარი ძალა და მას გაუჩნდა პირველობის ამბიცია, რომლის იდეური ფუძემდებელი ისევ და ისევ ქართველი სტალინი გახლდათ. ბოლშევიკთა აპრიორ იდეოლოგიას რომ თავი გავანებოთ, სპორტულ სფეროშიც კი ჩამოყალიბდა ერთგვარი არაჯანსაღი ტრადიცია, რომლის თანახმად ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მხოლოდ მოსკოვის გუნდი უნდა გამხდარიყო.

ერთხელ, მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში კი თბილისის **"დინამოს"** დაურიდებლად წაართვეს ღირსეულად მოპოვებული ჩემპიონობა და იგი მოსკოვის ერთ-ერთ გუნდს თუ არ ეცდები – **"ლოკომოტივ"**-ს გადაულოცეს. მაგრამ, იქნებ ისიც გავიხსენოთ, თუ ვინ იყო მაშინ საბჭოთა კავშირის **"მთავარი მწვრთნელი"** რათა ყველა ცოდვა რუსებს არ ავკიდოთ!

რუსეთი ნამდვილად მომწონს იმ პირდაპირობისა და თვითკრიტიკისათვის, რომელსაც იგი არასოდეს ერიდება და საკუთარ ნაკლოვანებებზე ღიად საუბრობს.

გაიხსენეთ თუნდაც შესანიშნავი რუსი მწერლის თევდორე დოსტოევსკის სიტყვები:

"У России ужасное прошлое и счастливое будущее! И так будет всегда..."

და კიდევ, რუსეთისაკენ გული მიმიწევს იმიტომ, რომ მასთან ერთად არ მემუქრება ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების მძლავრი ევროპული შემოტევა, რაც აშკარა განადგურებას უქადის ჩემს სამშობლოს და ეს უჯიშო გადაგვარებულები საქართველოში ქრისტიანობისა და ეროვნული ტრადიციების აკრძალვას არ მოითხოვენ, როგორც ეს საფრანგეთში ხდება?!

ვგონებ, ეს ორი ფაქტორიც კმარა ობიექტური დასკვნის გასაკეთებლად.

რუსებისადმი ფანატიურ სიყვარულს მე ვერავინ დამაბრალებს, მაგრამ არც ისეთი უცხვირპირო ვარ, რომ ხელაღებით გადავუსვა ხაზი ყველა იმ სიკეთეს, რაც საქართველომ მოიმკა რუსეთთან გეორგიევსკის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. აქედან გამომდინარე, რუსეთთან გამართულ მოლაპარაკებათა არსი უნდა იყოს არა ის, შევიყვარებთ თუ არა ჩვენ რუსებს ყოველივე ავ-კარგის გაუთვალისწინებლად.

დღესდღეობით, ჩვენ, ქართველები, ერთმანეთსაც კი არ ვანებივრებთ დიდი სიყვარულით და არც ის უნდა იყოს ძნელად ასახსნელი, თუ რატომ არ შევიყვარებთ რუსებს. საკითხის არსი უნდა იყოს შემდეგი: რა უფრო ხელსაყრელი იქნება საქართველოსათვის – ურელიგიო, უეროვნებო და უზნეო ევროპელებთან ჩახუტება თუ ეროვნული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის მკაცრად დამცველ რუსეთთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების აღდგენა!

გავიხსენოთ, უწმინდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ **"როსიისკაია გაზეტა"**-ს ჟურნალისტს ალექსანდრე იაროშენკოს რომ უთხრა: **"ჩვენ პირველ რიგში, სულიერად ერთი ხალხი ვართ, ერთი ეკლესიის წევრები... გადაეცით რუსეთს ჩემი საუკეთესო სურვილები და კეთილგანწყობილება..."**

დიახ, ლანძღვა-გინებით კი არა, კეთილი სურვილებითაა საჭირო რუსეთის პრეზიდენტთან საერთო ენის გამონახვა.

ამდენად, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ სულგანათლებული ჭაბუა ამირეჯიბის მკაცრ გაფრთხილებას: **"ჭკუით, ქართველებო!"**

როლანდ ჯალაღანია,
ჟურნალისტი

ნადირობისათვის აკრძალული ხერხები და საშუალებები საქართველოში

აკრძალულია ნებისმიერი სახის ასაფეთქებელი და სხვა საშუალებით ნადირობა, რომელიც ტანჯვას აყენებს გარეულ ცხოველს.

მცენარეული საფარის დაწვით ნადირობა;

გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება და გაყიდვა (გარდა ფრინველთა აღწარმოების მიზნით სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული შემთხვევებისა);

ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა, ან განადგურება;

ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებებით – ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეებით (გარდა დამჭერი მტაცებელი ფრინველების ნებადართული მოპოვების შემთხვევებისა), ხაფანგებით, მარყუჟებით, აგრეთვე ორმოებით, სარეგავებით (სარეჯგველებით) ნადირობა;

ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ე. წ. **"მანიოკებით"** – ფრინველის მოზიდვა, საწამლავით, სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშაგება;

ნადირობა და/ან ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლეტიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან, მათ შორის, ღამით განათებული ფარებისა და პროჟექტორების მეშვეობით, ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა ღამის ცეცხლის დანთებით;

სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, ხანძარი, დიდი თოვლი და სხვა) დროს დაუძლურებული ცხოველების მოპოვება, აგრეთვე მათზე ნადირობა წყალში გადასვლისას ან სხვა დაბრკოლებების გადალახვისას, მათ შორის, სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევის დროს;

ცხოველების ბუნაგებიდან გამოდევნა მათი შებოლვით ან დატბორვით, აგრეთვე სოროების გათხრით;

მსხვილი ჩლიქოსნებისა და დათვის მოპოვება მცირეკალიბრიანი სანადირო იარაღითა და საფანტით, რომლის დიამეტრიც 5 მმ-ზე ნაკლებია.

ადამიანის ციტომეგალოვირუსული ინფექცია

ციტომეგალიის ვირუსი მუდამ აქტუალურია. მის შესახებ კი მოსახლეობას მწირი ინფორმაცია აქვს, რაც შემდგომ გართულებებსა და დაგვიანებულ მკურნალობის იწვევს.

ვთვლით, რომ აუცილებელია სწორი ინფორმაცია მიეწოდოს მოსახლეობას, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დროული მკურნალობა.

ბოლო წლებში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ჰერპესვირუსების ჯგუფის ვირუსების შესწავლა, რაც დაკავშირებულია ვირუსოლოგიის პრაქტიკაში ახალი და სრულყოფილი მეთოდების დანერგვასთან.

ადამიანის ციტომეგალოვირუსული ინფექცია პირველად აღწერილი იყო **"სანერწყვე ჯირკვლების ინფექციის"** სახელწოდებით 1932 წ. და აღმოჩენილი იყო სხვადასხვა მიზეზით დაღუპული ბავშვების სანერწყვე ჯირკვლების გიგანტური უჯრედების ბირთვებში.

ციტომეგალოვირუსულმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს სისტემური დაავადებები (მაგ. ციტომეგალოვირუსული მონონუკლეოზი, გენერალიზებული ციტომეგალია) ასევე დააზიანოს სხვადასხვა ორგანო (ღვიძლი, ფილტვები, თავის ტვინი, გული და სხვა) ახასიათებთ რა ციტოპროლიფერაციული აქტივობა ციტომეგალიის ვირუსებს ზოგჯერ შეუძლიათ გამოიწვიონ ლიმფური ქსოვილების ჰიპერპლაზია, რის შედეგადაც ზიანდება ადენოიდები და ნუშურები, ზოგიერთ შემთხვევაში ვითარდება მეზენტერიალური ლიმფადენიტი, რაც შემდეგ ხდება ნაწლავური გაუვალობის მიზეზი. ციტომეგალოვირუსულ ინფექციას შეუძლია შარდ-სასქესო ტრაქტის (მამაკაცებში) დაზიანება და გადაცემა ხდება სქესობრივი გზით.

ტრანსპლაცენტარული გზით შეჭრილი ვირუსი იწვევს ნაყოფის მძიმე მანკების ფორმირებას, სიმახინჯეებს რაც შეიძლება გამოიხატოს ჰეპატოსპლენომეგალიით ჰემოლიზური სიყვითლით, მიკროცეფალიით, მხედველობის ნერვის ატროფიით, ქორიომენინგიტით, მკვდრად შობადობით. ახალშობილების 1% ვირუსმატარებელია. პერინატალურად ახალშობილის ინფიცირება შესაძლებელია მშობიარეს საშვილოსნოს ყელზე ვირუსის არსებობისას. ასეთ შემთხვევებში სიცოცხლის პირველ წლებში ბავშვებს უვითარდებათ ქრონიკული გენერალიზებული ვირუსემია. ვირუსი ლატენტურად პერსისტირებს სანერწყვე სადინარებში, თირკმელებში, ლეიკოციტებში, თვეობით და წლობით შეიძლება გამოიყოფოდეს შარდთან და ნერწყვთან ერთად. წარმოადგენენ ინფექციის წყაროს გარშემომყოფთათვის, რომლებიც ინფიცირდებიან ალიმენტური ან რესპირატორული გზით.

გამოკვლევებმა დაადასტურა ციტომეგალიის ვირუსის უნარი დიდხანს შენარჩუნდნენ ლეიკოციტებში. უჯრედული ვირუსემია ვირუსის ლეტაციის ერთ-ერთი ფორმაა და დაკავშირებულია რეციპიენტებში ციტომეგალოვირუსული მონონუკლეოზის განვითარების საშიშროებასთან. ეს კლინიკური ფორმა შეიძლება მიეკუთვნოს ლიმფოპროლიფერაციულ დაავადებებს. ანალოგიური პრობლემა დგას ტრანსპლანტაციის დროსაც.

ციტომეგალიის ვირუსი არ იჩენს მგრძნობელობას ინტერფერონის მიმართ. ამასთან დაკავშირებით იქმნება პრობლემა მთელი რიგი ვირუსული დაავადებების სპეციფიკურ მიმდინარეობასთან ციტომეგალოვირუსული ინფეციის ფონზე. მაგ, გრიპი ციტომეგალოვირუსული ინფექციით დაავადებულებში უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობს. ზოგიერთი მეცნიერი თვლის რომ ფეხმძიმობა იწვევს ლატენტური ინფექციის აქტივაციას. სისხლში აღმოჩენილია სპეციფიკური ანტისხეულები.

ციტომეგალიის ვირუსი მიეკუთვნება Herpetoviridae–ს ოჯახს. Herpesvirus–ის გვარს. იწვევს ფარულად და ხანგრძლივად მიმდინარე ინფექციას ბავშვებსა და ახალგაზრდებში.

მორფოლოგიურად და ბიოლოგიური თვისებებით ვირუსი გავს მარტივი ჰერპესის ვირუსს. მრავლდება მხოლოდ ქსოვილთა კულტურებში. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ემყარება ვირუსის გამოყოფას ადამიანის ემბრიონის ფიბრიობლასტების კულტურაზე და მის შემდგომ იდენტიფიკაციას.

მარინე კალანდარიშვილი, ექიმი ბაქტერიოლოგი

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲒᲐᲛᲝ

რადგან გაზეთი „ასავალ-დასავალი“ მზად არის გახსნას პოლემიკა 2013 წლის 23-29 დეკემბრის №51-ში გამოქვეყნებულ პროფ. ალეკო ცინცაძის ინტერვიუსთან დაკავშირებით და ტრიბუნა დაეთმოს ალეკო ცინცაძის კვლევის, როგორც მომხრეებს, ასევე მოწინააღმდეგეებსაც, აღნიშნული გაზეთის მკითხველებს მინდა მივაწოდო საკუთარი აზრი.

შეიძლება ამა თუ იმ ენის კარგად მცოდნე, საკმაოდ განვითარებულმა და მოაზროვნე ადამიანმა შექმნას ახალი, გარკვეული შინაარსის მომცველი სიტყვები და ასეთი რამ უცხო არ არის ამა თუ იმ ენის განვითარების ისტორიაში, მაგრამ ასე ხელოვნურად შექმნილი სიტყვები გავლენას ვერ მოახდენს ენის საერთო სტრუქტურაზე, რადგან ამა თუ იმ ენის მთელ ლექსიკურ ფონდთან შედარებით, ხელოვნურად შექმნილ სიტყვათა რაოდენობა უმნიშვნელოა და რამდენიმე ხელოვნურად შექმნილი სიტყვებით, თუნდაც, გარკვეული მოსაზრებით მინიჭებული რიცხვითი მნიშვნელობებითა და კოდირების მოტივაციით, შეუძლებელია ვიმსჯელოთ ამა თუ იმ ენის განვითარებაზე და ღვთიურობაზე, თუმცა, ყველა ენა ღვთის ნებითაა შექმნილი. ე.ი., ამა თუ იმ სიტყვებში შემავალ ასონიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების ჯამთა ტოლობით შეუძლებელია ვიმსჯელოთ ენის ძლიერებაზე და ღვთიურობაზე, რადგან ენაში მრავლადაა ერთიდაიგივე ბგერითი შემადგენლობის სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებიც (ქართულში მაგ., **ბადა** და **დაბა; ბედი, იდებ** და **დები**), მით უმეტეს, სხვადასხვა ბგერითი შემადგენლობის სიტყვათა კომბინაციით შეიძლება აღმოვაჩინოთ მრავალი ერთიდაიგივე რიცხვითი მნიშვნელობებით ტოლი, მაგრამ სემანტიკური მნიშვნელობებით აბსოლუტურად განსხვავებული და, შეიძლება, ურთიერთსაპირისპირო სიტყვებიც. ასე მაგალითად, **ერთადერთი ღმერთი** = 5+19+9+1 + 4+5+19+9+10+25+13+5+19+9+10 =163. ასევე, 163-ს უდრის **ალეკო ცინცაძე**-ც და **პედერასტი ადამიანი**-ც, თუმცა ეს სინამდვილეში ასე არ არის.

აღსანიშნავია, რომ **ალეკო** ცინცაძე გახდა **ალიკო** ცინცაძე, მას შემდეგ, რაც გ-თ „**ᲘᲚᲝᲠᲨᲘ**“ დაიბეჭდა ჩემი კრიტიკული წერილი მისი მცდარი თეორიის მიმართ. ისედაც ცხადია, **ალიქსანდროსგან** კი მარა, **ალექსანდრესგან ალიკო** ვერ წარმოიშობოდა. მაგრამ რა ვქნათ, როცა **ალიკო ცინცაძე**-ც, მისივე თეორიით, რიცხობრივად უდრის 168-ს და 168-ს უდრის, ასევე, **სიყალბის ქომაგი**? მაინც ვიწამოთ აბსურდული ჰემატრიისა?

გულწრფელად მეცოდება ბატონი **ალეკო**, რადგან ვიღაცის, თუ რაღაცის გავლენით ცრუ წარმოდგენებშია ჩაფლული და ჯიუტად **სიყალბის ქომაგ** ბატონ ალექსანდრეს ვაფრთხილებ, ნუ შეეცდება ბავშვობიდან სიყვარულით შერქმეული სახელი – ალეკო (რაკი **ალიკომ** არ გაამართლა), შეცვალოს **ალაკო**-თი, **ალოკო**-თი, ან **ალუკო**-თი, რადგან **ალაკო ცინცაძე** = 159-ს და **ცრუპენტელა მე**-ს შეესაბამება. **ალოკო ცინცაძე** = 174-ს და **სიცრუის მონა**-ს ტოლია, ხოლო **ალუკო ცინცაძე მთელი თავისი შინაგანი არსით** = 428 და 428-ს უდრის, აგრეთვე, **ფუჭადმშრომელი ცრუპროფესორი კაცია**-ც. და მაინც ვირწმუნოთ მცდარი ჰემატრიისა? თუ ჰემატრია სანდო თეორიაა, მაშინ „**ნიჭი – სიბრძნეთია მბრწყინავი**“ **კუკური ფიფია** = 480 და 480-ს უდრის **ნამდვილად უანგარო, ქრისტეს მოკავშირე და მხსნელი**-ც, ან კიდევ, პირდაპირ, **კუკური ფიფია** = 162 და 162-ს უდრის **ზეკაცი – ქრისტე**-ც. კეთილ ინებეთ და მეცით თაყვანი! ვაი ჩვენი ცოდვა!

ასე, რომ ჰემატრია გავიტანეთ და სიხარულით ცას ეწეოდა ბ-ნი ალეკო-ო, რომ შემატყობინეს, უნდა გავუცრუო იმედი, რადგან სიცრუეზე აგებული ქვეყანა ძალზე მყიფეა და მცირე ზეწოლასაც ვერ გაუძლებს. სჯობია, ბატონი ალეკო და სხვა „მეცნიერები“ ნუ შეეცდებიან ჭეშმარიტების დაბლოკვას. მერწმუნეთ, ეს მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

რადგანაც ალეკო ცინცაძემ აღმოაჩინა რიცხვითი მნიშვნელობებით ტოლ სიტყვათა გარკვეული რაოდენობა, ცდილობს საზოგადოებას თავს მოახვიოს, რომ ქართული ენა კოდირებულია და ამდენად ღვთიურია.

მიუხედავად იმისა, ყველა ენა ღვთის ნებითაა წარმოშობილი, მის ძლიერებაზე და გამომსახველობით შესაძლებლობებზე რიცხვულ მეთოდზე უკეთ და დამაჯერებლად ისტორიულ-შედარებითი ანალიზითა და ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიის შესწავლით შეიძლება ვიმსჯელოთ.

შეუსაბამოა მეტყველების წარმოშობა-განვითარება (ენის ევოლუცია) და ჰემატრიული, ანუ რიცხვული მეთოდით ენის შექმნა. უზენაეს შემოქმედს ენა და მეტყველება, რომ შეექმნა მაღალგანვითარებული და უცვლელი, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა: ღვთიური და კოდირებული ენა გვაქვსო, მაგრამ როცა ბიბლიიდანაც ცნობილია, როგორ არქმევდა ადამი საგნებს და რეალობებს შესაბამის სახელებს და რამდენად პრიმიტიული იყო მაშინ ბუნებისგან ნაკარნახევი სიტყვები და რამდენად პრიმიტიული იყო ქართული ენა, თუნდაც, რამდენიმე საუკუნის წინათაც საკმაოდ განსწავლული იოანე პეტრიწის (1050-1125) ეპოქაში, რომელიც თავს არ აძლევს მოსვენებისა და სასთუმალზე დადების უფლებას, სანამ ვერ შექმნის „ენას სიტყვამდიდარსა და განსხვავებულს მდაბიოთაგან“ (**„...არავე ცრულ სარეცეთა მომდოვრებისა ჩემისათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმან ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათაჲ არღ ენაცვლების; და აღვიშურვე ტომისათჳს გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეი მდაბრიონთაგან,...“**), რა კოდირებაზე, როდის და რა მიზნით კოდირებაზე შეიძლება საუბარი.

სამწუხაროდ, ბ-ნ ალეკო ცინცაძეს წარმოდგენა არა აქვს ენისა და, საერთოდ, მეტყველების წარმოშობაზე, თორემ მიხვდებოდა რა აბსურდი იწამა ჭეშმარიტებად (ბ-ნ ალეკოს არითმეტიკული შეცდომებიც მოსდის. ის ამბობს: „...ჰემატრიით 99-ს იძლევა არამარტო სიტყვა „ღმერთი“, არამედ სიტყვა „მამა ღმერთი“, „ქრისტე“ და ა.შ. სინამდვილეში **ღმერთი** =109, **მამა ღმერთი** =127; ასევე, წელი = 58-ს და არა 48-ს, წელიწადი = 104-ს და არა 94-ს, და კიდევ, **ქრისტე** კი უდრის 99-ს, მაგრამ **ქრისტᲗ**, როგორც „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ში წერია, უდრის არა 99-ს, არამედ 102-ს.

მაპატიოს ღმერთმა, რომ მიწევს შეუსაბამობების დაფიქსირება, მაგრამ ბ-ნ ალეკოს მიმდევრებიც (რა თქმა უნდა, არაენათმეცნიერები) ბევრი გაუჩნდა და მცდარ გზას დამდგართა გაცნობიერების სურვილი მაიძულებს: ე.წ. ჰემატრიულად, **უზენაესი = 84 = ბოროტებაა-ს, ღმერთი = 81 = სულელი = რეგრესი = სნეულება, იესო = 51 = ყალბი, ღორონთი = 109 = აფერისტი, ქრისტე = 99 = უმეცარი** და ა.შ.

მინდა ვკითხო ბ-ნ ალეკოს: თუ ბუნებაში არსებობს ქურუმთა მიერ „შექმნილი“ ნებისმიერი სიტყვის ჰემატრიულად ტოლფასი, საწინააღმდეგო, უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვა, რა მიზანი ჰქონდა ჰემატრიულად ტოლი, თუნდაც, ღრმა შინაარსის მქონე ხელოვნური სიტყვების შექმნას, როცა უფრო იოლად შეიძლებოდა არა ზუსტი რიცხვითი მნიშვნელობების საზღვრებში მოქცეული, არამედ ამისგან თავისუფალი, უფრო წონადი სიტყვები შეექმნათ, თუ არა უმეცართა უფრო გაბრიყვება?

სამწუხაროდ, ქართული ენა არაა ძირისეული ენა, ის ნარევი ენაა, რადგან ჩვენს სალიტერატურო ენაში 66%-ზე მეტი ნასესხები ლექსიკაა (აკად. აკაკი შანიძის გაანგარიშებით) დამკვიდრებული, მხოლოდ 34%-მდეა ეროვნული წარმოშობისა, ამიტომაც ჰქვია ქართული (ქართური), ანუ შერეული. ეს ფაქტია და თავის მოტყუებით სხვას ვერ მოვატყუებთ. ამიტომ ნარევი ენის კოდირებულად და ღვთიური საწყისის მქონე ენად აღიარების მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა ძალზე დახვეწილი და გამარტივებული, სრულად გახმოვანებული და საოცრად გრამატიზირებული, მსოფლიოში აღიარებული კლასიკური ენაა, უპერსპექტივოდ გვეჩვენება.

კითხვაზე: – ბიბლია რა მეთოდით არის დაშიფრული? ბატონი ა. ცინცაძე პასუხობს: „– ბიბლიის დაშიფვრის სამი მეთოდი არსებობს – ნოტარიკონი, თემურა და ჰემატრია. პირველი ორი ლექსიკური ფორმაა და, როგორც გაირკვა, სტატისტიკურად და ალბათურად სრულიად არასანდოა. ამას ებრაელი მეცნიერები აღიარებდნენ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან და ნოტარიკონსა და თემურას აღარ იყენებენ.

რაც შეეხება ჰემატრიას, ეს არის დაშიფრული ტექსტის გახსნის რიცხვული მეთოდი, რომლის საიმედოობა მაღალია და ენათმეცნიერები, ძირითადად, სწორედ ამ მეთოდს იყენებენ“.

უსირცხვილოდ ტყუის ბატონი ალეკო. საკმაოდ კარგად ვიცნობ არამარტო ქართველ, არამედ უცხოელ ენათმეცნიერთა შრომებსაც, მაგრამ ენათმეცნიერებაში ყველაზე აღიარებულ მეთოდად მიღებულია ლექსიკის კვლევა ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ხოლო ჰემატრიით საენათმეცნიერო საკითხების მკვლევარი ენათმეცნიერი მე აღარ შემხვედრია და ვერც ბ-ნი ალეკო და ვერც ვერავინ დაასახელებს ასეთ ენათმეცნიერს. რის დამტკიცებასაც ბ-ნი ალეკო ცდილობს, ეს მხოლოდ მისი სურვილია, მაგრამ განუხორციელებელი, ანუ უტოპიური და მეცნიერებისათვის აბსოლუტურად უცხო. და მაინც ქართველი მეცნიერებიდან თუ ვინმე გაიზიარებს ყოვლად შეუწყნარებელ, აღნიშნულ თეორიას, საერთაშორისო საენათმეცნიერო არენაზე ეს იქნება ქართული საენათმეცნიერო სკოლის უდიდესი, ჩამოურეცხავი სირცხვილი.

რამდენადაც ანბანთ მწკრივში ასონიშნებისთვის მინიჭებულია თავ-თავისი რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობები, როგორც შესაძლებელია ამა თუ იმ რიცხვის მიღება მრავალ წინამდებარე რიცხვის შეჯამებით და შესაკრებთა ადგილგადანაცვლება ჯამს აღარ ცვლის, ასევე, ამა თუ იმ სიტყვის (წინადადების) რიცხვითი მნიშვნელობით ტოლი სიტყვის (წინადადების) მოძიება და შექმნა შეიძლება მრავალი სხვადასხვა ბგერის (სიტყვის) კომბინაციებით.

ეს უმარტივესი არითმეტიკული კანონზომიერებაა. ამიტომ შეუძლებელია, და დიდი შეცდომაა, ერთეულ სიტყვათა შექმნის შესაძლებლობით ვიმსჯელოთ, ზოგადად, სამეტყველო ენის მთელი ლექსიკური ფონდის ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობაზე. ცნობილია, რომ ენათმეცნიერებმა სცადეს შეექმნათ კაცობრიობისათვის ერთი საერთო ენა – ესპერანტო, მაგრამ ასეთი რამ ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება და ამაოდ დაშვრნენ. ეს მხოლოდ უზენაეს შემოქმედს ხელეწიფება.

ალეკოს თეორიით, ჯერ შეიქმნა ანბანური სისტემა, ხოლო ენა და მეტყველება შემდეგ, ე.ი. ჯერ შეიქმნა ასონიშნები, ხოლო ბგერები შემდეგ მოერგო ასონიშნებს, რაც აბსურდია. ეს ებრაელი კაბალისტების გავლენაა. მათი მოგონილია ჰემატრიაც, რომ გაუთვითცნობიერებელი საზოგადოებისათვის დაემტკიცებინათ ებრაული ასონიშნების ღვთიური წარმოშობა.

ამნონა საბას გადმოცემით ებრაული ასონიშნები ასახავენ ადამიანთა თვისებებს. შემოქმედის მიერ ამ თვისებების შესაბამისადაა შექმნილი თითოეული მათგანი და თითოეული მის წინაშე თვლის, რომ მისი თვისებაა ყველაზე შესაფერისი სამყაროს შესაქმნელად და თხოვს შემოქმედს სამყარო შექმნას მისით, მაგრამ უზენაესი ყველას უარს ეუბნება, გარდა ბ ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნისა ב(ბეთი).

ბგერა-სიტყვა **ბ** ადამჟამინდელ იბერიულ ენაში ნიშნავს ბმას, კავშირს და, მართლაც, თვალით უხილავ კავშირს (მაგნიტურ ძალას) უჭირავს სამყარო. მის გარეშე იქნებოდა ქაოსი (უწესრიგობა) და არ იქნებოდა სიცოცხლე, შესაბამისად არ იქნებოდა სამყაროც.

ადამიანთა თვისებები ასახულია იბერიულ ბგერებში, ხოლო ბგერებისა და მეტყველების წარმოშობის საფუძვლები დედამიწაზე დღეისათვის ერთადერთ იბერიულ ენას შემორჩა. ე.ი. დედამიწაზე დღეს არსებული ენებიდან ღვთიური წარმოშობისაა ერთადერთი იბერიული ენა და სამეტყველო ბგერები, ხოლო ბგერათა აღმნიშვნელი ასონიშნები მრავალია და, რა თქმა უნდა, ღვთის ნებით, მაგრამ ადამიანთა შექმნილია (იხ. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, 1989, გვ. 44. სქოლიო). ასევე, ანბანთ მწკრივში მთავრულ ასონიშანთა რიგითი სათვალავი და რიცხვითი მნიშვნელობები ადამიანის მინიჭებულია. ალბათ, ბატონი ალეკო არ იცნობს დიდი ივანე ჯავახიშვილის „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფიას“ და არ იცის რა მიზნით დაუდგინდა ანბანთ მწკრივში ასონიშნებს რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობა. გარდა ჩვენი ასომთავრული დამწერლობისა, არცერთ სხვა დამწერლობაში არ არის ანბანთ მწკრივში ასონიშანთა გაწყობის თანმიმდევრობა მოტივირებული, რაც იმას მოწმობს, რომ კაცობრიობის პირველი დამწერლობები ჩვენი მხედრული და ასომთავრული დამწერლობებია და ამ ჭეშმარიტების ჰემატრიული მეთოდით, ან სიზმარში დანახული ხილვით მტკიცება (ნაზი ხანიაშვილი) ან ავადმყოფურ ილუზიებში ჩაფლული ადამიანის წარმოდგენაა, ან კიდევ, წმინდა მეცნიერული კვლევით მოპოვებულ არგუმენტებში ეჭვის შეტანის მცდელობა.

კითხვაზე: – ქართულ ენათმეცნიერებაში აქამდე ვინმეს თუ გამოუყენებია ეს მეთოდი? ბატონი ალეკო პირდაპირ პასუხს თავს არიდებს და აღნიშნავს: „ებრაელი მეცნიერები წერენ, რომ, თუ სადმე უნდა გამოყენებულიყო ჰემატრია, ეს უნდა ყოფილიყო, პირველ რიგში, ღმერთების პანთეონთან მიმართებაში, რადგან ღმერთების სახელებს ინახავდნენ დაშიფრული მეთოდით“.

მეტყველების წარმოშობაზე წარმოდგენის უქონლობის გამო ჭეშმარიტების სიღრმეში ვერ წვდება არამარტო ბატონი ალეკო, არამედ ბევრი ენათმეცნიერიც, რადგან ენათა აღრევისა და მრავალჯერადი ურთიერთ შერწყმის შედეგად წაიშალა მათში ამაზე მეტყველი, მართლაც, ღვთიური, ძირისეული ფორმები და ამიტომ 1866 წელს, პარიზში, საენათმეცნიერო საზოგადოებამ ოფიციალურად აკრძალა მეტყველებისა და ენის წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა უნაყოფოდ მიაჩნდათ და ამ აკრძალვის ტყვეობაშია დღემდე ბევრი ენათმეცნიერი, მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს და ცდება ბატონი ალეკო, როცა ამბობს: წინარქართული სიტყვა **ღორონთი** ქურუმთა შექმნილიაო. ის ადამის დროიდან ბუნებრივად შექმნილი არქაული ფორმის წინადადების გახმოვანების შედეგია და ნიშნავს **გამცემი სიცოცხლის წყაროს ნათელისა**-ს და, სწორედ, ესაა ღმერთი-შემოქმედი. ასევე, სიტყვები „წანა (წელი), „წელიწადი“, „იბერია“, ქართლი, „ქალდეა“ და ა.შ. ბუნებრივი წარმოშობის ტერმინებია და ეტიმოლოგიური იდენტიფიკაცია დღეისათვის ცნობილია. მაგრამ ამ საკითხზე სიღრმისეული საუბარი სხვა დროისათვის გადავდოთ.

ღმერთი-შემოქმედი კი ერთია ამ უსაზღვრო და უსასრულო სამყაროში, ხოლო მრავალი ღმერთი ადამიანთა მოგონილია და ჰემატრიაც იმ ენის წარმომადგენელთა მოგონილია, რომელთა ენაში ენისა და მეტყველების წარმოშობაზე არაფერი შემორჩათ, მაგრამ მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და გაზრდის ამბიციებმა საკაცობრიო ღირებულებათა შექმნაში პირველობის მოპოვების ამბიციებიც გაუჩინა და შეაქმნევინა მეცნიერებასთან ყოველგვარ კავშირს მოკლებული, სოფიზმის მსგავსი თეორია – ჰემატრია, რომელიც განწირულია უარსაყოფად და ამ თეორიას განვითარება აღარ უწერია.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ვისაც სჯერა მისი ჭეშმარიტებისა, ღმერთმა ბედნიერებაში მოახმაროს!

ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲐ,
„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ლევან სალუქვაძე: მწვრთნელი სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ...

ქართულ ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობას "კატასტროფული" თუ არა, "კატასტროფულთან მიახლოებული" ნამდვილად შეგვიძლია ვუწოდოთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფიფას რეიტინგში ფარერებმაც კი გაგვასწრო და, ალბათ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

ისდა დაგვრჩენია, გამოსავლის ძიებაში რაც შეიძლება მეტი კომპეტენტური პირის აზრი მოვისმინოთ. გვესაუბრება ჩვენი კოლეგა, სპორტული ჟურნალისტი ლევან სალუქვაძე...

– ლევან, ჩვენი რეალობისთვის ყველაზე აქტუალური საკითხით დავიწყოთ. ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში კი დააფიქსირეთ თქვენი აზრი, მაგრამ ახლა უფრო ვრცლად გვითხარით – ვინ მიგაჩნიათ შექმნილ სიტუაციაში ნაკრების მთავარი მწვრთნელობის ყველაზე სასურველ კანდიდატად?

– ჯერ კიდევ თემურ ქეცბაიას მუშაობის პერიოდში, როცა ცხადი გახდა, რომ ის ადრე თუ გვიან დატოვებდა პოსტს, დავაფიქსირე ჩემი აზრი ამ თემაზე. ყველაზე სასურველად მიმაჩნია ორი კანდიდატურა – კახა ცხადაძის და შოთა არველაძის. ჩემი არჩევანი ეფუძნება ამ ორი ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ განვლილ გზას, სამწვრთნელო კარიერისას მიღწეულ წარმატებებს... ორივეს აქვს მებრძოლი სული, რაც წარმატების მისაღწევადაა აუცილებელი.

მოგვიანებით, თქვენს გაზეთში წავიკითხე შოთა არველაძის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებში მისი მოსვლა გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, დამრჩა ერთი ფავორიტი – კახა ცხადაძე.

ძალიან მომწონს ცხადაძის ერთი განცხადება – ის მზადაა, ორ შესარჩევ მატჩში უფასოდ უხელმძღვანელოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. რაც მთავარია, კახას ბოლოდროინდელ განცხადებებში ჩანს ოპტიმიზმის მარცვალი. ის ამბობს, რომ თუ მოვა ნაკრებში, მაშინ ეროვნული გუნდი კონკრეტული მიზნების მისაღწევად იბრძოლებს. ამის მოსმენა სასიამოვნოა ბოლოდროინდელი განცხადებების ფონზე, რომელთა მიხედვითაც "ქართული ფეხბურთი ჭაობშია", "უკვე მოკვდა" და ასე შემდეგ.

– თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რა უნდა შეცვალოს ნაკრებში ახალმა მთავარმა მწვრთნელმა?

– ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, მან დაკარგული რწმენა უნდა დაუბრუნოს ფეხბურთელებს. ბოლო დროს, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის, ისე ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის მხრიდან ადგილი ჰქონდა ამ მოთამაშეების შესაძლებლობების გაუთავებელ დაკნინებას. მეტიც – ასეთი განცხადებები სანაკრებო შეხვედრების წინაც კი ისმოდა.

ფიფას რეიტინგი ყველამ ვნახეთ. ტრაგედია მარტო ის არ არის, რომ ფარერები გვისწრებს. უკვე ჩვენზე წინ არიან ისეთი კუნძულებიც კი, რომელთა არსებობის შესახებ აქამდე მხოლოდ რობინზონს თუ ეცოდინებოდა რამე... ფაქტია, ასე გაგრძელება შეუძლებელია.

საქართველოს ნაკრების ამ თაობას იმის პოტენცია მაინც აქვს, რომ ფიფას რეიტინგში სადღაც 70-ე ადგილი ეკავოს. ამის ურყევად მჯერა.

– სად გადის ამ თაობის შესაძლებლობების ზღვარი? რეალურად რისი მიღწევა შეუძლიათ ამ ბიჭებს?

– ობიექტურად რომ შევხედოთ, რთულია, წილისყრის შემდეგ თქვა, რომ საქართველოს ნაკრები აუცილებლად გავა ამა თუ იმ დიდი ტურნირის ფინალურ ეტაპზე. ეს ასეა, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი კანონზომიერად რომ ხდებოდეს, მაშინ ის ფასს დაკარგავდა.

მითხარით, ვინ ელოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე კოსტა-რიკის ნაკრების ასეთ გამოსვლას? ვინ იფიქრებდა, რომ ასე დაიწყებდა ევროშესარჩევ ციკლს ისლანდია და რომ სლოვაკეთს ამ დროისთვის ასპროცენტიანი შედეგი ექნებოდა ჯგუფში. მწვრთნელი იმისთვის არის საჭირო, რომ ზოგჯერ შეუძლებელი შეძლოს. გავიხსენოთ, როგორ მოაგებინა ევროპის ჩემპიონატი ოტო რეჰაგელმა საბერძნეთს? – ორჯერ მოუგო პორტუგალიაში გაცილებით უკეთ დაკომპლექტებულ მასპინძელს.

სულ ამბობენ, რომ ეს თაობა ცუდი და არაფრისმაქნისია. მგონი, მხოლოდ ეს ბიჭები არ არიან დამნაშავენი. დარწმუნებული ვარ, თორნიკე ოქრიაშვილი 60-იან წლებში რომ დაბადებულიყო, ის 1981 წლის "დინამოში" მოხვდებოდა. ვლადიმერ გუცაევი რომ ახლა დაბადებულიყო, მას შეიძლება ხაბაროვსკში ან მახაჩყალაში ერბინა კაპიკებზე. არავინ იფიქროს, რომ ოქრიაშვილსა და გუცაევს ვადარებ ერთმანეთს. გუცაევი ჩემი კერპია. უბრალოდ, ყურადღება გავამახვილე იმ რეალობაზე, რომელიც დღეს არის ქართულ ფეხბურთში.

– როგორ შეაფასებთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობას? ფაქტია, ამა თუ იმ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების დინამიკაზე სწორედ ფედერაციაა პასუხისმგებელი...

– რადგან ყველა ქვეყანაში არსებობს ფეხბურთის ფედერაცია, გამოდის, რომ ის საჭიროა. ფედერაციამ უნდა განაგოს ფეხბურთი ქვეყანაში. მისი მუშაობა კი ფეხბურთის დონით და მიღწეული შედეგებით ფასდება. ჩვენ არ გვაქვს შედეგი ფეხბურთში, მაგრამ სპორტის სხვა სახეობებში კი გვაქვს – ავიღოთ თუნდაც რაგბი, ავიღოთ კალათბურთი...

არა მგონია, საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი ევროპულ პირველობებს უწევდეს კონკურენციას. ან ხელბურთზე ვთქვათ – ჩვენი ნაკრები შინ ყველას უგებს. ფეხბურთელს რომ კარგად აცვია და კარგად ჭამს, ეს არ არის საკმარისი. ხალხი ითხოვს შედეგს. შედეგი კი არ ჩანს.

არ შემიძლია, ერთ დეტალზეც არ გავამახვილო ყურადღება. გაუთავებლად კეთდება აქცენტი დიდი თანხების არქონაზე. ჩემი აზრით, ამ კუთხით ევროპულ ფეხბურთს მხოლოდ საკლუბო სეგმენტში ჩამოვრჩებით. არა მგონია, ვთქვათ, ესტონეთის ფეხბურთის ფედერაცია უფრო მდიდარი იყოს, ვიდრე საქართველოსი.

– ბოლოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მომავალ არჩევნებზე გკითხავთ. ჩვენთვის აბსოლუტურად სულ ერთია, ვინ გაიმარჯვებს. მთავარია, ქართულ ფეხბურთს ეშველოს. თქვენც იმედით ელით ამ არჩევნებს?

– ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს ქართულ საფეხბურთო თემთან და უნდა გითხრათ, რომ არა მარტო მე, არამედ ყველა მოუთმენლად ელის ამ არჩევნებს.

ჩვენ დაახლოებით ვიცით, ვინ იქნებიან კანდიდატები, მაგრამ არ ვიცით მათი საარჩევნო პროგრამების თაობაზე. ალბათ, მოვა დრო და ესეც გვეცოდინება. მაშინ თითოეული მათგანის პლუს-მინუსზე უფრო დაწვრილებით შეგვეძლება საუბარი.

გასაგებია, რომ ფეხბურთის ფედერაციას 2015 წლის 31 დეკემბრამდე შეუძლია არჩევნების დანიშვნა. დროის გაწელვის არგუმენტად თბილისში გასამართ სუპერთასის მატჩს იშველიებენ. არა მგონია, პლატინის იმ პირობით მიეცა თბილისისთვის სუპერთასის გამართვის უფლება, რომ ამ მომენტისთვის მაინცდამაინც ზვიად სიჭინავა უნდა ყოფილიყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ხომ თქვა სიჭინავამ, რომ არ გამორიცხავს არჩევნებში მონაწილეობას? იყაროს კენჭი და რა ვიცით, იქნებ, მოიგოს კიდეც.

ჩემი აზრით, არჩევნების რაც შეიძლება ადრე დანიშვნა კარგი ჟესტი იქნებოდა ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან. წაგების შემთხვევაში კი, სულაც არ ვარ მომხრე, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დასაქმებული ადამიანები გაქრნენ ქართული ფეხბურთიდან. ისინი თავისუფლად შეიძლება დასაქმდნენ თუნდაც ჩვენს კლუბებში...

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია 65 წლის იუბილეს ულოცავს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, საზოგადოება "აბაშელის" თავმჯდომარეს ბატონ

ვახტანგ კეკელიას!

ვუსურვებთ ბატონ ვახტანგს ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებას მამულის საკეთილდღეო მოღვაწეობაში

გამოვიდა ჟურნალ "აია"-ს მომდევნო ნომერი (№18), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი გიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა – I.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლობაში.

ჟურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ წარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუბზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge